

19/03/2026



MES 9 26 0000333809

**პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს
სხდომის ოქმი**

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა – Zoom-ის გამოყენებით **2026 წლის 5 მარტს 12:00 საათზე**. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

სხდომის დაწყებამდე რამდენიმე დღით ადრე ცენტრის ვებგვერდზე გამოქვეყნდა ბმული, საიდანაც ყველა დაინტერესებული პირი შეძლებდა საბჭოს სხდომაზე ჩართვას ონლაინ.

<https://us02web.zoom.us/j/2234959888?omn=85365069587>

Meeting ID: 223 495 9888

Passcode: 1234

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში –საბჭო) წევრები:

ელენე კაკაბაძე – პროფესიული განათლების ექსპერტი (საბჭოს თავმჯდომარე);

ხათუნა ჩხარტიშვილი – სს „გუდვილის“ HR დეპარტამენტისა და სასწავლო ცენტრის ხელმძღვანელი (საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე);

ნათია ბუთხუზი – სსიპ – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი (საბჭოს მდივანი);

გიორგი ვეკუა – სსკ საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის ბიზნესისა და რეგიონული განვითარების დეპარტამენტის დირექტორი (საბჭოს წევრი);

დავით ჯინჭარაძე – სსიპ – საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს მეზღვაურთა დეპარტამენტის უფროსი (საბჭოს წევრი);

ანა აროშიძე – სსიპ – საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხარისხის განვითარების სამმართველოს მთავარი სპეციალისტი (საბჭოს წევრი);

ეკატერინე გიგაშვილი – პროფესიული განათლების ექსპერტი (საბჭოს წევრი);

გოჩა გოგიტიძე – სსიპ – სასწავლოს უნივერსიტეტის – ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის პროფესიული მომზადების ცენტრის უფროსი (საბჭოს წევრი);

სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში –ცენტრი) წარმომადგენლები:

ნანი დალაქიშვილი – პროფესიულ განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;

ქეთევან ჭუჭულაშვილი – პროფესიულ განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე;

ლონდა მინდიაშვილი – პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;

ნათია მჭედლიძე – პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;

ნინო ხელაძე – პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;

მაია აბდალაძე – პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;

მარიამ ჩოხელი – პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;

საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები:

თაბუკა ციმიჩია

თამარ ჯანგულაშვილი

დემიდ ფასიეშვილი

მანანა მოისწრაფიშვილი

დავით კუპატაძე

ლია ხარებავა

ია გელენიძე

ნონა კოკაია

ელისო საბაური

ბათუ ხურცილავა

მაია თოიძე

თინათინ მეფარიშვილი

ნანა ხითარიშვილი

თამარ ძველაია

თამარ უთნელიშვილი

ქეთევან ჯანელიძე

მედეა ზურაბიშვილი

ირმა წამალაძე

ხათუნა მაისაია

გიორგი ევგენიძე

ინგა კალანდაძე

ზურაბ მესხიძე

დაწესებულებების წარმომადგენლები:

შპს ბათუმის ნავიგაციის უნივერსიტეტი

პროფესიული განათლების დეპარტამენტის ხელმძღვანელი - ლალი ხვედელიძე

რექტორის მოადგილე აკადემიური მიმართულებით - ელიდა ხვედელიძე

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი - ასმათ დიასამიძე

საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის ხელმძღვანელი - გიორგი გაბედავა

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის

ხელმძღვანელი - მზევინარ ძირკვაძე

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი პროფესიული განათლების მიმართულებით - ია ვერულიძე
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი პროფესიული განათლების მიმართულებით - ქეთევან ბაუჭაძე
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - „ადმინისტრაციული სერვისები“ - ხელმძღვანელი - მარია პოლიაკოვა

შპს „საქართველოს ბიზნესის აკადემიის – SBA“

რექტორი - კახაბერ ერაძე

დირექტორი - ია ერაძე

ხარისხის მართვის სამსახურის უფროსი - ნათელა ჩაჩუა

სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

თსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელი - ლაშა სალინაძე

თსუ-ს რექტორის მოადგილე - კახაბერ ჭიჭიშვილი

თსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი - შოთა ფოთოლაშვილი

თსუ-ს პროფესიული განათლების ცენტრის ხელმძღვანელი - ლევან წიქარიძე

თსუ-ს პროფესიული განათლების ცენტრის ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი - სოფიო კაკაურიძე

საბჭოს სხდომის დაწყების დრო – 12:05 საათი.

საბჭოს თავმჯდომარე ელენე კაკაბაძე მიესალმა საბჭოს წევრებს, ექსპერტებს, ცენტრისა და დაწესებულებების წარმომადგენლებს. მან განაცხადა, რომ სხდომის ოქმის პროექტის მომზადების მიზნით, მოხდებოდა სხდომის აუდიო ჩაწერა და აუდიოჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის პროექტის მომზადებისთანავე. დამსწრეთა სრული შემადგენლობა დაეთანხმა აღნიშნულს.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 45-ე მუხლის მე-7 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის თანახმად, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

დღის წესრიგი:

1. შპს ბათუმის ნავიგაციის უნივერსიტეტისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ადმინისტრაციული სერვისები“ დამატების შესახებ საკითხის განხილვა;
2. შპს ბათუმის ნავიგაციის უნივერსიტეტისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა“ დამატების შესახებ საკითხის განხილვა;
3. შპს „საქართველოს ბიზნესის აკადემიის – SBA“ ავტორიზაციის შესახებ საკითხის განხილვა;
4. სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა;

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს, ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა დღის წესრიგთან დაკავშირებით. ცენტრს არ ჰქონდა შუამდგომლობა.

პირველი საკითხი: შპს ბათუმის ნავიგაციის უნივერსიტეტისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ადმინისტრაციული სერვისები“ დამატების შესახებ საკითხის განხილვა;

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- არა

საბჭოს თავმჯდომარემ, ელენე კაკაბაძემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, თაბუკა ციმინტია, მიესალმა დამსწრე პირებს და საუბარი დაიწყო განხორციელებული ვიზიტის საერთო მიმოხილვით. სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2026 წლის 22 იანვარს MES 1260000052371 ბრძანების თანახმად შექმნილ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტების ჯგუფს დაევალა შპს ბათუმის ნავიგაციის უნივერსიტეტის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 36-ე მუხლით განსაზღვრული პსდ-ს ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება. ვიზიტი განხორციელდა 2026 წლის 03 თებერვალს მისამართზე: ქ. ბათუმი, მახინჯაური, თამარ მეფის გამზირი N38. ვიზიტი განხორციელდა წინასწარ შეთანხმებული დღის წესრიგის შესაბამისად. ვიზიტი თანამშრომლობით და საქმიან გარემოში წარიმართა, ექსპერტთა ჯგუფმა განხორციელა პროფესიული საგანმანათლებლო

პროგრამა „ადმინისტრაციული სერვისების“ ფარგლებში პროგრამის დამატებაზე პასუხისმგებელ პირებთან გასაუბრება, შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის, ადამიანური რესურსებისა და საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებასთან დაკავშირებული საკითხების შესწავლა. ვიზიტის დასასრულს ექსპერტთა ჯგუფმა დაწესებულების წარმომადგენლებს გააცნო წარმოების ფარგლებში იდენტიფიცირებული მიგნებები და შეაჯამა ვიზიტი.

აღინიშნა, რომ ხარვეზი არ გამოვლენილა. ასევე, სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია და განმავითარებელი რეკომენდაციები არ გაცემულა. დაწესებულება იზიარებს დასკვნის პროექტში არსებულ გარემოებებს და არგუმენტირებული პოზიცია არ დაუფიქსირებიათ.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ადმინისტრაციული სერვისები“ (კოდი 0413) არის მეოთხე დონის და იგი მიზნად ისახავს ადმინისტრაციულ სფეროში საშუალო პროფესიული კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტების მომზადებას. პროგრამის განხორციელების ადგილი არის ქალაქი ბათუმი, თამარ მეფის გამზირის N38-ში მდებარე სასწავლო კორპუსი. სწავლება დაფუძნებულია კოოპერაციულ მოდელზე, რაც გულისხმობს თეორიული ცოდნის მიღებას უნივერსიტეტში და პრაქტიკული უნარების გამომუშავებას რეალურ სამუშაო გარემოში. პროგრამის მოცულობა ქართულენოვანი სტუდენტებისთვის 70 კრედიტს შეადგენს, ხოლო არაქართულენოვანი პირებისთვის, ენობრივი მოდულების გათვალისწინებით, 100 კრედიტს. ექსპერტთა ჯგუფმა გაიზიარა დაწესებულების მოთხოვნა სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის 60 პირის ოდენობით განსაზღვრის შესახებ, რაც დასაბუთებულია არსებული ინფრასტრუქტურული და ადამიანური რესურსების ოპტიმალური გადანაწილებით ორცვლიანი სწავლების პირობებში.

პროგრამის დაგეგმვისა და შემუშავების პროცესი სრულად შეესაბამება უნივერსიტეტის მისიასა და სტრატეგიული განვითარების გეგმას. გადაწყვეტილება ახალი პროგრამის დამატების შესახებ ეფუძნება 2025 წელს ჩატარებულ შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა საჭიროებების სიღრმისეულ კვლევას, რომელმაც აჩვენა კვალიფიციური კადრების დეფიციტი ადმინისტრაციული სერვისების მიმართულებით. პროგრამაზე დაშვების წინაპირობად განსაზღვრულია სრული ზოგადი განათლება, ხოლო შერჩევის პროცესი მოიცავს მოტივაციურ გასაუბრებას, რომელშიც უნივერსიტეტის წარმომადგენლებთან ერთად სავალდებულო წესით მონაწილეობენ პარტნიორი დამსაქმებლები. აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევაზე ორიენტირებული და მაღალი მოტივაციის მქონე აპლიკანტების ჩარიცხვას.

აღინიშნა, რომ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებული დოკუმენტები სანიმუშოა და იძლევა სრულყოფილ სურათს, თუ როგორ გააზრებულად და მიზანმიმართულად არის შემუშავებული ყველა მტკიცებულება; წარმოდგენილი დოკუმენტების შინაარსობრივი მხარე დადასტურდა პასუხისმგებელ პირებთან გასაუბრებით, რომლებიც ჩართულნი იყვნენ პროგრამის შემუშავების პროცესში.

პროგრამის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და საგანმანათლებლო რესურსები სრულად პასუხობს ავტორიზაციის სტანდარტებს. უნივერსიტეტში მოწყობილია A და B სასწავლო გარემოები (აუდიტორიები N329, N328 და საკონსულტაციო ოთახი N448), რომლებიც აღჭურვილია თანამედროვე კომპიუტერული ტექნიკით, დემონსტრირების საშუალებებითა და საჭირო ინვენტარით. პრაქტიკული კომპონენტის რეალურ სამუშაო გარემოში განხორციელების მიზნით, გაფორმებულია მემორანდუმები ისეთ ორგანიზაციებთან, როგორცაა შპს „საგიტარიუსი“, მახინჯაურის საზღვაო სკოლა და ბათუმის შემდეგ სკოლებთან: ქალაქ ბათუმის #17 საჯარო სკოლა, ქალაქ ბათუმის #2 საჯარო სკოლა, ქალაქ ბათუმის #4 საჯარო სკოლა, სსიპ ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩაისუბნის N2 საჯარო სკოლა. მემორანდუმის ფარგლებში პარტნიორ ორგანიზაციებში გათვალისწინებულია 3 პროფესიული მოდულის სწავლის შედეგების გატანა. 1. გაცნობითი პრაქტიკა, 2. მოდული-დოკუმენტების

არქივისთვის მომზადება და 2. საწარმოო პრაქტიკა. ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულებები გულისხმობს მხარეებს შორის თანამშრომლობას პრაქტიკული. სტუდენტებს აქვთ წვდომა როგორც მატერიალურ ბიბლიოთეკასთან, ისე ელექტრონულ რესურსებთან და „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს“ ბაზასთან, რაც აუცილებელია ადმინისტრაციულ სფეროში არსებული რეგულაციების შესასწავლად. გარემო სრულად ადაპტირებულია სსსმ და შშმ პირთა საჭიროებებზე, რაც მოიცავს ლიფტებსა და სპეციალიზებულ სველ წერტილებს.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში პროგრამის ხანგრძლივობის (12,5 თვე), სასწავლო გარემოს, აღჭურვილობის, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის და პროფესიული განათლების მასწავლებლების დატვირთვის გათვალისწინებით დაგეგმილია პროგრამის ფარგლებში სულ ორი ჯგუფის (30-30 სტუდენტი) მიღება წლის განმავლობაში. აღნიშნული გარემოებიდან გამომდინარე, როგორც დაწესებულების საგანმანათლებლო სივრცეები, ისე პრაქტიკული კომპონენტის განმახორციელებელი ობიექტი თავის მფლობელობაში არსებული მატერიალური აღჭურვილობითა და რესურსით, უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.

პროგრამის მდგრადობას უზრუნველყოფს კვალიფიციური პერსონალი და გააზრებული ფინანსური მოდელი. სასწავლო პროცესში ჩართულია 60 პროფესიული განათლების მასწავლებელი, რომელთაგან 45 უშუალოდ დარგობრივ მოდულებს უძღვება. პერსონალის დატვირთვა რეგულირდება სპეციალური მეთოდოლოგიით, რაც ითვალისწინებს არა მხოლოდ საკონტაქტო საათებს, არამედ კონსულტაციებსა და პროფესიულ განვითარებას. ფინანსური თვალსაზრისით, პროგრამა რენტაბელურია მინიმუმ 15 სტუდენტის პირობებში, რაც გარანტიას იძლევა, რომ საოპერაციო ხარჯები სრულად დაიფარება და შენარჩუნდება სწავლების მაღალი ხარისხი. პროგრამას ხელმძღვანელობს შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე პირი, რომელიც აქტიურად მონაწილეობდა მოდულების შემუშავებისა და შეფასების ინსტრუმენტების ვალიდაციის პროცესში.

ხარისხის უზრუნველყოფისა და შეფასების სისტემა აგებულია სისტემურ PDCA ციკლზე, რაც გულისხმობს მუდმივ მონიტორინგს და უკუკავშირს ყველა დაინტერესებული მხარისგან. შეფასების სისტემა არის ვალიდური და სანდო, მოიცავს ვერიფიკაციის მექანიზმებს და უზრუნველყოფს სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებას. მტკიცებულებების აღრიცხვა და შენახვა ხორციელდება სამწლიანი ვადით, ხოლო შეფასების უწყისები ინახება უვადოდ, რაც უზრუნველყოფს საქმისწარმოების გამართულობას. ექსპერტთა ჯგუფის დასკვნით, პროგრამა „ადმინისტრაციული სერვისები“ სრულად შეესაბამება ავტორიზაციის სტანდარტების მოთხოვნებს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ჰქონდათ თუ არა შეკითხვები განხილულ საკითხთან მიმართებით. საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ბათუმის ნავიგაციის უნივერსიტეტისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ადმინისტრაციული სერვისები“ დამატების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 7

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 51-ე მუხლის შესაბამისად, საბჭომ გადაწყვიტა, შპს ბათუმის ნავიგაციის უნივერსიტეტს (ს/კ: 245433623) მიენიჭოს უფლება დამატებით განახორციელოს დანართით განსაზღვრული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ადმინისტრაციული სერვისები“ (დანართი 1). გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2026 წლის 5 მარტი.

მეორე საკითხი: შპს ბათუმის ნავიგაციის უნივერსიტეტისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა“ დამატების შესახებ საკითხის განხილვა;

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- არა

საბჭოს თავმჯდომარემ, ელენე კაკაბაძემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, თაბუკა ციმინტიამ საუბარი დაიწყო განხორციელებული ვიზიტის საერთო მიმოხილვით. სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2026 წლის MES 5 26 0000052366 ბრძანების თანახმად შექმნილ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის

ექსპერტების ჯგუფს დაევალა შპს ბათუმის ნავიგაციის უნივერსიტეტის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 36-ე მუხლით განსაზღვრული პსდ-ს ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება. ვიზიტი განხორციელდა 2026 წლის 03 თებერვალს მისამართზე: ქ. ბათუმი, მახინჯაური, თამარ მეფის გამზირი N38. ვიზიტი განხორციელდა წინასწარ შეთანხმებული დღის წესრიგის შესაბამისად. ვიზიტი თანამშრომლობით და საქმიან გარემოში წარიმართა, ექსპერტთა ჯგუფმა განახორციელა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერის“ ფარგლებში პროგრამის დამატებაზე პასუხისმგებელ პირებთან გასაუბრება, შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის, ადამიანური რესურსებისა და საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებასთან დაკავშირებული საკითხების შესწავლა. ვიზიტის დასასრულს ექსპერტთა ჯგუფმა დაწესებულების წარმომადგენლებს გააცნო წარმოების ფარგლებში იდენტიფიცირებული მიგნებები და შეაჯამა ვიზიტი.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა“ (Information Technology Support, კოდი 0612) არის მესამე საფეხურის, იგი მიზნად ისახავს IT სფეროში საბაზო პროფესიული კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტების მომზადებას. პროგრამა ხორციელდება ქალაქ ბათუმში, მახინჯაურში, თამარ მეფის გამზირის #38-ში მდებარე სასწავლო კორპუსში, იმიტირებული სამუშაო გარემოს ფორმატით. სასწავლო გეგმის მოცულობა ქართულენოვანი სტუდენტებისთვის განსაზღვრულია 55 კრედიტით, ხოლო არაქართულენოვანი პირებისთვის, ქართული ენის მოდულის გათვალისწინებით, იგი 70 კრედიტს შეადგენს. ექსპერტთა ჯგუფი სრულად დაეთანხმა დაწესებულების მიერ მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის 60 პირის ოდენობით განსაზღვრას, რაც ორცვლიანი სწავლების პირობებში სრულ შესაბამისობაშია არსებულ მატერიალურ და ადამიანურ რესურსებთან.

აღინიშნა, რომ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებული დოკუმენტები სანიმუშოა და იძლევა სრულყოფილ სურათს, თუ როგორ გააზრებულად და მიზანმიმართულად არის შემუშავებული ყველა მტკიცებულება; წარმოდგენილი დოკუმენტების შინაარსობრივი მხარე დადასტურდა პასუხისმგებელ პირებთან გასაუბრებით, რომლებიც ჩართულნი იყვნენ პროგრამის შემუშავების პროცესში.

პროგრამის განხორციელების გადაწყვეტილება ეფუძნება უნივერსიტეტის სტრატეგიულ მიზნებსა და შრომის ბაზრის დეტალურ ანალიზს. 2025 წელს ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ რეგიონულ ბაზარზე არსებული კომპანიები განიცდიან კვალიფიციური IT მხარდაჭერის სპეციალისტების დეფიციტს, რაც პროგრამის აქტუალობასა და კურსდამთავრებულთა დასაქმების მაღალ პოტენციალს ადასტურებს. პროგრამაზე დაშვების წინაპირობად განსაზღვრულია საბაზო განათლება და მოტივაციური გასაუბრება, რომელშიც სავალდებულო წესით მონაწილეობენ პარტნიორი ორგანიზაციების წარმომადგენლები. აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევაზე ორიენტირებული აპლიკანტების შერჩევასა და მათ შემდგომ პროფესიულ ინტეგრაციას.

მატერიალურ-ტექნიკური ბაზა სრულად უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას და მოიცავს თანამედროვე სტანდარტების შესაბამის A და B გარემოებს. კერძოდ, პროგრამისათვის გამოყოფილია #331, #335 და #448 აუდიტორიები, რომლებიც აღჭურვილია 90-მდე სამუშაო კომპიუტერით, დემონსტრირების ციფრული საშუალებებითა და საჭირო ინვენტარით. მიუხედავად იმისა, რომ სწავლება იმიტირებულ გარემოში მიმდინარეობს, უნივერსიტეტს გაფორმებული აქვს მემორანდუმი IT კომპანიასთან, რაც ითვალისწინებს სტუდენტთა სასწავლო ექსკურსიებსა და პრაქტიკოსი სპეციალისტების ჩართულობას სასწავლო პროცესში. საგანმანათლებლო რესურსები, მათ შორის რიდერები და ელექტრონული მასალები, ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში, რომელიც სარგებლობს OpenBiblio პროგრამით და სტუდენტებს სთავაზობს უსაფრთხო, ორგანიზებულ გარემოს.

პროგრამის მდგრადობას განაპირობებს 16 კვალიფიციური პროფესიული განათლების მასწავლებელი, რომელთაგან ექვსი უშუალოდ დარგობრივ მოდულებს უძღვება. პერსონალის დატვირთვა დაგეგმილია სპეციალური მეთოდოლოგიით, რაც მოიცავს როგორც საკონტაქტო საათებს, ისე სტუდენტთა ინდივიდუალურ კონსულტირებასა და შეფასების ინსტრუმენტების ვალიდაციას. ფინანსური თვალსაზრისით პროგრამა სიცოცხლისუნარიანია, რადგან მისი რენტაბელობის ზღვარი 15 სტუდენტზე გადის, რაც არსებული კვოტის პირობებში ოპერატიული ხარჯების სრულ დაფარვასა და ხარისხის შენარჩუნებას უზრუნველყოფს. გარემო სრულად ადაპტირებულია სსსმ და შშმ პირთა საჭიროებებზე, ხოლო შესაბამისი საჭიროების დადგომისას, დაწესებულება მზად არის სასწავლო პროცესში ჩართოს ინკლუზიური განათლების სპეციალისტი.

ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები ეყრდნობა PDCA ციკლს და ითვალისწინებს პერიოდულ კვლევებს სტუდენტთა, პერსონალისა და დამსაქმებელთა კმაყოფილების დასადგენად. შეფასების სისტემა არის ვალიდური და ობიექტური, რაც დადასტურებულია შიდა ვერიფიკაციის მექანიზმებით. შეფასებასთან დაკავშირებული მტკიცებულებები და მონაცემები საიმედოდ აღირიცხება და ინახება სამი წლის ვადით, ხოლო უწყისები – უვადოდ. ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, წარმოდგენილი პროგრამა სრულად შეესაბამება ავტორიზაციის სტანდარტებს, რაც საფუძველს იძლევა ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერის მიმართულებით ხარისხიანი პროფესიული განათლების მიწოდებისთვის.

აღინიშნა, რომ ხარვეზი არ გამოვლენილა. ასევე, სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია და განმავითარებელი რეკომენდაციები არ გაცემულა. დაწესებულება იზიარებს დასკვნის პროექტში არსებულ გარემოებებს და არგუმენტირებული პოზიცია არ დაუფიქსირებია.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ჰქონდათ თუ არა შეკითხვები განხილულ საკითხთან მიმართებით. საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ბათუმის ნავიგაციის უნივერსიტეტისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა“ დამატების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 7

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 51-ე მუხლის შესაბამისად, საბჭომ გადაწყვიტა, შპს ბათუმის ნავიგაციის უნივერსიტეტს (ს/კ: 245433623) მიენიჭოს უფლება დამატებით განახორციელოს დანართით განსაზღვრული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა“ (**დანართი 2**). გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2026 წლის 5 მარტი.

საბჭოს წევრი ანა არაშვიძე შემოუერთდა სხდომას.

მესამე საკითხი: შპს „საქართველოს ბიზნესის აკადემიის – SBA“ ავტორიზაციის შესახებ საკითხის განხილვა;

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- დიახ

საბჭოს მდივან ნათია ბუთხუზს და საბჭოს წევრ ხათუნა ჩხარტიშვილს ჰქონდათ აცილება. სხდომის მდივნად განისაზღვრა ეკატერინე გიგაშვილი.

საბჭოს თავმჯდომარემ, ელენე კაკაბაძემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, მანანა მოისწრაფიშვილი, მიესალმა დამსწრე პირებს და საუბარი დაიწყო განხორციელებული ვიზიტის საერთო მიმოხილვით. 2026 წლის 20-23 იანვარს ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფმა განახორციელა ვიზიტი შპს საქართველოს ბიზნესის აკადემიაში – SBA სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრის დირექტორის MES 3 25 0001837868 ბრძანების შესაბამისად (25.12.2025) „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლით განსაზღვრულ ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების მიზნით. ავტორიზაციის ვიზიტის ფარგლებში შემოწმდა ავტორიზაციის დებულების 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისობა შემდეგი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისთვის: ფარმაცია, საექთნო საქმე, სკოლამდელი განათლება, ლოგისტიკა, კომპიუტერული ქსელი და სისტემები, ინფორმაციის ტექნოლოგია, საბაჟო საქმე (ქართულენოვანი), საბაჟო საქმე (ინგლისურენოვანი), შრომის უსაფრთხოება და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები და ვებტექნოლოგიები (Front-end დეველოპმენტი). ავტორიზაციის ექსპერტებმა ვიზიტამდე შეისწავლეს დაწესებულების მიერ ცენტრში წარმოდგენილი დოკუმენტაცია, შეიკრიბნენ zoom-ის

საშუალებით, განიხილეს დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მასალების შესწავლის შედეგად წამოჭრილი საკითხები, შეიმუშავეს ვიზიტის დღის განრიგი. ვიზიტი შპს საქართველოს ბიზნესის აკადემიაში-SBA (მის: ქ. თბილისი, რუსთავის გზატკეცილი N18-22) მანანა მოისწრაფიშვილმა, დავით კუპატაძემ და ლიკა ხარებავამ განახორციელეს 2026 წლის 20-23 იანვარს და შეისწავლეს ინსტიტუციური სტანდარტები, პროგრამების სტანდარტებთან შესაბამისობები კი დარგის ექსპერტებმა ზურაბ მესხიძემ, გიორგი წიკლაურმა და ინგა კალანდაძემ შეისწავლეს 2026 წლის 22 იანვარს, ხოლო, ბათუ ხურცილავამ, ია გელენიძემ, გიორგი ევგენიძემ, დავით კუპატაძემ და ელისო საბაურმა – 2026 წლის 23 იანვარს. ვიზიტი განხორციელდა დაწესებულებასთან შეთანხმებული დღის განრიგის დაცვით. ვიზიტის ფარგლებში მათ მიერ შესწავლილი იქნა დაწესებულების მიერ დამატებით წარმოდგენილი დოკუმენტაცია, ჩატარებული იქნა ინტერვიუები პერსონალთან, დათვალიერებული იქნა ინფრასტრუქტურა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, რევიზირებული იქნა კოლეჯის მარეგულირებელი დოკუმენტაცია და მათი პრაქტიკაში განხორციელების მტკიცებულებები, ასევე, გადამოწმდა პროფესიული პროგრამის განხორციელებისთვის ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობა. დარგის ექსპერტები ვიზიტის ფარგლებში გაესაუბრნენ პროფესიულ სტუდენტებს, პროფესიული პროგრამების ხელმძღვანელებს და განმახორციელებლებს, ადმინისტრაციის წარმომადგენლებს, შეაფასეს პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური, მატერიალური და საგანმანათლებლო რესურსები, დაათვალიერეს მათი ფაქტობრივი მდგომარეობა, ფლობის დოკუმენტაცია, გაესაუბრნენ პრაქტიკის ობიექტების წარმომადგენლებს, შეიმუშავეს რეკომენდაციები. ვიზიტმა ჩაიარა მშვიდ და საქმიან ვითარებაში, დაწესებულება მაქსიმალურად ეცადა ხელი შეეწყო ექსპერტებისთვის შეფასების პროცესისთვის საჭირო დოკუმენტაციისა თუ ინტერვიუების მონაწილეების მობილიზებით. 2026 წლის 23 იანვარს ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ დაწესებულებას წარუდგინა პრეზენტაცია ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ შეჯერებული მიგნებების შესახებ.

აღინიშნა, რომ საქართველოს ბიზნესის აკადემია-SBA არის თანამედროვე და ინოვაციური მიდგომების პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება საქართველოში, რომელიც მაღალი ხარისხის სწავლებითა და აქტიური პარტნიორული თანამშრომლობითაა ცნობილი. აკადემიაში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ხარისხის მართვასა და მუდმივ თვითგანვითარებას – ამ მიმართულებით აკადემიამ გასულ წელს წარმატებით გაიარა ENESAT22 თვითშეფასების პროცესი და დაიმსახურა ევროპული აღიარება, როგორც პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ერთ-ერთი საუკეთესო პრაქტიკის მქონე დაწესებულებამ. აღნიშნული მიღწევები ასახულია როგორც ეროვნული, ისე საერთაშორისო დონეზე: აკადემია აღიარებულია პროფესიული განათლების სრულყოფის ცენტრად (Excellence Center), არის ETF-ისა და EfVET-ის თემატური ქსელების აქტიური წევრი და მონაწილეობს ევროკავშირის „Union of Skills“ და „Global Gateway“ ინიციატივებთან დაკავშირებულ რეგიონულ პროექტებში.

საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

საქართველოს ბიზნესის აკადემიას – SBA დანერგილი აქვს დაგეგმვის პროექტული მიდგომა, რაც ექსპერტთა ჯგუფის მიერ აღიარდა საუკეთესო გამოცდილებად. აღნიშნული პროექტული მიდგომის ფარგლებში აკადემია უზრუნველყოფს სტრატეგიული მიზნების გარდაქმნას კონკრეტულ, გაზომვად და დროით განსაზღვრულ ინიციატივებად. ამ მიდგომის ფარგლებში სამოქმედო გეგმის მონათესავე აქტივობები ლოგიკურად ერთიანდება პროექტებში, რაც უზრუნველყოფს მათი განხორციელების ჰოლისტურობას, მიზნების უკეთ ინტეგრაციასა და საერთო ხედვის გაცნობიერებას ყველა ჩართული მხარის მიერ. თითოეული პროექტი ეფუძნება მკაფიოდ იდენტიფიცირებულ საჭიროებას, განსაზღვრულ შედეგებსა და პასუხისმგებლობებს, რაც ზრდის გამჭვირვალობას, რესურსების ეფექტიან გამოყენებას და ანგარიშვალდებულებას. პროექტული დაგეგმვა აკადემიას აძლევს მოქნილობას სწრაფად უპასუხოს შრომის ბაზრის,

რეგულაციების და საერთაშორისო ტენდენციების ცვლილებებს, ხოლო პარალელურად უზრუნველყოფს ხარისხის უწყვეტ გაუმჯობესებას, ინოვაციების დანერგვას და დაინტერესებული მხარეების აქტიურ ჩართულობას. 2026 წლის სამოქმედო გეგმის 37 აქტივობა რვა პროექტშია გადანაწილებული. საქართველოს ბიზნესის აკადემიას – SBA დანერგილი აქვს უნარების კონკურსები, რაც ასევე წარმოადგენს კარგ პრაქტიკას, რადგან ისინი უზრუნველყოფს სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების პრაქტიკული კომპეტენციების შეფასებას რეალურ სამუშაო გარემოსთან მაქსიმალურად მიახლოებულ, მაგრამ უსაფრთხო პირობებში. საექთნო უნარების კონკურსი, რომელიც ექთნის საერთაშორისო დღეს მიეძღვნა, ეფუძნებოდა სიმულაციურ სცენარებს და შეფასდა გარე პრაქტიკოსი სპეციალისტებით დაკომპლექტებული კომისიის მიერ, რაც უზრუნველყოფდა შეფასების ობიექტურობასა და შრომის ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისობას. აღნიშნული მიდგომა ზრდის სწავლის მოტივაციას, აძლიერებს ხარისხის კულტურას და წარმოადგენს მოდელს, რომელიც შესაძლებელია ეფექტიანად გავრცელდეს სხვა პროფესიულ პროგრამებზეც.

აღნიშნა, რომ ხარვეზი არ გამოვლენილა. ასევე, სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია და განმავითარებელი რეკომენდაციები არ გაცემულა.

ექსპერტმა მანანა მოისწრაფიშვილმა პირველ სტანდარტთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ აკადემიის მისია და მიზნები სრულ თანხვედრაშია პროფესიული განათლების სახელმწიფო პოლიტიკასთან. 2024 წლის აგვისტოში, სპეციალური სამუშაო ჯგუფის მიერ, ახალი სისტემური გარემოებების გათვალისწინებით განხორციელდა მისიის, ხედვისა და ღირებულებების სიღრმისეული რევიზია. განახლებული კონცეფციის თანახმად, დაწესებულება პოზიციონირდება, როგორც მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის შესაძლებლობების ჰაბი, რომელიც ქმნის ინკლუზიურ, მრავალფეროვან და ინტერნაციონალურ საგანმანათლებლო გარემოს. აკადემიის ხედვა გულისხმობს საზოგადოებისა და ეკონომიკური აქტორებისთვის ინოვაციური, ხელმისაწვდომი და მაღალი ხარისხის სერვისების მიწოდებას, რაც ეფუძნება ისეთ მყარ ღირებულებებს, როგორცაა ინოვაციურობა, სამართლიანობა, გუნდურობა და ამბიციურობა. სასწავლებელი გამოირჩევა მრავალპროფილურობით და უზრუნველყოფს როგორც ფორმალური, ისე არაფორმალური განათლების ხელმისაწვდომობას სხვადასხვა ფორმატით. სტრატეგიული დოკუმენტები საჯაროა და უზრუნველყოფილია დაინტერესებულ მხარეთა მაქსიმალური ჩართულობა, რის გამოც ეს სტანდარტი სრულად აკმაყოფილებს დადგენილ მოთხოვნებს.

დაწესებულებაში უმაღლეს დონეზეა დანერგილი სტრატეგიული განვითარების დაგეგმვის პრაქტიკა. აკადემია ეფექტიანად იყენებს შვიდწლიანი სტრატეგიული და ერთწლიანი სამოქმედო გეგმების მართვის დეტალურ მეთოდოლოგიას. დაგეგმვის პროცესი არის ღია და ინკლუზიური, რასაც ადასტურებს სტრატეგიის შემუშავებაში სენატისა და პარტნიორი ორგანიზაციების აქტიური მონაწილეობა. ევროკავშირის ფონდის (ETF) მიერ 2024 წელს განხორციელებული შეფასებით (ENESAT22) დადასტურდა, რომ აკადემიის მიდგომები დაინტერესებული მხარეების ჩართულობის კუთხით სრულად შეესაბამება საუკეთესო ევროპულ პრაქტიკას. ამასთან, ხელმძღვანელობის აქტიური მონაწილეობა ადგილობრივი თვითმმართველობის მრჩეველთა საბჭოში უზრუნველყოფს რეგიონისა და თემის პრიორიტეტების გეგმებში ასახვას. სამოქმედო დოკუმენტებში მკაფიოდ არის განსაზღვრული ამოცანები, შესრულების ვადები, რისკები, პასუხისმგებელი პირები და შესაბამისი რესურსები, რაც გეგმის პრაქტიკულ და შედეგზე ორიენტირებულ აღსრულებას განაპირობებს.

წარმატებით ფუნქციონირებს გეგმების მონიტორინგისა და შეფასების შიდა სისტემა, რომლის ადმინისტრირებასაც დაწესებულების შესაბამისი სამსახურები უზრუნველყოფენ. შვიდწლიანი სტრატეგიის (2020-2027) მოქმედების შუალედური შეფასება უკვე განხორციელდა 2023 წელს, ხოლო სამოქმედო გეგმების მონიტორინგი მიმდინარეობს ყოველკვარტალურ რეჟიმში. აკადემია არა მხოლოდ აღრიცხავს შედეგებს, არამედ ადეკვატურად რეაგირებს მათზე –

სენატისა და მენეჯმენტის ფორმატში ხდება როგორც მიღწევების, ისე შეუსრულებელი ამოცანების გამომწვევი მიზეზების სიღრმისეული ანალიზი. მიღებული დასკვნები პირდაპირ აისახება მომავალი პერიოდის დაგეგმვაზე, ასევე პერსონალის წახალისებისა თუ პასუხისმგებლობის მექანიზმებზე. პროცესის სრული გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად, ანგარიშები ქვეყნდება აკადემიის ოფიციალურ ვებგვერდზე, რაც ექსპერტთა შეფასებით სრულად აკმაყოფილებს ავტორიზაციის სტანდარტის მოთხოვნებს.

მესამე სტანდარტთან დაკავშირებით ითქვა, რომ აკადემიაში პროფესიული სტუდენტების უფლებები, კანონიერი ინტერესები და გარანტიები უმაღლეს დონეზეა დაცული, რაც უზრუნველყოფილია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი, განახლებული შიდა რეგულაციებით. „პროფესიულ სტუდენტთა კორპუსის მართვის წესითა“ და „შინაგანაწესით“ მკაფიოდ არის დარეგულირებული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერების, მობილობისა და სერვისებზე წვდომის საკითხები. სტუდენტები სრულად არიან ინფორმირებულნი თავიანთი უფლებების შესახებ, რასაც ეფექტიანად უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის დაწყებამდე შემუშავებული „სტუდენტის სამახსოვრო“ და საორიენტაციო შეხვედრები. აღნიშნულს მყარად ადასტურებს 2025 წელს ჩატარებული კმაყოფილების კვლევა, რომლის მიხედვითაც სტუდენტთა 84.8% სრულად ფლობს ინფორმაციას საკუთარი უფლება-მოვალეობებისა და სასწავლო პროცესის შესახებ. აკადემიაში დანერგილია სამართლიანი დისციპლინური წარმოების პრაქტიკა, რაც გულისხმობს არა მხოლოდ სანქცირებას (მაგალითად, პრობაციის რეჟიმს), არამედ სანიმუშო ქცევის შემთხვევაში სახდელის ვადაზე ადრე მოხსნასაც.

შეფასების სისტემა გამჭვირვალე და ობიექტურია, რასაც გამოკითხულ სტუდენტთა 93% ადასტურებს. სტუდენტები აქტიურად იღებენ განმავითარებელ უკუკავშირს და იცნობენ გასაჩივრების მექანიზმებს. პრაქტიკაში ფიქსირდება აპელაციის შემთხვევა, სადაც ადმინისტრაციამ მყისიერად მოახდინა რეაგირება სტუდენტთა უფლებების დასაცავად, ჩაატარა ვერიფიკაცია და მიიღო ობიექტური გადაწყვეტილება. ასევე, ინდივიდუალური საჭიროებების მქონე სტუდენტებისთვის (მათ შორის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირებისთვის) აკადემია უზრუნველყოფს ინდივიდუალური სასწავლო გეგმების (ისგ) შემუშავებას, რაც ითვალისწინებს სასწავლო შედეგების მოდიფიკაციასა თუ აკომოდაციას სრული ინკლუზიურობის მისაღწევად.

დაწესებულებაში წარმატებით ფუნქციონირებს სტუდენტთა მხარდაჭერის მრავალფეროვანი მომსახურება, რომელიც მოიცავს როგორც აკადემიურ, ისე ადმინისტრაციულ და სოციალურ ასპექტებს. აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად, სტუდენტებს აქვთ წვდომა ინდივიდუალურ და ჯგუფურ კონსულტაციებზე, რაც სათანადოდ არის დოკუმენტირებული და აღრიცხული. ადაპტაციის პროცესი უმაღლეს დონეზეა ორგანიზებული – გამოკითხულთა 98% ადასტურებს ადმინისტრაციული პერსონალის მხრიდან აქტიურ დახმარებას ინტეგრაციის პროცესში. ადმინისტრაციული მხარდაჭერა ხორციელდება გონივრულ და ხშირად დაჩქარებულ ვადებში, რასაც რესპონდენტთა 91.7% დადებითად აფასებს.

აკადემია განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს არაფორმალური აქტივობებისა და სტუდენტური ინიციატივების წახალისებას. ფუნქციონირებს ინიციატივების წარდგენის მოქნილი მექანიზმი, მათ შორის ანონიმური ყუთი. 2024-2025 წლებში დაფინანსდა 6 სტუდენტური პროექტი და დაინერგა საგრანტო კონკურსების სისტემა. ხარისხის მართვის სამსახური პერიოდულად იკვლევს სტუდენტთა უკუკავშირს; 2025 წლის ანგარიშის საფუძველზე, სადაც სტუდენტთა 90%-მა გამოხატა საერთო კმაყოფილება, შემუშავდა კონკრეტული რეკომენდაციები ზაფხულის გრაფიკის ოპტიმიზაციის, კომპიუტერული ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებისა და პრაქტიკული კომპონენტების გაძლიერების მიზნით, რაც ასახულია სამომავლო სამოქმედო გეგმებში.

კარიერული მხარდაჭერის მიმართულებით აკადემიას გააჩნია სისტემური და მასშტაბური მიდგომა, რომელიც „კარიერული განვითარების სერვისების მართვის წესით“ რეგულირდება. მხოლოდ 2025 წელს კარიერული და პროფორიენტაციის სერვისებით 7000-მდე პირმა ისარგებლა. დანერგულია ინოვაციური ინსტრუმენტი „აღმოაჩინე პროფესია SBA-ში“. სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს პერმანენტულად მიეწოდებათ ინფორმაცია ვაკანსიებისა და სტაჟირებების შესახებ როგორც პირდაპირი კომუნიკაციით, ისე სპეციალური დახურული სოციალური ჯგუფის მეშვეობით, რომელიც 2000-ზე მეტ წევრს აერთიანებს. განსაკუთრებით აღსანიშნავია წარმატებული პროექტი „გააზიარე ცოდნა, გააზიარე გამოცდილება – გახდი პროფესიული განათლების მასწავლებელი“, რომელმაც 25 მონაწილეს ახალი კარიერული პერსპექტივა გაუხსნა.

აკადემია რეგულარულად იკვლევს კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებლებს. 2025 წლის კვლევის მიხედვით, 2020-2021 წლების კურსდამთავრებულთა 87.3% და 2022-2023 წლების კურსდამთავრებულთა 90.8% წარმატებით არის დასაქმებული ან აგრძელებს სწავლას, რაც პროგრამების მაღალ ეფექტიანობაზე მეტყველებს. კვლევიდან მიღებული მიგნებები – როგორცაა დამსაქმებლებთან პარტნიორობის გაღრმავება, კარიერული რუკების შექმნა და ინტერვიუსთვის მომზადების გაძლიერება – ინტეგრირებულია 2025-2026 წლების სამოქმედო გეგმაში, რაც ადასტურებს დაწესებულების უწყვეტ სწრაფვას განვითარებისა და სერვისების გაუმჯობესებისკენ.

აკადემიის ორგანიზაციული სტრუქტურა სრულად უზრუნველყოფს დასახული სტრატეგიული მიზნების მიღწევას (ინდიკატორი 4.1.1). დაწესებულების დებულებითა და ორგანოგრამით მკაფიოდ არის განსაზღვრული მართვის იერარქია, რომელიც მოიცავს სენატს, დირექტორს, რექტორს და შესაბამის სამსახურებს (ხარისხის მართვის, სასწავლო პროცესის მართვის, ჯანდაცვისა და უსაფრთხოების, ადმინისტრაციული). დასაქმებული 40-მდე თანამშრომლის პირად საქმეებში ასახულია დეტალური სამუშაო აღწერილობები, სადაც გამიჯნულია ფუნქციები და ანგარიშვალდებულებები. ექსპერტთა ვიზიტისას გამოვლენილი უზუსტობები (მაგალითად, ადმინისტრაციული სამსახურის მენეჯერების უშუალო ხელმძღვანელად დირექტორის მითითება და ფინანსური მენეჯერის ფუნქციების დამთხვევა) დაწესებულების მიერ მყისიერად, ვიზიტის დასრულებამდე იქნა გამოსწორებული რეალურ პრაქტიკასთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულის (უფროსი და მენეჯერი) ფუნქციები ისეა გამიჯნული, რომ სრულად გამოირიცხება ინტერესთა კონფლიქტი სხვა ადმინისტრაციულ პროცესებთან.

პერსონალის მართვის პოლიტიკა ემყარება ობიექტურობის, გამჭვირვალობისა და გუნდური მუშაობის პრინციპებს (ინდიკატორი 4.1.2). ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა და შინაგანაწესი სრულ შესაბამისობაშია საქართველოს შრომის კანონმდებლობასთან. პერსონალის შერჩევა ხორციელდება გაწერილი კონკურსის ან რეკომენდაციის წესით, რაც უზრუნველყოფს მაღალკვალიფიციური კადრების მოზიდვას როგორც შიდა, ისე გარე წყაროებიდან. თითოეული თანამშრომლის პირად საქმეში დაცულია ყველა სავალდებულო დოკუმენტი (მათ შორის ნასამართლეობის ცნობა და კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია), ხოლო გაფორმებული ხელშეკრულებები სრულად ასახავს შრომითი ურთიერთობის არსებით პირობებს, მათ შორის ზეგანაკვეთური სამუშაოსა და შვებულების საკითხებს. გადაწყვეტილებების მიღების პროცესი ეფუძნება მონაწილეობით პრინციპებს, რასაც ადასტურებს სენატისა და სხვადასხვა სამუშაო ჯგუფის აქტიური ფუნქციონირება.

დაწესებულების მართვის პოლიტიკა მკვეთრად არის ორიენტირებული პერსონალის უწყვეტ პროფესიულ განვითარებასა და კარიერულ წინსვლაზე (ინდიკატორი 4.2.1). 2025 წელს აკადემიამ წარმატებით დანერგა პერსონალის შეფასების საპილოტე სისტემა, როგორც ადმინისტრაციული, ისე აკადემიური პერსონალისთვის. შეფასება ეფუძნება 360-გრადუსიან პრინციპს (თვითშეფასება და ხელმძღვანელის შეფასება) და შედეგების მიხედვით დგება

ინდივიდუალური განვითარების გეგმები. გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად, აკადემია აფინანსებს და ორგანიზებას უწევს მრავალფეროვან ტრენინგებს, მათ შორის უცხო ენის კომპეტენციის ამაღლების 3-ეტაპიან პროგრამას და ხელოვნური ინტელექტის (AI) ინტეგრაციის კურსებს. დაწესებულებაში მოქმედებს ახალი თანამშრომლების ადაპტაციის ეფექტიანი მექანიზმი, რომელიც მოიცავს მენტორობასა და სამუშაო გარემოსთან სოციალიზაციას. აკადემიაში, ასევე, დანერგილია კარიერული წინსვლის მყარი პრაქტიკა – ხშირია კურსდამთავრებულების დასაქმება მასწავლებლებად და სტაჟორების დაწინაურება მენეჯერულ პოზიციებზე. პერსონალის ინიციატივები ყოველთვის მხარდაჭერილია ფინანსურად და ორგანიზაციულად, რაც ზრდის მოტივაციას და განაპირობებს აკადემიის მდგრად ინსტიტუციურ განვითარებას.

აკადემიის ინფრასტრუქტურა სრულად შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მოთხოვნებს. დაწესებულება ფუნქციონირებს ერთ მისამართზე, – რუსთავის გზატკეცილი N18-22. აღნიშნულ მისამართზე საიჯარო ხელშეკრულების საფუძველზე სარგებლობაში აქვს სამი: A, B, C კორპუსი. A კორპუსის (საკადასტრო კოდებით: N 01.18.12.007.059 და N 01.18.12.007.070) საერთო ფართია – 1990.54 კვ.მ., ხოლო B და C კორპუსების (საკადასტრო კოდებით: N 01.18.12.007.074) საერთო ფართი კი, – 832.88 კვ.მ. საიჯარო ვადა შესაბამისი ხელშეკრულებით განსაზღვრულია 2032 წლის 1 მაისამდე. ინფრასტრუქტურა მოიცავს თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილ აუდიტორიებს, სპეციალიზებულ ლაბორატორიებს (მათ შორის ფარმაცევტულ და საექთნო საქმის სიმულაციურ სივრცეებს), ბიბლიოთეკას, შემოქმედებით სივრცეებსა და კაფეტერიას. შენობები სრულად ადაპტირებულია შშმ პირებისთვის (მოწყობილია პანდუსები და სპეციალური სანიტარიული კვანძები) და უზრუნველყოფილია ცენტრალური გათბობით, ბუნებრივი/ხელოვნური განათებითა და ვენტილაციით. სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმების დაცვა კონტროლდება შესაბამისი განრიგით და ექვემდებარება შიდა მონიტორინგს.

განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა უსაფრთხოებას: სამივე კორპუსი აღჭურვილია ვიდეოსათვალთვალო (37 კამერა) და სახანძრო უსაფრთხოების სისტემებით. მოქმედებს საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, რომელიც შეთანხმებულია შესაბამის სახელმწიფო უწყებასთან. შენობაში ფუნქციონირებს სამედიცინო კაბინეტი და პერსონალი პერიოდულად გადის გადამზადებას პირველად გადაუდებელ დახმარებაში. ინფრასტრუქტურისა და რესურსების შეფასება ხორციელდება რეგულარულად, ინვენტარიზაციისა და დაინტერესებულ მხარეთა (მათ შორის "ანონიმური ყუთის" მეშვეობით) გამოკითხვის საფუძველზე.

დაწესებულების IT ინფრასტრუქტურა გამართულია და ხელს უწყობს როგორც ადმინისტრაციული, ისე სასწავლო პროცესების შეუფერხებელ მიმდინარეობას. აკადემიაში ფუნქციონირებს 7 კომპიუტერული ლაბორატორია (Windows 10/11 სისტემებით). ქსელური უსაფრთხოება უზრუნველყოფილია თანამედროვე აპარატურით (Microtik, Fortigate Firewall). მონაცემთა დაცვა რეგულირდება "პერსონალურ მონაცემთა დამუშავების პოლიტიკით," ხოლო ამ მიმართულებით აკადემია თანამშრომლობს სპეციალიზებულ გარე ორგანიზაციასთან და დანიშნული ჰყავს მონაცემთა დაცვის ოფიცერი.

ადმინისტრაციული მართვა სრულად ციფრულია. წარმატებით დანერგილია ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემა (e-flow) და ელექტრონული ხელმოწერის პროგრამა (signify). შიდა კომუნიკაციისთვის აქტიურად გამოიყენება კორპორატიული Google ელ. ფოსტა და Microsoft Teams. ინოვაციური პროექტი „ჩემი SBA“ აერთიანებს ყველა საჭირო ინფორმაციას (განრიგი, შეფასებები) ერთ პლატფორმაზე. პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში (e-vet.emis.ge) ინფორმაციის ასახვა წარმოებს დადგენილი წესებისა და ვადების სრული დაცვით.

აკადემია მიზანმიმართულად და გამჭვირვალედ წარმართავს საზოგადოებასთან კომუნიკაციას. განახლებული ოფიციალური ვებგვერდი (რომელიც ხელმისაწვდომია ქართულ, ინგლისურ და გერმანულ ენებზე) და სოციალური ქსელები (Facebook, YouTube, Instagram) უზრუნველყოფენ

სანდო და დროული ინფორმაციის გავრცელებას. ვებგვერდზე განთავსებული საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი რეგულარულად ახლდება და შეიცავს დეტალურ ინფორმაციას დაშვების წინაპირობების, ხანგრძლივობისა და საფასურის შესახებ. მიღებული უკუკავშირი სისტემატურად განიხილება მენეჯმენტის მიერ სერვისების გაუმჯობესების მიზნით.

დაწესებულების ფინანსური მდგომარეობა სტაბილურია და სრულად უზრუნველყოფს სტრატეგიული მიზნების მიღწევას. ფინანსური მართვა ხორციელდება "საადრიცხვო პოლიტიკისა და წესის" საფუძველზე. საპროგნოზო ბიუჯეტი დგება რეალური შემოსავლებისა და სამოქმედო გეგმის გათვალისწინებით. საოპერაციო ხარჯები სრულად არის დაფინანსებული, რასაც ადასტურებს წინა პერიოდების (2023-2024 წწ.) ფაქტობრივი შესრულების ანგარიშები. ფინანსური მდგრადობის ობიექტური შეფასების მიზნით, აკადემია ყოველწლიურად ამზადებს და შესაბამის სახელმწიფო პორტალზე (rms.reportal.ge) ატვირთავს სრულყოფილ ფინანსურ ანგარიშგებას, რაც უზრუნველყოფს პროცესების მაღალ გამჭვირვალობას.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა– „შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები“

„შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები“ (კოდი 0712) წარმოადგენს მეხუთე დონის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას, რომელიც მიზნად ისახავს შრომის უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვის სფეროში უმაღლესი კვალიფიკაციის სპეციალისტების მომზადებას. პროგრამა ხორციელდება ქალაქ თბილისში, რუსთავის გზატკეცილის #18-22-ში მდებარე „საქართველოს ბიზნესის აკადემია-SBA-ს“ ბაზაზე. სწავლება მიმდინარეობს რეალურ სამუშაო გარემოში, კოოპერაციული ფორმატით, რაც სტუდენტებს საშუალებას აძლევს თეორიულ ცოდნასთან ერთად პრაქტიკული გამოცდილება უშუალოდ საწარმოო ობიექტებზე მიიღონ. პროგრამის მოცულობა ქართულენოვანი სტუდენტებისთვის 120 კრედიტს შეადგენს, ხოლო არაქართულენოვანი პირებისთვის, სახელმწიფო ენის მოდულების გათვალისწინებით – 150 კრედიტს. ექსპერტთა ჯგუფი დაეთანხმა სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაზრდას 360 პირამდე, რაც სრულ შესაბამისობაშია დაწესებულების ინფრასტრუქტურულ სიმძლავრეებსა და ადამიანურ რესურსებთან.

პროგრამის განხორციელების გადაწყვეტილება ეფუძნება აკადემიის მისიასა და შრომის ბაზრის სიღრმისეულ ანალიზს. „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ ორგანული კანონის მიღებამ მკვეთრად გაზარდა მოთხოვნა სერტიფიცირებულ სპეციალისტებზე როგორც კერძო, ისე საჯარო სექტორში. პროგრამა ორიენტირებულია ისეთი კომპეტენციების განვითარებაზე, რომლებიც დაკავშირებულია სამუშაო გარემოში საფრთხეების იდენტიფიცირებასთან, რისკების შეფასებასთან, პრევენციული ღონისძიებების შემუშავებასა და ნარჩენების მართვასთან. პროგრამაზე დაშვების წინაპირობად განსაზღვრულია სრული ზოგადი განათლება და პროფესიული ტესტირების წარმატებით ჩაბარება, რაც უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევისათვის აუცილებელი პოტენციალის მქონე პირთა შერჩევას.

მატერიალურ-ტექნიკური ბაზა სრულად პასუხობს სწავლების თანამედროვე სტანდარტებს. აკადემიაში მოწყობილია სამი A ტიპის აუდიტორია (#203, #202, #201) და სამი B ტიპის კომპიუტერული ლაბორატორია (#118, #117, #113), რომლებიც აღჭურვილია სენსორული დაფებით, პროექტორებითა და პერსონალური კომპიუტერებით. განსაკუთრებით აღსანიშნავია C გარემო – უსაფრთხოების უნარების ლაბორატორია, სადაც სტუდენტები პრაქტიკულ მეცადინეობებს გადიან. პრაქტიკული კომპონენტის რეალიზებისათვის დაწესებულებას გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები 10 პარტნიორ ორგანიზაციასთან, მათ შორის სს „გუდვილთან“, ინგოროყვას კლინიკასთან და სხვადასხვა პროფესიულ კოლეჯებთან. საგანმანათლებლო რესურსები ხელმისაწვდომია აკადემიის ბიბლიოთეკაში, ხოლო სასწავლო პროცესის მართვისთვის გამოიყენება ინოვაციური ელექტრონული პლატფორმა „ჩემი SBA“.

პროგრამის მდგრადობას უზრუნველყოფს 42 კვალიფიციური პროფესიული განათლების მასწავლებელი, რომელთაგან 25 უშუალოდ დარგობრივ მოდულებს უძღვება. თითოეულ მოდულს ჰყავს მინიმუმ ორი განმახორციელებელი, რაც პროცესის უწყვეტობასა და ჩანაცვლებადობას განაპირობებს. პროგრამას ხელმძღვანელობს შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე პირი, რომელიც აქტიურად არის ჩართული სწავლების მონიტორინგსა და განვითარებაში. ფინანსური თვალსაზრისით პროგრამა რენტაბელურია – მისი მდგრადობის ზღვარი 17 სტუდენტზე გადის, რაც საოპერაციო ხარჯების სრულ დაფარვასა და ხარისხის შენარჩუნებას უზრუნველყოფს. გარემო სრულად ადაპტირებულია სსსმ და შშმ პირთა საჭიროებებზე, მათ შორის უზრუნველყოფილია ხმის აღწარმოების პროგრამები უსინათლო პირებისთვის და აქსესუბრი ენის თარჯიმნის მომსახურება.

ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები ეყრდნობა სისტემურ PDCA ციკლს და ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებისა და დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის მუდმივ მონიტორინგს. აღსანიშნავია 2025 წელს განხორციელებული პროექტი „გააზიარე ცოდნა – გახდი პროფესიული მასწავლებელი“, რომლის ფარგლებშიც გამოიკვეთა ინიციატივა სტანდარტში ტრენერობის სწავლების კომპონენტის დამატების შესახებ. შეფასების სისტემა ვალიდური და ობიექტურია, ხოლო შიდა ვერიფიკაციის პროცედურები უზრუნველყოფს ინსტრუმენტებისა და მტკიცებულებების ხარისხის კონტროლს.

სასწავლო პროცესი და სტუდენტთა შეფასება ორგანიზებულია მოქნილად, სწავლების აქტიური მეთოდების (ტექნიკური უნარის დემონსტრირება, პრობლემების გადაჭრა, კეთება ინსტრუქტაჟით) გამოყენებით. სტუდენტებს აქვთ წვდომა შეფასების შედეგებზე ელექტრონული სისტემის საშუალებით და იღებენ დროულ უკუკავშირს მასწავლებლებისგან. მტკიცებულებების აღრიცხვა და შენახვა ხორციელდება სამწლიანი ვადით, ხოლო შეფასების უწყისები აკადემიის არქივში ინახება უვადოდ, რაც უზრუნველყოფს საქმისწარმოების გამართულობასა და პროცესის აკადემიურ კეთილსინდისიერებას.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა – „ლოგისტიკა“

ლოგისტიკის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა წარმოადგენს მეოთხე დონის კვალიფიკაციას, რომელიც მიზნად ისახავს ტვირთების ექსპედიციების სფეროსათვის საშუალო პროფესიული კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტების მომზადებას. პროგრამა ხორციელდება ქალაქ თბილისში, რუსთავის გზატკეცილის #18-22-ში მდებარე აკადემიის ბაზაზე, რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების (კოოპერაციული) ფორმატით. საგანმანათლებლო კურსის მოცულობა ქართულენოვანი სტუდენტებისთვის განსაზღვრულია 90 კრედიტით, ხოლო ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირების შემთხვევაში – 118 კრედიტით. არაქართულენოვანი პირებისთვის პროგრამის მოცულობა 120-დან 148 კრედიტამდე მერყეობს. ექსპერტთა ჯგუფი სრულად დაეთანხმა სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას 180 პირის ოდენობით, რაც შეესაბამება დაწესებულების გაფართოებულ ინფრასტრუქტურულ შესაძლებლობებსა და პარტნიორი ორგანიზაციების გამტარუნარიანობას. პროგრამის განხორციელების გადაწყვეტილება ეფუძნება აკადემიის მისიასა და შრომის ბაზრის სიღრმისეულ კვლევას, რომელმაც ლოგისტიკისა და საექსპედიტორო მომსახურების სექტორში კვალიფიციური პერსონალის მზარდი მოთხოვნა გამოკვეთა. პროგრამა ორიენტირებულია ისეთი კომპეტენციების განვითარებაზე, რომლებიც დაკავშირებულია სატრანსპორტო ოპერაციების დაგეგმვასთან, დოკუმენტაციის მომზადებასთან, ტვირთის გადაზიდვის კონტროლსა და მომსახურების ხარისხის მართვასთან. პროგრამაზე დაშვების წინაპირობად განსაზღვრულია სრული ზოგადი განათლება, ხოლო შერჩევის პროცედურა მოიცავს შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებულ ტესტირებას. აკადემიის მრავალწლიანი გამოცდილება ამ მიმართულებით პროგრამის მდგრადობისა და კურსდამთავრებულთა მაღალი დასაქმების მაჩვენებლის მყარ გარანტიას ქმნის.

მატერიალურ-ტექნიკური ბაზა სრულად პასუხობს სწავლების თანამედროვე მოთხოვნებს და დარგის სპეციფიკას. პროგრამა უზრუნველყოფილია სათანადოდ აღჭურვილი A და B ტიპის

სასწავლო გარემოებით, სადაც სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომია პერსონალური კომპიუტერები და სპეციალიზებული პროგრამული უზრუნველყოფა (მაგალითად, NCTS და USU). პრაქტიკული კომპონენტის (C გარემო) რეალიზებისათვის აკადემიას გაფორმებული აქვს მემორანდუმები 7 წამყვან ორგანიზაციასთან, მათ შორის სატვირთო ტერმინალ „გაკოსთან“, რაც სტუდენტებს საშუალებას აძლევს რეალურ გარემოში დაეუფლონ ტვირთების დამუშავების ტექნოლოგიებს. საგანმანათლებლო რესურსები ხელმისაწვდომია აკადემიის ბიბლიოთეკაში, ხოლო სასწავლო პროცესის მართვისთვის გამოიყენება ინოვაციური ელექტრონული პლატფორმა „ჩემი SBA“, რომელიც უზრუნველყოფს ინფორმაციის გამჭვირვალობასა და ხელმისაწვდომობას.

პროგრამის მდგრადობას უზრუნველყოფს 56 კვალიფიციური პროფესიული განათლების მასწავლებელი. თითოეულ მოდულს ჰყავს რამოდენიმე განმახორციელებელი, რაც პროცესის უწყვეტობასა და ჩანაცვლებადობას განაპირობებს. პროგრამას ხელმძღვანელობს შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე პირი, რომელიც აქტიურად არის ჩართული სწავლების მონიტორინგსა და განვითარებაში. ფინანსური თვალსაზრისით პროგრამა რენტაბელურია – მისი მდგრადობის ზღვარი 18 სტუდენტზე გადის, რაც საოპერაციო ხარჯების სრულ დაფარვასა და ხარისხის შენარჩუნებას უზრუნველყოფს. გარემო სრულად ადაპტირებულია სპეციალური საჭიროებების მქონე პირთათვის, რაც მოიცავს როგორც ფიზიკურ ინფრასტრუქტურას (სპეცმოწყობილობები, ლიფტები), ისე ადაპტირებულ ელექტრონულ რესურსებსა და ხმის აღწარმოების პროგრამებს. აკადემიაში არსებული საგანმანათლებლო და მატერიალური რესურსები ფუნქციურად უკავშირდება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მიზნებს და ეფექტიანად უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტების მიერ პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. აკადემიამ პირველადად წარმოადგინა 6 კომპანიასთან გაფორმებული ხელშეკრულება ჯამურად 145 პროფესიულ სტუდენტზე, ხოლო ვიზიტის დროს წარმოადგინა კიდევ ერთი ხელშეკრულება დამატებით 80 პროფესიულ სტუდენტზე. 7 კომპანიასთან გაფორმებული ხელშეკრულება და პროგრამის განხორციელებისთვის დათმობილი კოლეჯის სააუდიტორიო ფართი უზრუნველყოფს დაწესებულების მიერ მოთხოვნილი პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობის (180) გატარებას. წარდგენილი დოკუმენტებით დასტურდება, რომ ყველა განმახორციელებელი მასწავლებლის დატვირთვა შეესაბამება „საქართველოს შრომის კოდექსის“ მოთხოვნებს; კვირაში საერთო სამუშაო დატვირთვა არ აღემატება 40 საათს, ხოლო განაწილება ოპტიმალურია და არ ქმნის გადატვირთვის ან პროცესის შეფერხების ალბათობას.

ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები ეყრდნობა სისტემურ PDCA ციკლს და ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებისა და დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის მუდმივ მონიტორინგს. ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, ხარისხის მართვის სამსახური ეფექტიანად ახორციელებს პროგრამის შუალედურ შეფასებასა და ვერიფიკაციას. აღსანიშნავია აკადემიის პასუხისმგებლიანი მიდგომა მასალა-ნედლეულის შესყიდვისა და ნარჩენების მართვის საკუთარი რეგულაციების მიმართ, რაც უსაფრთხო სასწავლო გარემოს შენარჩუნებას ემსახურება.

სასწავლო პროცესი და სტუდენტთა შეფასება ორგანიზებულია მოქნილად, სწავლების თანამედროვე მეთოდების (ქეის-სტადიები, სიმულაციები, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება) გამოყენებით. შეფასების სისტემა ვალიდური და ობიექტურია, ხოლო შიდა ვერიფიკაციის მექანიზმი უზრუნველყოფს ინსტრუმენტებისა და მტკიცებულებების ხარისხის კონტროლს. განმავითარებელი შეფასების მექანიზმები სტუდენტებს აძლევს დროულ უკუკავშირს მათი პროფესიული ზრდისთვის, რაც დასტურდება სტუდენტთა კმაყოფილების კვლევებით. მტკიცებულებების აღრიცხვა და შენახვა ხორციელდება სამწლიანი ვადით, ხოლო შეფასების უწყისები აკადემიის არქივში ინახება უვადოდ, რაც უზრუნველყოფს საქმისწარმოების გამართულობასა და პროცესის აკადემიურ კეთილსინდისიერებას.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა – „ინფორმაციის ტექნოლოგია“

„ინფორმაციის ტექნოლოგია“ (კოდი 0612) წარმოადგენს მესამე დონის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას, რომელიც მიზნად ისახავს ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერაში საბაზო პროფესიული კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტების მომზადებას. პროგრამა ხორციელდება ქალაქ თბილისში, რუსთავის გზატკეცილის #18-22-ში მდებარე შპს „საქართველოს ბიზნესის აკადემია-SBA“-ს ბაზაზე. სწავლება მიმდინარეობს იმიტირებულ სამუშაო გარემოში, რაც სტუდენტებს საშუალებას აძლევს აკადემიის ინფრასტრუქტურის გამოყენებით დაეუფლონ პრაქტიკულ ტექნიკურ უნარ-ჩვევებს. პროგრამის მოცულობა ქართულენოვანი სტუდენტებისთვის განსაზღვრულია 55 კრედიტით, ხოლო არაქართულენოვანი პირებისთვის, ქართული ენის მოდულების (A2 და B1) გათვალისწინებით – 70 კრედიტით. ექსპერტთა ჯგუფი სრულად დაეთანხმა სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას 30 პირის ოდენობით, რაც ითვალისწინებს სასწავლო პროცესის ორ ცვლაში წარმართვას და სრულ შესაბამისობაშია დაწესებულების რესურსებთან.

პროგრამის განხორციელების გადაწყვეტილება ეფუძნება აკადემიის სტრატეგიულ მიზნებსა და შრომის ბაზრის სიღრმისეულ ანალიზს. თანამედროვე ბიზნეს-პროცესების გაციფრულება, აუტოსორსინგის მზარდი ტენდენცია და ადგილობრივი სტარტაპ ეკოსისტემის განვითარება ქმნის მუდმივ და მაღალ მოთხოვნას IT მხარდაჭერის კვალიფიციურ სპეციალისტებზე. პროგრამაზე დაშვების წინაპირობად განსაზღვრულია საბაზო ზოგადი განათლება, ხოლო შერჩევისა და ჩარიცხვის პროცედურები სრულად შეესაბამება მოქმედ ეროვნულ სამართლებრივ ჩარჩოს, რაც უზრუნველყოფს გამჭვირვალე და სამართლიან მიღებას.

მატერიალურ-ტექნიკური ბაზა სრულად პასუხობს IT სფეროს სწავლების თანამედროვე მოთხოვნებს. აკადემიაში მოწყობილია A, B და C ტიპის სასწავლო სივრცეები (მათ შორის ლაბორატორიები), რომლებიც აღჭურვილია 15 პერსონალური კომპიუტერით, სმარტ დაფებით, კომბაინებითა და უწყვეტი კვების წყაროებით. საგანმანათლებლო რესურსები ხელმისაწვდომია როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონული სახით აკადემიის ბიბლიოთეკაში. სასწავლო პროცესის ოპტიმიზაციისთვის ინტეგრირებულია ინოვაციური ელექტრონული პლატფორმა „ჩემი SBA“, სადაც სტუდენტებს აქვთ წვდომა განრიგზე, შეფასებებსა და სასწავლო მასალებზე.

პროგრამის მდგრადობას უზრუნველყოფს 15 კვალიფიციური პროფესიული განათლების მასწავლებელი, რომელთაგან 6 უშუალოდ დარგობრივ მოდულებს უძღვება. თითოეულ მოდულს ჰყავს მინიმუმ ორი განმახორციელებელი, რაც სასწავლო პროცესის უწყვეტობას განაპირობებს. პროგრამას ხელმძღვანელობს შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე პირი. ფინანსური თვალსაზრისით პროგრამა რენტაბელურია – მისი მდგრადობის ზღვარი 19 სტუდენტზე გადის. სასწავლო გარემო სრულად არის ადაპტირებული სსსმ და შშმ პირთა საჭიროებებზე, უზრუნველყოფილია ხმის აღწარმოების პროგრამები უსინათლო პირებისთვის და ხელმისაწვდომია ქესტური ენის თარჯიმნისა და სპეციალური მასწავლებლის სერვისები.

ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები ეყრდნობა სისტემურ PDCA ციკლს და ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებისა და დაინტერესებული მხარეების (სტუდენტები, კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები) უკუკავშირის მუდმივ ანალიზს. სასწავლო პროცესი და სტუდენტთა შეფასება ორგანიზებულია მოქნილად, სწავლების აქტიური და თანამედროვე მეთოდების (ტექნიკური უნარის დემონსტრირება, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება) გამოყენებით. შეფასების სისტემა ვალიდური და ობიექტურია, ხოლო შიდა ვერიფიკაციის პროცედურები უზრუნველყოფს ინსტრუმენტებისა და მტკიცებულებების ხარისხის კონტროლს. უსაფრთხოების ნორმები და საქმისწარმოების სტანდარტები დაწესებულებაში უმაღლეს დონეზეა დაცული.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა – „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“

„კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ (სფეროს კოდი 0612) არის მეოთხე დონის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც მიზნად ისახავს კომპიუტერულ ქსელსა და სისტემებში საშუალო პროფესიული კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტების მომზადებას. პროგრამა ხორციელდება ქალაქ თბილისში, შპს „საქართველოს ბიზნესის აკადემია-SBA“-ს

ბაზაზე. პროგრამის განხორციელების ფორმა არის იმიტირებული სამუშაო გარემო. პროგრამის მოცულობა ქართულენოვანი სტუდენტებისთვის არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში 87 კრედიტს, ხოლო ინტეგრირებულის შემთხვევაში 117 კრედიტს შეადგენს (არაქართულენოვანი პირებისთვის ეს მაჩვენებელი შესაბამისად 117 და 147 კრედიტია). ექსპერტთა ჯგუფი სრულად სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას 180 პირის ოდენობით, რადგან აღნიშნული კვოტა აბსოლუტურ შესაბამისობაშია დაწესებულების ინფრასტრუქტურულ გამტარუნარიანობასა და ადამიანურ რესურსებთან, სადაც სასწავლო პროცესის ორგანიზება საჭიროების შემთხვევაში ორ ცვლაშია შესაძლებელი.

პროგრამის განხორციელების გადაწყვეტილება ემყარება აკადემიის სტრატეგიულ მიზნებსა და შრომის ბაზრის დეტალურ ანალიზს. ინფორმაციული ტექნოლოგიების სპეციალისტებზე მზარდი მოთხოვნა დასტურდება ტექნოლოგიური განვითარების მაღალი ტემპით, ციფრული სერვისების გაფართოებით, საქართველოში IT აუთსორსინგის პოპულარიზაციითა და სტარტაპ ეკოსისტემის სწრაფი განვითარებით. აღნიშნული ფაქტორები კურსდამთავრებულებს დასაქმების ფართო პერსპექტივებს უქმნის. პროგრამაზე დაშვების წინაპირობად, სასწავლო გეგმის ტიპის მიხედვით, განსაზღვრულია საბაზო ან სრული ზოგადი განათლება, რაც ჩარიცხვის გამჭვირვალე პროცედურებთან ერთად უზრუნველყოფს სათანადო მზაობის მქონე პირების დაშვებასა და პროგრამის მოთხოვნების დაძლევას.

სასწავლო პროცესი მიმდინარეობს აკადემიის თანამედროვედ აღჭურვილ ინფრასტრუქტურაში, რომელიც სრულად აკმაყოფილებს A, B და C ტიპის სასწავლო გარემოს მოთხოვნებს. დარგობრივი მოდულებისთვის გამოყოფილია B/C ტიპის კომპიუტერული ლაბორატორიები 30 სამუშაო ადგილით, სადაც თითოეული პერსონალური კომპიუტერი ჩართულია შიდა ქსელში და უზრუნველყოფილია ინტერნეტით. აუდიტორიები დამატებით აღჭურვილია სმარტ დაფებითა და უწყვეტი კვების წყაროებით. ინტეგრირებული მოდულებისთვის (მაგალითად, „მეცნიერება და ტექნოლოგიები“) ფუნქციონირებს განახლებული ქიმიურ-ბიოლოგიურ-ტექნოლოგიური ლაბორატორია და სპორტული მოედანი. საგანმანათლებლო რესურსები ხელმისაწვდომია როგორც მატერიალურად, ასევე ელექტრონულად. განსაკუთრებით აღსანიშნავია ელექტრონული პლატფორმა „ჩემი SBA“, რომელიც აერთიანებს სასწავლო პროცესის მართვის, შეფასების გაცნობისა და კომუნიკაციის ფუნქციებს. ინფრასტრუქტურა სრულად ადაპტირებულია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთათვის, მათ შორის, დანერგილია ხმის აღწარმოების პროგრამები უსინათლოთათვის და უზრუნველყოფილია ჟესტური ენის თარჯიმნის სერვისი.

პროგრამის განხორციელების უმაღლეს ხარისხსა და მდგრადობას უზრუნველყოფს 52 კვალიფიციური პროფესიული განათლების მასწავლებელი, რომელთაგან 11 უშუალოდ დარგობრივ მოდულებს უძღვება. მნიშვნელოვანია, რომ თითოეულ მოდულს ემსახურება მინიმუმ ორი განმახორციელებელი, რაც სასწავლო პროცესის უწყვეტობისა და პედაგოგთა საათობრივი დატვირთვის ოპტიმიზაციის (არაუმეტეს 40 საათი კვირაში) მყარ გარანტიას ქმნის. პროგრამას ხელმძღვანელობს შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციისა და გამოცდილების მქონე პირი. ფინანსური თვალსაზრისით, პროგრამა გამოირჩევა მაღალი მდგრადობით: რენტაბელობის ზღვარი არაინტეგრირებული გეგმისთვის 17, ხოლო ინტეგრირებულისთვის 18 სტუდენტზე გადის. ბიუჯეტი დეტალურად ფარავს როგორც საოპერაციო ხარჯებსა და ინფრასტრუქტურის განახლებას, ისე სტუდენტური ინიციატივების მხარდაჭერას.

ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები ეფუძნება სისტემურ PDCA ციკლს, რაც მოიცავს შეფასების ინსტრუმენტების რეგულარულ ვერიფიკაციასა და დაინტერესებული მხარეების (სტუდენტები, კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები) კმაყოფილების კვლევებს. სასწავლო პროცესი ორგანიზებულია მოქნილად და ორიენტირებულია სტუდენტთა ინდივიდუალურ საჭიროებებზე – წარმატებით გამოიყენება ინდივიდუალური სასწავლო გეგმები მობილობისა და სტატუსის აღდგენის შემთხვევებში. სტუდენტთა შეფასების სისტემა არის ვალიდური, ობიექტური და გამჭვირვალე, სადაც აქტიურად გამოიყენება განმავითარებელი შეფასება მუდმივი უკუკავშირისთვის. საქმისწარმოების წესების დაცვით, შეფასების მტკიცებულებები

ინახება სამი წლის ვადით, ხოლო შეფასების უწყისები – უვადოდ. აღსანიშნავია აკადემიის მაღალი პასუხისმგებლობა გარემოსდაცვითი და უსაფრთხოების კუთხით, რაც გამოიხატება შრომის უსაფრთხოების წესების მკაცრ დაცვასა და ნარჩენების პრევენციის მიზნით ქიმიური ლაბორატორიული მასალების წინასწარ დაფასოებული სახით შესყიდვის პრაქტიკაში.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა – „ვებტექნოლოგიები (Front-end დეველოპმენტი)“

„ვებტექნოლოგიები (Front-end დეველოპმენტი)“ (სფეროს კოდი 0612) არის მეოთხე დონის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც მიზნად ისახავს Front-end დეველოპმენტში საშუალო პროფესიული კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტების მომზადებას. პროგრამა ხორციელდება ქალაქ თბილისში, შპს „საქართველოს ბიზნესის აკადემია-SBA“-ს ბაზაზე. პროგრამის განხორციელების ფორმა არის იმიტირებული სამუშაო გარემო. პროგრამის მოცულობა ქართულენოვანი სტუდენტებისთვის არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში 60 კრედიტს, ხოლო ინტეგრირებულის შემთხვევაში 88 კრედიტს შეადგენს (არაქართულენოვანი პირებისთვის ეს მაჩვენებელი შესაბამისად 90 და 118 კრედიტია). ექსპერტთა ჯგუფი სრულად დაეთანხმა სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას 90 პირის ოდენობით, რადგან აღნიშნული კვოტა სრულ შესაბამისობაშია დაწესებულების ინფრასტრუქტურულ და ადამიანურ რესურსებთან, სადაც სასწავლო პროცესის ორგანიზება, გამტარუნარიანობის გათვალისწინებით, ორ ცვლაშია შესაძლებელი.

პროგრამის დანერგვა და განხორციელების გადაწყვეტილება ემყარება აკადემიის სტრატეგიულ მიზნებსა და შრომის ბაზარზე IT მიმართულების კადრებზე არსებულ მზარდ მოთხოვნას. ვებ-დეველოპმენტის აქტუალობა პირდაპირ კავშირშია ტექნოლოგიური განვითარების მაღალ ტემპთან, კომპანიების ციფრულ ტრანსფორმაციასთან, საქართველოში IT აუთსორსინგისა და სტარტაპ ეკოსისტემის სწრაფ განვითარებასთან. ეს ყოველივე კურსდამთავრებულებს დასაქმების ფართო პერსპექტივებს უქმნის როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო ბაზარზე. პროგრამაზე დაშვების წინაპირობად განსაზღვრულია საბაზო ან სრული ზოგადი განათლება (იმის მიხედვით, ინტეგრირებულ პროგრამაზე ირიცხება პირი თუ არა) და დაწესებულების მიერ დადგენილი გამჭვირვალე ჩარიცხვის პროცედურები, რაც უზრუნველყოფს სათანადო მზაობის მქონე პირების შერჩევას.

სასწავლო პროცესი მიმდინარეობს აკადემიის თანამედროვედ აღჭურვილ ინფრასტრუქტურაში, რომელიც სრულად აკმაყოფილებს A, B და C ტიპის სასწავლო გარემოს მოთხოვნებს. თეორიული სწავლებისთვის გამოყოფილია შესაბამისი აუდიტორიები, ხოლო დარგობრივი მოდულების პრაქტიკული რეალიზებისთვის ფუნქციონირებს კომპიუტერული ლაბორატორიები 45 სამუშაო ადგილით. თითოეული კომპიუტერი ჩართულია შიდა ქსელში და უზრუნველყოფილია მაღალსიჩქარიანი ინტერნეტით. ინტეგრირებული მოდულებისთვის დამატებით მოწყობილია განახლებული ქიმიურ-ბიოლოგიურ-ტექნოლოგიური ლაბორატორია და სპორტული მოედანი. საგანმანათლებლო რესურსები სრულად არის ხელმისაწვდომი როგორც მატერიალური, ისე ელექტრონული ფორმით. აკადემიაში ეფექტურად ფუნქციონირებს ელექტრონული პლატფორმა „ჩემი SBA“, რომელიც სასწავლო პროცესის მართვის, შეფასების გაცნობისა და კომუნიკაციის ერთიან სივრცეს წარმოადგენს. სასწავლო გარემო ადაპტირებულია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებისა და შშმ პირთათვის, რაც მოიცავს უსინათლოთათვის განკუთვნილ ხმის აღწარმოების პროგრამებსა და ჟესტური ენის თარჯიმნის სერვისს.

პროგრამის ხარისხიანად განხორციელებასა და მდგრადობას უზრუნველყოფს 27 კვალიფიციური პროფესიული განათლების მასწავლებელი, რომელთაგან 5 უშუალოდ დარგობრივ მოდულებს უძღვება. მნიშვნელოვანია, რომ თითოეულ მოდულს ემსახურება მინიმუმ ორი პედაგოგი, რაც სასწავლო პროცესის უწყვეტობისა და მასწავლებელთა ოპტიმალური საათობრივი დატვირთვის (არაუმეტეს 40 საათი კვირაში) გარანტიას ქმნის. პროგრამას ხელმძღვანელობს შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციისა და გამოცდილების მქონე პირი. ფინანსური თვალსაზრისით, პროგრამა მაღალი მდგრადობით გამოირჩევა – მისი

რენტაბელობის ზღვარი 17 სტუდენტზე გადის. ბიუჯეტი რეალისტურადაა გაწერილი და სრულად ფარავს საოპერაციო ხარჯებს, ინფრასტრუქტურის განახლებასა და სტუდენტური ინიციატივების მხარდაჭერას.

ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები ეფუძნება სისტემურ PDCA ციკლს, რაც გულისხმობს მუდმივ მონიტორინგს, დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის ანალიზსა და შეფასების ინსტრუმენტების რეგულარულ ვერიფიკაციას. სასწავლო პროცესი მოქნილია და ითვალისწინებს სტუდენტთა ინდივიდუალურ საჭიროებებს, რაც პრაქტიკაში დასტურდება მობილობისა და სტატუსის აღდგენის შემთხვევებში ინდივიდუალური სასწავლო გეგმების აქტიური გამოყენებით. შეფასების სისტემა არის ვალიდური, ობიექტური და გამჭვირვალე. სასწავლო პროცესში ინტენსიურად გამოიყენება განმავითარებელი შეფასება, რაც უზრუნველყოფს სტუდენტთა მუდმივ უკუკავშირს. საქმისწარმოების წესების სრული დაცვით, შეფასების მტკიცებულებები ინახება სამი წლის ვადით, ხოლო შეფასების უწყისები – უვადოდ. აკადემიაში არის დაცული შრომის უსაფრთხოებისა და ნარჩენების მართვის ნორმები, რითაც იქმნება მაქსიმალურად დაცული და ეკოლოგიურად პასუხისმგებლიანი სასწავლო გარემო.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა – „საბაჟო საქმე“ (ქართულენოვანი)

„საბაჟო საქმე“ არის მეხუთე დონის პროგრამა, რომელიც მიზნად ისახავს საბაჟო საქმეში უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტების მომზადებას. პროგრამა ხორციელდება ქალაქ თბილისში, შპს „საქართველოს ბიზნესის აკადემია-SBA“-ს ბაზაზე, კოოპერაციული სწავლების ფორმით (რეალურ სამუშაო გარემოში). პროგრამის მოცულობა ქართულენოვანი არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში 99.5 კრედიტს (არაქართულენოვანი პირებისთვის 129.5 კრედიტს) შეადგენს, ექსპერტთა ჯგუფი სრულად დაეთანხმა სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრას: ქართულენოვან პროგრამაზე 90 პირის ოდენობით, რაც შესაბამისობაშია დაწესებულების ინფრასტრუქტურულ გამტარუნარიანობასა და დაგეგმილ ორცვლიან სწავლების რეჟიმთან.

პროგრამის განხორციელების გადაწყვეტილება ემყარება აკადემიის სტრატეგიულ მიზნებს და პირდაპირ პასუხობს შრომის ბაზრის მზარდ მოთხოვნებს, რაც განპირობებულია ქვეყნის ეკონომიკური, სავაჭრო და სატრანზიტო პოტენციალის ზრდით (განსაკუთრებით „შუა კორიდორის“ განვითარების კონტექსტში). ქართულენოვან პროგრამაზე დაშვების წინაპირობად განსაზღვრულია სრული ზოგადი განათლება და შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებული პროფესიული ტესტირების ჩაბარება, აღსანიშნავია, რომ პროგრამა მოიცავს ისეთ მნიშვნელოვან არჩევით მოდულებს, როგორცაა „სერვის პლუსი“ და უცხო ენა (რუსული), რაც კურსდამთავრებულებს კორპორაციული გარემოს შექმნის, ეფექტური კომუნიკაციისა და მომხმარებელთა მომსახურების მაღალი სტანდარტების დანერგვის უნარებს უვითარებს.

სასწავლო პროცესი ეფუძნება თეორიული და პრაქტიკული სწავლების უმაღლეს სტანდარტებს, რისთვისაც სრულად არის უზრუნველყოფილი A, B და C ტიპის სასწავლო გარემოები. აკადემიაში აქტიურად გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის მონაცემთა ავტომატიზებული სისტემა eCustoms და სპეციფიკური ინვენტარი იმიტირებული საბაჟო კონტროლისთვის (ბოროსკოპები, მბრუნავი კამერები, ტელესკოპური სარკეები). განსაკუთრებულ ძლიერ მხარეს წარმოადგენს კოოპერაციული სწავლების ფორმა – აკადემიას გაფორმებული აქვს 6-წლიანი მემორანდუმები წამყვან ორგანიზაციებთან (შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტი, შპს „ნიუ ტერმინალი“, შპს „გაკო ტერმინალი“ და სხვა), სადაც სტუდენტები უშუალოდ რეალურ სამუშაო გარემოში გამოიმუშავენ პროფესიულ უნარებს. საგანმანათლებლო რესურსები ხელმისაწვდომია როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონული სახით (პლატფორმა „ჩემი SBA“), გარემო კი სრულად არის ადაპტირებული სსსმ და შშმ პირთათვის.

ადამიანური და ფინანსური რესურსების კუთხით პროგრამა სრულად მდგრადია. ქართულენოვან პროგრამას ემსახურება 23 პროფესიული განათლების მასწავლებელი.

მნიშვნელოვანია, რომ თითოეულ მოდულს ჰყავს მინიმუმ ორი განმახორციელებელი, რაც სასწავლო პროცესის უწყვეტობას, რისკების მინიმიზაციასა და მასწავლებელთა ოპტიმალურ დატვირთვას უზრუნველყოფს. ფინანსური თვალსაზრისით, ფაქტობრივი და საპროგნოზო ბიუჯეტების ანალიზით, პროგრამების რენტაბელობის ზღვარი 17 სტუდენტზე გადის, რაც საოპერაციო, ინფრასტრუქტურულ და სტუდენტური ინიციატივების მხარდამჭერ ხარჯებს სრულად ფარავს.

ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები და სასწავლო პროცესის ორგანიზება სრულად პასუხობს ავტორიზაციის მოთხოვნებს. შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო და ობიექტური. პრაქტიკაში აქტიურად გამოიყენება სწავლების ინოვაციური მეთოდები (პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება, ქეის-სტადიები, პროფესიული როლების იმიტაცია) და განმავითარებელი შეფასება, რაც სტუდენტებს მუდმივ უკუკავშირს აძლევს. შეფასების მტკიცებულებები დადგენილი წესით ინახება 3 წლის ვადით, უწყისები კი – უვადოდ. ამასთან, სასწავლო პროცესი მკაცრად იცავს შრომის უსაფრთხოების ნორმებს როგორც აკადემიის ბაზაზე, ისე პარტნიორი ორგანიზაციების რეალურ სამუშაო გარემოში, რაც უზრუნველყოფს დაცულ და ეფექტიან საგანმანათლებლო სივრცეს.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა – „საბაჟო საქმე“ (ინგლისურენოვანი)

„საბაჟო საქმე“ (Customs Study, კოდი 1032) არის მეხუთე დონის პროგრამა, რომელიც მიზნად ისახავს საბაჟო საქმეში უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტების მომზადებას. პროგრამა ხორციელდება ქალაქ თბილისში, შპს „საქართველოს ბიზნესის აკადემია-SBA“-ს ბაზაზე, კოოპერაციული სწავლების ფორმით (რეალურ სამუშაო გარემოში). პროგრამის მოცულობა ინგლისურენოვანი პროგრამისთვის – 94.5 კრედიტს შეადგენს, ექსპერტთა ჯგუფი სრულად დაეთანხმა სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრას: ინგლისურენოვანზე – 80 პირის ოდენობით, რაც შესაბამისობაშია დაწესებულების ინფრასტრუქტურულ გამტარუნარიანობასა და დაგეგმილ ორცვლიან სწავლების რეჟიმთან.

პროგრამის განხორციელების გადაწყვეტილება ემყარება აკადემიის სტრატეგიულ მიზნებს და პირდაპირ პასუხობს შრომის ბაზრის მზარდ მოთხოვნებს, რაც განპირობებულია ქვეყნის ეკონომიკური, სავაჭრო და სატრანზიტო პოტენციალის ზრდით (განსაკუთრებით „შუა კორიდორის“ განვითარების კონტექსტში). დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს 2025 წლის 18 მარტის N295391 წერილი, რომელშიც აღნიშნულია, რომ საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო არ არის წინააღმდეგი, შპს საქართველოს ბიზნესის აკადემია - SBA - მ განახორციელოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - „საბაჟო საქმე“ - ინგლისურ ენაზე, კანონით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად.

ინგლისურენოვან პროგრამაზე დაშვების წინაპირობად აუცილებელ მოთხოვნას წარმოადგენს ინგლისური ენის სათანადო დონეზე ფლობა. აღსანიშნავია, რომ პროგრამა მოიცავს ისეთ მნიშვნელოვან არჩევით მოდულებს, როგორცაა „სერვის პლუსი“. რაც კურსდამთავრებულებს კორპორაციული გარემოს შექმნისა და მომხმარებელთა მომსახურების მაღალი სტანდარტების დანერგვის უნარებს უვითარებს.

სასწავლო პროცესი ეფუძნება თეორიული და პრაქტიკული სწავლების უმაღლეს სტანდარტებს, რისთვისაც სრულად არის უზრუნველყოფილი A, B და C ტიპის სასწავლო გარემოები. აკადემიაში აქტიურად გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის მონაცემთა ავტომატიზებული სისტემა eCustoms და სპეციფიკური ინვენტარი იმიტირებული საბაჟო კონტროლისთვის (ბოროსკოპები, მბრუნავი კამერები, ტელესკოპური სარკეები). განსაკუთრებულ ძლიერ მხარეს წარმოადგენს კოოპერაციული სწავლების ფორმა – აკადემიას გაფორმებული აქვს 6-წლიანი მემორანდუმები წამყვან ორგანიზაციებთან (შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტი, შპს „ნიუ ტერმინალი“, შპს „გაკო ტერმინალი“ და სხვა), სადაც სტუდენტები უშუალოდ რეალურ სამუშაო გარემოში გამოიმუშავენ პროფესიულ უნარებს. საგანმანათლებლო რესურსები ხელმისაწვდომია როგორც ბეჭდური, ისე

ელექტრონული სახით (პლატფორმა „ჩემი SBA“), გარემო კი სრულად არის ადაპტირებული სსსმ და შშმ პირთათვის.

ადამიანური და ფინანსური რესურსების კუთხით პროგრამა სრულად მდგრადია. ინგლისურენოვან პროგრამას ემსახურება 14 პროფესიული განათლების მასწავლებელი. მნიშვნელოვანია, რომ თითოეულ მოდულს ჰყავს მინიმუმ ორი განმახორციელებელი, რაც სასწავლო პროცესის უწყვეტობას, რისკების მინიმუმზაციასა და მასწავლებელთა ოპტიმალურ დატვირთვას უზრუნველყოფს. ფინანსური თვალსაზრისით, ფაქტობრივი და საპროგნოზო ბიუჯეტების ანალიზით, პროგრამების რენტაბელობის ზღვარი 17 სტუდენტზე გადის, რაც საოპერაციო, ინფრასტრუქტურულ და სტუდენტური ინიციატივების მხარდამჭერ ხარჯებს სრულად ფარავს.

ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები და სასწავლო პროცესის ორგანიზება სრულად პასუხობს ავტორიზაციის მოთხოვნებს. შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო და ობიექტური. პრაქტიკაში აქტიურად გამოიყენება სწავლების ინოვაციური მეთოდები (პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება, ქეის-სტადიები, პროფესიული როლების იმიტაცია) და განმავითარებელი შეფასება, რაც სტუდენტებს მუდმივ უკუკავშირს აძლევს. შეფასების მტკიცებულებები დადგენილი წესით ინახება 3 წლის ვადით, უწყისები კი – უვადოდ. ამასთან, სასწავლო პროცესი მკაცრად იცავს შრომის უსაფრთხოების ნორმებს როგორც აკადემიის ბაზაზე, ისე პარტნიორი ორგანიზაციების რეალურ სამუშაო გარემოში, რაც უზრუნველყოფს დაცულ და ეფექტიან საგანმანათლებლო სივრცეს.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა – „სკოლამდელი განათლება“

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „სკოლამდელი განათლება“ (სფეროს კოდი 0112), არის მეხუთე დონის საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც მიზნად ისახავს სკოლამდელ აღზრდაში უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტების მომზადებას. სასწავლო პროცესი ხორციელდება ქალაქ თბილისში, შპს „საქართველოს ბიზნესის აკადემია-SBA“-ს ბაზაზე, კოოპერაციული სწავლების ფორმით, რაც უშუალოდ რეალურ სამუშაო გარემოში პრაქტიკული უნარების გამომუშავებას გულისხმობს. პროგრამის მოცულობა ქართულენოვანი სტუდენტებისთვის 116 კრედიტს შეადგენს, ხოლო არაქართულენოვანი პირებისთვის, ქართული ენის შესაბამისი მოდულების ინტეგრირებით, 146 კრედიტითაა განსაზღვრული. ექსპერტთა ჯგუფმა სრულად დაუჭირა მხარი პროგრამაზე მისაღები სტუდენტების ზღვრული რაოდენობის 180 პირით განსაზღვრას, რადგან ეს მაჩვენებელი აბსოლუტურ შესაბამისობაშია დაწესებულების ინფრასტრუქტურულ გამტარუნარიანობასა და დაგეგმილ ორცვლიან სამუშაო რეჟიმთან.

პროგრამის განხორციელების გადაწყვეტილება მყარად ეფუძნება აკადემიის სტრატეგიულ მიზნებს და პირდაპირ პასუხობს შრომის ბაზარზე კვალიფიციურ სკოლამდელი განათლების სპეციალისტებზე არსებულ მზარდ მოთხოვნას. პროგრამაზე დაშვების წინაპირობად განსაზღვრულია სრული ზოგადი განათლება და შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებული პროფესიული ტესტირების წარმატებით ჩაბარება, რაც უზრუნველყოფს სათანადო მზაობის მქონე აპლიკანტების შერჩევას. სასწავლო პროცესი ეტაპობრივად და კომპლექსურად ფარავს სფეროსთვის აუცილებელ ყველა ძირითად კომპონენტს, მათ შორის ბავშვის განვითარების თავისებურებებს, ინკლუზიურ განათლებას, ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებას, ასევე სახვითი, ვიზუალური, პერფორმანსული ხელოვნებისა და მათემატიკური წარმოდგენების ფორმირების მეთოდოლოგიებს.

სასწავლო პროცესი მიმდინარეობს აკადემიის თანამედროვედ აღჭურვილ ინფრასტრუქტურაში, სადაც გამოიყოფა A და B ტიპის სასწავლო გარემოები, რომლებიც უზრუნველყოფილია შესაბამისი კომპიუტერული და სადემონსტრაციო ტექნიკით. პროგრამის განსაკუთრებულ სიძლიერეს წარმოადგენს მისი კოოპერაციული ფორმატი, რის ფარგლებშიც აკადემიას გრძელვადიანი ხელშეკრულებები აქვს გაფორმებული თბილისის არაერთ საჯარო (მაგალითად, 76-ე, 145-ე, 58-ე, 36-ე ბაგა-ბაღები) და კერძო (შპს „ცეროდენა“, შპს „ბაგრატიონი

2012“) სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებასთან. პარტნიორი ორგანიზაციების ერთობლივი გამტარუნარიანობა 210 სტუდენტს შეადგენს, რაც სრულად ფარავს პროგრამის კვოტას და სტუდენტებს აძლევს უნიკალურ შესაძლებლობას, პროფესიული საქმიანობა უშუალოდ დამსაქმებლის ბაზაზე შეისწავლონ. საგანმანათლებლო რესურსები, მათ შორის ელექტრონული პლატფორმა „ჩემი SBA“, შეუფერხებლად არის ხელმისაწვდომი, ხოლო გარემო სრულად არის ადაპტირებული სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთათვის.

ადამიანური და ფინანსური რესურსების კუთხით, პროგრამის ხარისხიანად განხორციელებასა და მდგრადობას უზრუნველყოფს 32 კვალიფიციური პროფესიული განათლების მასწავლებელი, რომელთაგან 17 უშუალოდ დარგობრივ მოდულებს უძღვება. პედაგოგთა ოპტიმალური განაწილება და თითოეულ მოდულზე მინიმუმ ორი განმახორციელებლის არსებობა სასწავლო პროცესის უწყვეტობისა და რისკების მინიმიზაციის მყარ გარანტიას ქმნის. ფინანსური თვალსაზრისით, პროგრამა მაღალი მდგრადობით გამოირჩევა, ვინაიდან მისი რენტაბელობის ზღვარი 17 სტუდენტზე გადის. საპროგნოზო და ფაქტობრივი ბიუჯეტები რეალისტურადაა გაწერილი და სრულად ფარავს როგორც საოპერაციო, ისე მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლებისა და სტუდენტური ინიციატივების მხარდაჭერის ხარჯებს.

ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები ეფუძნება სისტემურ PDCA ციკლს და მოიცავს როგორც სტუდენტთა, ისე დამსაქმებელთა და კურსდამთავრებულთა კმაყოფილების რეგულარულ კვლევებს. სასწავლო პროცესი გამოირჩევა მოქნილობითა და ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებით, რასაც ადასტურებს მობილობისა და სტატუსის აღდგენის პროცესებში ინდივიდუალური სასწავლო გეგმების ეფექტიანი გამოყენება. სტუდენტთა შეფასების სისტემა არის ვალიდური, ობიექტური და გამჭვირვალე, სადაც მუდმივად გამოიყენება განმავითარებელი შეფასება ეტაპობრივი უკუკავშირის უზრუნველსაყოფად. საქმისწარმოების წესების მკაცრი დაცვით, შეფასების მტკიცებულებები ინახება სამი წლის ვადით, ხოლო შეფასების უწყისები – უვადოდ, რაც პროცესის მაღალ აკადემიურ კეთილსინდისიერებასა და სანდოობას უსვამს ხაზს.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა – „საექთნო საქმე“

საგანმანათლებლო პროგრამა „საექთნო საქმე“ (სფეროს კოდი 0913) არის მეხუთე დონის უმაღლეს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც მიზნად ისახავს საექთნო საქმეში უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტების მომზადებას. პროგრამა ხორციელდება ქალაქ თბილისში, შპს „საქართველოს ბიზნესის აკადემია-SBA“-ს ბაზაზე, კოოპერაციული სწავლების ფორმით, რაც სტუდენტებს რეალურ სამუშაო გარემოში პროფესიული უნარ-ჩვევების დაუფლების შესაძლებლობას აძლევს. პროგრამის მოცულობა ქართულენოვანი სტუდენტებისთვის 180 კრედიტს შეადგენს, ხოლო არაქართულენოვანი პირებისთვის 210 კრედიტს. ექსპერტთა ჯგუფმა სრულად დაუჭირა მხარი პროგრამაზე მისაღები სტუდენტების ზღვრული რაოდენობის 150 პირით განსაზღვრას. პროგრამის განხორციელების გადაწყვეტილება დაფუძნებულია შრომის ბაზრის სიღრმისეულ კვლევებსა და ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის (WHO) მონაცემებზე, რომლებიც თვალსაჩინოს ხდის საქართველოში ექთნების მწვავე დეფიციტსა და ამ პროფესიაზე მზარდ, სისტემურ მოთხოვნას (ექიმისა და ექთნის თანაფარდობის კრიტიკული დისბალანსის ფონზე). პროგრამაზე დაშვების აუცილებელ წინაპირობად განსაზღვრულია სრული ზოგადი განათლება და შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებული პროფესიული ტესტირების წარმატებით ჩაბარება.

სასწავლო პროცესი მიმდინარეობს აკადემიის თანამედროვედ აღჭურვილ ინფრასტრუქტურაში, სადაც გამოყოფილია A და B ტიპის სასწავლო გარემოები, ხოლო C ტიპის სასწავლო გარემო გატანილია კლინიკურ ბაზებზე. ექსპერტთა მიერ საუკეთესო პრაქტიკად შეფასდა დაწესებულებაში შექმნილი ახალი სიმულაციური გარემო, რომელიც სრულად

შეესაბამება რეალურ კლინიკურ სტანდარტებს. ამ სივრცეში წარმატებით არის დანერგილი ობიექტური სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდის (OSCE) მეთოდოლოგია, რაც უზრუნველყოფს სტუდენტთა პრაქტიკული და კლინიკური კომპეტენციების ობიექტურ, გამჭვირვალე და სტანდარტიზებულ შეფასებას. პროგრამის კოოპერაციული ფორმატიდან გამომდინარე, აკადემიას გაფორმებული აქვს გრძელვადიანი ხელშეკრულებები 10 წამყვან სამედიცინო დაწესებულებასთან (მათ შორის, „ვივამედი“, „ნიუ ჰოსპიტალს“, „პინეო სამედიცინო ეკოსისტემა“, „კარიტასი“, „თიმი“ და სხვა), რაც სრულად ფარავს მოთხოვნილ კვოტას და საწარმოო პრაქტიკის მაღალ დონეზე განხორციელების გარანტიას ქმნის. საგანმანათლებლო რესურსები ხელმისაწვდომია როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონული სახით პლატფორმაზე „ჩემი SBA“, ხოლო ინფრასტრუქტურა სრულად არის ადაპტირებული სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებისა და შშმ პირთათვის, შესაბამისი ხმოვანი პროგრამებისა და ქესტური ენის თარჯიმნის უზრუნველყოფით.

აღამიანური და ფინანსური რესურსების თვალსაზრისით, პროგრამის ხარისხიანად განხორციელებასა და უწყვეტობას უზრუნველყოფს 37 კვალიფიციური პროფესიული განათლების მასწავლებელი, რომელთა დატვირთვა და რაოდენობა (მასწავლებლისა და სტუდენტის შეფარდება 0.2) ოპტიმალურად არის განაწილებული. ფინანსური მდგრადობა დასტურდება რეალისტურად გაწერილი საპროგნოზო და ფაქტობრივი ბიუჯეტებით, სადაც რენტაბელობის ზღვარი 17 სტუდენტზე გადის, რაც საოპერაციო ხარჯებისა და მატერიალური ბაზის განახლების სრულ დაფარვას უზრუნველყოფს. ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები ეყრდნობა PDCA ციკლს და მოიცავს შეფასების ინსტრუმენტების რეგულარულ ვერიფიკაციასა და მუდმივ მონიტორინგს. სასწავლო პროცესი ორგანიზებულია მოქნილად, ითვალისწინებს სტუდენტთა ინდივიდუალურ საჭიროებებს და ეფუძნება ვალიდურ შეფასების სისტემას, სადაც აქტიურად გამოიყენება განმავითარებელი უკუკავშირი. მტკიცებულებების აღრიცხვა და შენახვა ხორციელდება კანონმდებლობის სრული დაცვით. გარდა ამისა, აკადემიისა და პარტნიორი კლინიკების ბაზებზე დაცული არის შრომის უსაფრთხოების ნორმები, რაც ქმნის მაქსიმალურად დაცულ და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამის საგანმანათლებლო სივრცეს.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა – „ფარმაცია“

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ფარმაცია“ (სფეროს კოდი 0916) წარმოადგენს მეხუთე დონის უმაღლეს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას, რომლის მიზანია ფარმაციის სფეროში უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტების მომზადება. სასწავლო პროცესი ხორციელდება ქალაქ თბილისში, შპს „საქართველოს ბიზნესის აკადემია-SBA“-ს ბაზაზე, კოოპერაციული სწავლების ფორმით, რაც უზრუნველყოფს თეორიული ცოდნის პირდაპირ რეალურ სამუშაო გარემოში ინტეგრირებას. პროგრამის მოცულობა ქართულენოვანი სტუდენტებისთვის 120 კრედიტს შეადგენს, ხოლო არაქართულენოვანი პირებისთვის 150 კრედიტითაა განსაზღვრული. ექსპერტთა ჯგუფმა დადებითად შეაფასა და სრულად დაეთანხმა პროგრამაზე სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის 100 პირით განსაზღვრას. პროგრამის განხორციელება ეფუძნება აკადემიის სტრატეგიულ მიზნებსა და შრომის ბაზრის საჭიროებებს. განსაკუთრებით აღსანიშნავია მჭიდრო და გრძელვადიანი კოოპერაციული თანამშრომლობა შპს „შპს ფარმასთან“, რომელიც უზრუნველყოფს სტუდენტთა საწარმოო პრაქტიკას და მათ შემდგომ დასაქმებას სააფთიაქო ქსელში. პროგრამაზე დაშვების წინაპირობად განსაზღვრულია სრული ზოგადი განათლება და შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებული პროფესიული ტესტირების ჩაბარება.

სასწავლო პროცესი მიმდინარეობს აკადემიის თანამედროვედ აღჭურვილ ინფრასტრუქტურაში, სადაც სრულად არის უზრუნველყოფილი A, B და C ტიპის სასწავლო გარემოები. განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს მაღალი სტანდარტების მქონე ქიმიურ-სააფთიაქო-ტექნოლოგიურ-ბიოლოგიური ლაბორატორია, რომელიც 30 სტუდენტზეა

გათვლილი და სრულად არის აღჭურვილი საჭირო რეაქტივებით, მიკროსკოპებითა და სპეციფიკური ინვენტარით. ამავე სივრცეში ფუნქციონირებს სიმულაციური აფთიაქი. აკადემიაში დანერგილია ეკოლოგიურად პასუხისმგებლიანი და ინოვაციური მიდგომა, რაც გულისხმობს ლაბორატორიული ცდებისთვის ქიმიური რეაქტივების ზუსტად დაფასობვას, მზა პაკეტების შესყიდვას ნარჩენების მინიმიზაციის მიზნით. საგანმანათლებლო რესურსები სტუდენტებისთვის შეუფერხებლად არის ხელმისაწვდომი როგორც ბიბლიოთეკაში, ისე ელექტრონულ პლატფორმაზე „ჩემი SBA“. გარემო სრულად არის ადაპტირებული სსსმ და შშმ პირთათვის, რაც შესაბამისი ხმის აღწარმოების პროგრამებითა და ჟესტური ენის თარჯიმნით უზრუნველყოფასაც მოიცავს.

პროგრამის უწყვეტ და ხარისხიან განხორციელებას უზრუნველყოფს 31 კვალიფიციური პროფესიული განათლების მასწავლებელი, რომელთა დიდი ნაწილი დარგში მოქმედი პრაქტიკოსი სპეციალისტია. მათი სამუშაო დატვირთვა ოპტიმალურად არის განაწილებული და სრულად შეესაბამება მოქმედი შრომის კანონმდებლობის მოთხოვნებს. ფინანსური თვალსაზრისით, პროგრამა მაღალი მდგრადობით ხასიათდება – საპროგნოზო და ფაქტობრივი ბიუჯეტების ანალიზით დასტურდება, რომ რენტაბელობის ზღვარი 17 სტუდენტზე გადის. აღნიშნული მაჩვენებელი სრულად ფარავს პროგრამის საოპერაციო, ინფრასტრუქტურულ და სტუდენტთა მხარდამჭერ ხარჯებს, რაც სასწავლო პროცესის შეუფერხებელ წარმართვას უზრუნველყოფს.

ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები ეფუძნება სისტემურ PDCA ციკლს, რაც გულისხმობს შეფასების ინსტრუმენტების ვერიფიკაციას, დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის მუდმივ ანალიზსა და პროგრამის პერიოდულ განახლებას. სასწავლო პროცესი მოქნილია, ითვალისწინებს სტუდენტთა ინდივიდუალურ საჭიროებებს და აქტიურად იყენებს სწავლების თანამედროვე მეთოდებსა და სიმულაციურ მიდგომებს. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა არის ვალიდური, ობიექტური და გამჭვირვალე. სასწავლო პროცესში ინტენსიურად გამოიყენება განმავითარებელი შეფასება, რაც პროფესიული ზრდისთვის აუცილებელ დროულ უკუკავშირს უზრუნველყოფს. საქმისწარმოების სტანდარტების სრული დაცვით, შეფასების მტკიცებულებები ინახება 3 წლის ვადით, ხოლო შეფასების უწყისები – უვადოდ. აკადემიასა და პარტნიორი ორგანიზაციის ბაზებზე სასწავლო და საწარმოო პროცესები მიმდინარეობს შრომისა და ლაბორატორიული უსაფრთხოების ნორმების მკაცრი დაცვით.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ჰქონდათ თუ არა შეკითხვები განხილულ საკითხთან მიმართებით.

დაწესებულების წარმომადგენელმა, კახაბერ ერაქემ, ხაზი გაუსვა, რომ ექსპერტთა ვიზიტის შემდგომ პერიოდში აკადემიამ განაგრძო ინფრასტრუქტურული განვითარება. კერძოდ: დაწესებულებას დაემატა 60 ერთეული ლეპტოპი; სრულად აღიჭურვა ორი ახალი კომპიუტერული ლაბორატორია; სტუდენტებისთვის განკუთვნილი კომპიუტერული პარკი ამჟამად 300-ზე მეტ ერთეულს შეადგენს. მისი განცხადებით, კომპიუტერული აღჭურვილობა დაწესებულების დიგიტალიზაციის სტრატეგიის განუყოფელი ნაწილია. საერთაშორისო თანამშრომლობისა და განვითარების პერსპექტივებზე მსჯელობისას, კახაბერ ერაქემ საბჭოს გააცნო აკადემიის სამომავლო გეგმები ერთობლივი და გაცვლითი საერთაშორისო პროგრამების დანერგვის შესახებ. მან აღნიშნა, რომ SBA გეგმავს გახდეს ერთ-ერთი პირველი ავტორიზებული დაწესებულება პროფესიული განათლების სივრცეში, რომელიც სტუდენტებს შესთავაზებს საერთაშორისო დონის საგანმანათლებლო პროდუქტს. აქვე ხაზი გაესვა უკვე არსებული უცხოენოვანი პროგრამის (საბაჟო მიმართულებით) წარმატებულ განხორციელებასა და მის საერთაშორისო სტატუსს.

დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს გაწეული პროფესიული შრომისა და ობიექტური დასკვნისთვის, რომელშიც ასახული მიგნებები აკადემიისთვის განვითარების დამატებით ინსპირაციას წარმოადგენს.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს „საქართველოს ბიზნესის აკადემია – SBA“ ავტორიზაციის შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 6

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

დაწესებულების მიერ თვითშეფასების კითხვარში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებების“ 45-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 46-ე მუხლის პირველი, მე-6 და მე-7 პუნქტების შესაბამისად, საბჭომ გადაწყვიტა შპს „საქართველოს ბიზნესის აკადემია – SBA-ს“ (ს/კ: 406037550) 6 წლის ვადით მიენიჭოს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების/კოლეჯის სტატუსი. შპს „საქართველოს ბიზნესის აკადემია – SBA-ს“ მიენიჭოს უფლებამოსილება განხორციელოს დანართით გათვალისწინებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები (**დანართი 3**). გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2026 წლის 5 მარტი.

მეოთხე საკითხი: სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა;

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება. საბჭოს წევრ ხათუნა ჩხარტიშვილს ჰქონდა აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- დიახ

საბჭოს თავმჯდომარემ, ელენე კაკაბაძემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, მაია თოიძე, მიესალმა დამსწრე პირებს და საუბარი დაიწყო განხორციელებული ვიზიტის საერთო მიმოხილვით. სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2025 წლის 25 დეკემბრის №1842447 ბრძანების („პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შექმნისა და სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ვიზიტის შესახებ“) საფუძველზე, ექსპერტთა ჯგუფმა განხორციელა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქმიანობის შეფასება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლით განსაზღვრულ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის მიზნით. თსუ-ში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები 2007 წლიდან, იმ დროიდან, ხორციელდება, როდესაც საქართველოში უმაღლესი პროფესიული პროგრამების დანერგვა და განხორციელება დაიწყო. წლების განმავლობაში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სხვადასხვა ფაკულტეტზე ხორციელდებოდა. 2019 წელს ივნისიდან პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ადმინისტრირება უნივერსიტეტის ახალმა დამხმარე საგანმანათლებლო ერთეულმა „თსუ პროფესიული განათლების ცენტრი“ აიღო საკუთარ თავზე, რომელსაც დაევალა თსუ-ში მოქმედი ყველა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება. დაწესებულება განმეორებით მოიპოვებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებას და ცენტრში თვითშეფასების ფარგლებში წარმოადგინა 20 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, მათ შორის 9 პროგრამა ხორციელდება ქ. თბილისში, ხოლო 11 პროგრამა – ქ. ქუთაისში. ვიზიტი განხორციელდა ქ. თბილისში 2026 წლის 21–23 იანვარს, ხოლო ქ. ქუთაისში – 2026 წლის 28–30 იანვარს. ექსპერტთა ჯგუფის შემადგენლობაში შედიოდა სამი პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, 9 დარგის ექსპერტი და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტი. დარგის ექსპერტებმა დაწესებულება შეაფასეს ავტორიზაციის მეორე სტანდარტთან მიმართებით, ხოლო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტმა შეაფასა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის პროცესში გამოვლენილი გარემოებების შესაბამისობა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტებთან. ვიზიტამდე ექსპერტთა ჯგუფმა წარმოდგენილი თვითშეფასებისა და მტკიცებულებების ანალიზის საფუძველზე შეაჯერა პოზიციები, შეიმუშავა ვიზიტის დღის წესრიგი და დაწესებულებისთვის წარსადგენად მიაწოდა იგი სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს. ვიზიტის პირველ დღეს, 2026 წლის 21 იანვარს, შეტანილ იქნა ცვლილება ზემოაღნიშნულ ბრძანებაში (№0042853; 21.01.2026), რომლის შედეგად ჩანაცვლდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „Front-end დეველოპმენტი“ დარგის ექსპერტი. აღნიშნულის შესაბამისად, დაკორექტირდა ვიზიტის დღის წესრიგი და მიეწოდა დაწესებულებას.

ავტორიზაციის სტანდარტების, კომპონენტებისა და შესაბამისი ინდიკატორების სრულყოფილად შეფასების მიზნით, ვიზიტის პროცესში დამატებით იქნა გამოთხოვილი და შესწავლილი დაწესებულების საქმიანობის ამსახველი მტკიცებულებები.

ექსპერტთა ჯგუფმა დაათვალიერა დაწესებულების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების სამ მისამართზე: ქ. თბილისი, უნივერსიტეტის ქ. №19; ქ. თბილისი, უნივერსიტეტის ქ. №48; ქ. ქუთაისი, ნიკეას მე-2 შესახვევი №8.

ვიზიტის პროცესში ადმინისტრაციული პროცესი წარიმართა ისე, რომ ძირითადი დრო დაეთმო ინტერვიუებს დაწესებულების მენეჯმენტთან, პროფესიული განათლების ცენტრის ადმინისტრაციის თანამშრომლებთან, პროგრამების განმახორციელებლებთან, პროფესიულ სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და პარტნიორი ორგანიზაციების წარმომადგენლებთან. კოოპერაციული პროგრამების ფარგლებში ექსპერტები პარტნიორთა ნაწილს შეხვდნენ პარტნიორი ორგანიზაციების სასწავლო ბაზებზე, ხოლო რამდენიმე მათგანთან გასაუბრება ჩატარდა დისტანციურ ფორმატში.

ვიზიტის ყოველი დღის ბოლოს ექსპერტთა ჯგუფი გასცემდა უკუკავშირს ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების შედეგებთან დაკავშირებით. ადმინისტრაციული წარმოების პროცესი ხასიათდებოდა თანამშრომლობითი მიდგომით და ხარვეზები არ გამოვლენილა. დაწესებულებას მიეცა შესაბამისობისა და განმავითარებელი რეკომენდაციები.

საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

პროექტი – „პროფესიული განათლების ისტორია საქართველოში“ პროფესიული განათლების პოპულარიზაციის მიმართულებით დაწესებულების მიერ განხორციელებულია პროექტი – „პროფესიული განათლების ისტორია საქართველოში“, რომელიც წარმოადგენს სექტორისთვის მნიშვნელოვან და ინოვაციურ პრაქტიკას, რომელიც სცდება ინდივიდუალური ავტორიზაციის ინდიკატორების ჩარჩოებს და მიმართულია პროფესიული განათლების სისტემის განვითარების უფრო ფართო მიზნებისკენ. უკანასკნელი წლების განმავლობაში პროფესიული განათლებისადმი საზოგადოებრივი ინტერესის ზრდის ფონზე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესიული განათლების ცენტრმა მიზანმიმართულად აიღო პასუხისმგებლობა პროფესიული განათლების ისტორიული მეხსიერების კვლევისა და პოპულარიზაციის მიმართულებით. აღნიშნული მიდგომა ეხმიანება პროფესიული განათლების ეროვნულ მიზნებს – განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდას, შრომის ბაზრის მოთხოვნებზე ორიენტაციას, კონკურენტუნარიანი კადრების მომზადებასა და უწყვეტი პროფესიული განვითარების ხელშეწყობას. ამ კონტექსტში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს პროექტს „პროფესიული განათლების ისტორია საქართველოში“, რომელიც პროფესიული განათლების ცენტრის მიერ შემუშავდა წარსული გამოცდილების კვლევის, სისტემატიზაციისა და ერთიანი სურათის შექმნის მიზნით. პროექტი ითვალისწინებდა საქართველოში ისტორიულად არსებული პროფესიული განათლების კერების შესახებ ინფორმაციის მოძიებას, დამუშავებასა და ორენოვანი, ილუსტრირებული გამოცემის მომზადებას. აღსანიშნავია, რომ 2025 წლამდე მსგავსი მასშტაბისა და სისტემურობის კვლევა საქართველოში არ არსებობდა. პროექტმა გააერთიანა როგორც ქართული, ისე უცხოელი მკვლევრებისთვის საინტერესო მასალები და შექმნა პროფესიული განათლების ისტორიის ხედვა 1847–1921 წლების პერიოდში. პროექტის ფარგლებში ცენტრის თანამშრომლები მუშაობდნენ საქართველოს ეროვნულ ბიბლიოთეკასა და ეროვნულ არქივში, ასევე ქუთაისის არქივში, რის შედეგადაც გამოვლინდა მრავალი ისტორიული საგანმანათლებლო დაწესებულება და პიროვნება, რომლებიც მანამდე ფრაგმენტულად ან სრულიად უცნობი იყო. პროექტის შედეგები არ შემოიფარგლა კვლევით კომპონენტით. თსუ პროფესიული განათლების ცენტრმა მონაწილეობა მიიღო თბილისის მერიის მიერ გამოცხადებულ კონკურსში „შემოქმედებითი თბილისი“, სადაც გაიმარჯვა და დაიწყო პროექტის განხორციელება. მოგვიანებით, საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს

მხარდაჭერით დაიბეჭდა 224-გვერდიანი ორენოვანი, უხვად ილუსტრირებული გამოცემა და მომზადდა თემატური გამოფენა. განსაკუთრებით საყურადღებოა ის ფაქტი, რომ გამოფენასა და გამოცემაში წარმოდგენილია საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში არსებული პროფესიული საგანმანათლებლო ცენტრები, მათ შორის ამჟამად დროებით ოკუპირებულ ტერიტორიებზე მოქმედი ისტორიული დაწესებულებები. აღნიშნული მიდგომა მნიშვნელოვნად აძლიერებს პროფესიული განათლების სოციალურ ღირებულებასა და იდენტობას. გამოცემა საჩუქრად გადაეცა სახელმწიფო და კერძო პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებებსა და დარგის ექსპერტებს, ხოლო პროფესიული განათლების პოპულარიზაციის მიზნით დაგეგმილია მისი და გამოფენის პრეზენტაცია სხვადასხვა პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში ქვეყნის მასშტაბით. ამასთანავე, ცენტრი უკვე მუშაობს ახალი საარქივო მასალების მოძიებასა და პროექტის მეორე ნაწილის კონცეფციის დამუშავებაზე

სტუდენტური პროექტების დაფინანსება

დაწესებულებაში დამატებითი და არაფორმალური აქტივობების წახალისება სისტემურ და ინსტიტუციურად გამყარებულ ხასიათს ატარებს. ამ მიმართულებით განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მოქმედ შიდა დოკუმენტს – „სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში პროფესიული სტუდენტების სტუდენტური პროექტების დაფინანსების წეს“, რომელიც მკაფიოდ განსაზღვრავს სტუდენტური ინიციატივების მხარდაჭერის მიზნებს, დაფინანსების წყაროებს, შერჩევის კრიტერიუმებსა და განხორციელების პროცედურებს. აღსანიშნავია, რომ პროფესიული განათლების ცენტრის ბიუჯეტში ბოლო წლების განმავლობაში რეგულარულად არის გათვალისწინებული სტუდენტური პროექტების დაფინანსება, რაც მიუთითებს არა ერთჯერად ინიციატივაზე, არამედ მდგრად პრაქტიკაზე. აღნიშნული მექანიზმი პროფესიულ სტუდენტებს რეალურ შესაძლებლობას აძლევს დამოუკიდებლად დაგეგმონ და განახორციელონ შემეცნებითი, საგანმანათლებლო, პროფესიული და სპორტული აქტივობები. სტუდენტური პროექტების დაფინანსების მექანიზმის პრაქტიკაში ეფექტიანად ფუნქციონირების დასტურია განხორციელებული პროექტები: 2024 წელი – პროფესიული განათლების ცენტრის მხარდაჭერით განხორციელდა ორი პროექტი „წარმატებული კარიერისთვის“ (თბილისი და ქუთაისი); 2025 წელი – თბილისში განხორციელდა პროექტი „მასტერკლასები ბექ-ენდ პროგრამირებაში (Node.js)“, ხოლო ქუთაისში – პროექტი „საქართველოს საბაჟოს სისტემაში ინოვაციები, პროფესიული სტუდენტის დასაქმების შესაძლებლობები და გამოწვევები“.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ქუთაისში განხორციელებული პროექტი, რომელიც შეიძლება შეფასდეს როგორც საუკეთესო პრაქტიკის მაგალითი. სტუდენტური პროექტის ფარგლებში პროფესიულ სტუდენტებს მიეცათ წვდომა საბაჟო სფეროში უახლეს ინოვაციურ პროგრამაზე – ახალ კომპიუტერიზებულ სატრანზიტო სისტემაზე (NCTS), რომელიც 2024 წელს დაიწყო შემოსავლების სამსახურმა. აღნიშნული სისტემა უზრუნველყოფს ტვირთის ტრანზიტს კონვენციის წევრ ქვეყნებში ერთი ელექტრონული დეკლარაციითა და ერთი გარანტიით, რაც თანამედროვე საბაჟო პრაქტიკის მნიშვნელოვან ელემენტს წარმოადგენს. პროექტის ფარგლებში პროფესიული პროგრამების: „საბაჟო საქმე“ და „ტვირთების ექსპედიტორება“ სტუდენტებმა მიიღეს არა მხოლოდ თეორიული ცოდნა NCTS-ის შესახებ, არამედ მონაწილეობა მიიღეს სასწავლო ვიზიტებში ბათუმისა და სარფის საბაჟო ობიექტებზე. ადგილზე ისინი გაეცნენ: NCTS სისტემის პრაქტიკულ მუშაობას; საბაჟო დეკლარირებისა და ტვირთების კონტროლის ეტაპებს; რისკის დერეფანში მოხვედრის შემთხვევაში ტვირთების დათვალიერების პროცედურებს; საბაჟო გამშვებ პუნქტზე ფიზიკური და სატვირთო ავტოტრანსპორტის კონტროლის პროცესებს; კინოლოგიური სამსახურის მუშაობას იმიტირებულ გარემოში; ბათუმის საზღვაო პორტში საბორნე მიმოსვლისა და პორტის ყოველდღიურ ოპერაციებს. ზემოაღნიშნული მაგალითები ცხადყოფს, რომ დაწესებულება არა მხოლოდ წახალისებს პროფესიული სტუდენტების არაფორმალურ აქტივობებსა და ინიციატივებს, არამედ ქმნის რეალურ შესაძლებლობებს მათი პროფესიული, პრაქტიკული და კარიერული განვითარებისათვის.

თსუ-ში სტუდენტური პროექტების დაფინანსების მექანიზმი წარმოადგენს გამართულ, მდგრად და შედეგზე ორიენტირებულ პრაქტიკას, რომელიც სრულ შესაბამისობაშია ინდიკატორი 3.2.1 (4)-ის მოთხოვნებთან და შეიძლება შეფასდეს როგორც კარგი პრაქტიკის მაგალითი.

სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

5.1.2.1 – დაწესებულებას არ აქვს დადებითი დასკვნები სახანძრო უსაფრთხოებასთან დაკავშირებით. დაწესებულებას მიეცა შესაბამისობის რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში უზრუნველყოს სახანძრო უსაფრთხოების სისტემის, პსდ სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა. .

განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

1.2.1.(1) – სტრატეგიული დაგეგმარების სისტემის კიდევ უფრო გამჭვირვალე და სტანდარტებზე ორიენტირებული განვითარების მიზნით, ექსპერტთა ჯგუფი რეკომენდაციას ამღვეს დაწესებულებას:

უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების დოკუმენტში მკაფიოდ განისაზღვროს პროფესიული განათლების ცენტრის უფლებამოსილება პროფესიული განათლების მიმართულებით სტრუქტურული ერთეულის სტრატეგიული განვითარების დოკუმენტის ინიცირებისა და შემუშავების თაობაზე,

განისაზღვროს სტრატეგიული და ერთწლიანი სამოქმედო გეგმების შემუშავების დროითი ჩარჩოები, მათ შორის ახალი სტრატეგიული განვითარების გეგმის მომზადების დაწყების პერიოდი არსებული სტრატეგიის ვადის ამოწურვამდე, ასევე ერთწლიანი სამოქმედო გეგმების დაგეგმვის პროცესის დაწყებისა და დამტკიცების ვადები.

1.2.1.(3). რეკომენდებულია სამოქმედო გეგმებში შესრულების ინდიკატორების უფრო მკაფიოდ, რაოდენობრივად და შედეგზე ორიენტირებულად ფორმულირება, მათ შორის მინიმალური ან სამიზნე მაჩვენებლების განსაზღვრით, რაც გააძლიერებს მონიტორინგისა და შეფასების პროცესის ობიექტურობას. მიზანშეწონილია სტრატეგიულ ამოცანებთან მიმართებით პასუხისმგებლობების განსაზღვრა მოხდეს ერთპირიანი პასუხისმგებლობის პრინციპის შესაბამისად, რაც გულისხმობს თითოეულ სტრატეგიულ ამოცანაზე ერთი წამყვანი პასუხისმგებელი როლის განსაზღვრას. აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს პასუხისმგებლობის სიცხადეს, ანგარიშვალდებულების გამყარებას და სტრატეგიული ამოცანების შესრულების მონიტორინგის ეფექტიანობას. რეკომენდებულია სტრატეგიული განვითარების გეგმაში აქცენტი გაკეთდეს გრძელვადიან მიზნებსა და ამოცანებზე და გრძელვადიან ვადაში კონკრეტული აქტივობების მითითებით მოქნილობა არ დაეკარგოს სტრატეგიულ გეგმას.

3.1.1.(1) – ფორმალური განათლების აღიარების პროცესის გამჭვირვალობის მიზნით, რეკომენდებულია, რომ დაწესებულებამ უზრუნველყოს მიღებული განათლების აღიარების მექანიზმების პროცედურის უფრო მკაფიო და დეტალური რეგლამენტაცია, რაც ხელს შეუწყობს როგორც რეგულაციის გამჭვირვალობას, ასევე ერთგვაროვანი პრაქტიკის დანერგვას; დაწესებულებამ უზრუნველყოს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მეთოდოლოგიის გადახედვა და მასში აისახოს ისგ-ს განხორციელების მონიტორინგისა და პერიოდული გადახედვის მექანიზმი.

დაწესებულებამ უზრუნველყოს ცალკეული მოდულებით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის მოდულის სერტიფიკატის გაცემის მექანიზმის შიდა რეგულაციებში ასახვა, მათ შორის, პროფესიული სტუდენტების ინფორმირებასთან დაკავშირებული საკითხების განსაზღვრა და უზრუნველყოს მოდულის სერტიფიკატის ფორმის კანონმდებლობით დადგენილი წესით რეგისტრირება, მისი გაცემის უფლების მოპოვების მიზნით.

რეკომენდებულია სტუდენტური ომბუდსმენის საქმიანობის ინსტრუქციაში არსებული ტერმინოლოგიის პროფესიული განათლების კონტექსტთან შესაბამისობაში მოყვანა, რათა უზრუნველყოფილ იქნეს რეგულაციის ერთმნიშვნელოვანი ინტერპრეტაცია და პროფესიული განათლების სპეციფიკის სრულყოფილი ასახვა დაწესებულების შიდა ნორმატიულ ბაზაში.

2.1.1.3 (რეკომენდაცია გაცემულია პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიასთან მიმართებით) დაწესებულებამ პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიაში სრულად და მკაფიოდ გაწეროს ის კრიტერიუმები, რომელთა საფუძველზეც რეალურად ხორციელდება პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრა. აღნიშნული კრიტერიუმებია: სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა სასწავლო ადგილების რაოდენობა, პროგრამის განხორციელებაში ჩართული პირების რაოდენობა, პარტნიორ ორგანიზაციებში მისაღები პროფესიული სტუდენტების ჯამური ოდენობა და საჭიროების შემთხვევაში, პროგრამის დისტანციურად განხორციელების შესაძლებლობები. აღნიშნული დაზუსტება ხელს შეუწყობს მარეგულირებელი დოკუმენტაციისა და დაწესებულებაში არსებული პრაქტიკის კიდევ უფრო მაღალ თანხვედრას.

2.1.1.8 (რეკომენდაცია გაცემულია კოოპერაციულ პროგრამებთან მიმართებით)

რეკომენდებულია, რომ დაწესებულებამ კოოპერაციული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ძირითად დოკუმენტში ასახოს ინფორმაცია დაწესებულებასა და პარტნიორებს შორის პროფესიული მოდულების კრედიტების პროცენტული გადანაწილების თაობაზე. რეკომენდებულია ინფორმაცია პარტნიორ ორგანიზაციაში მისაღწევ სწავლის შედეგებთან მიმართებით დამატებით აისახოს მოდულებშიც. აღნიშნული დაზუსტება ხელს შეუწყობს მოდულის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების პროცესის კიდევ უფრო გამჭვირვალე და თანმიმდევრულ წარმართვას.

აღსანიშნავია, რომ დაწესებულების მიერ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტი სრულად არის გაზიარებული.

პირველი სტანდარტზე საუბრისას ექსპერტმა აღნიშნა, რომ დაწესებულების მისია სრულ თანხვედრაშია პროფესიული განათლების ეროვნულ მიზნებთან (ინდიკატორი 1.1.1). თსუ-ის, როგორც მრავალდარგოვანი კვლევითი უნივერსიტეტის, განახლებული მისია ორიენტირებულია მთელი ცხოვრების განმავლობაში სწავლის მხარდაჭერასა და კონკურენტუნარიანი კადრების მომზადებაზე. 2023 წლის მონიტორინგის რეკომენდაციის საპასუხოდ, 2025 წელს აკადემიურმა საბჭომ დაამტკიცა უშუალოდ პროფესიული განათლების ცენტრის მისია, რომელიც აკონკრეტებს უნივერსიტეტის გლობალურ ხედვას და მიზნად ისახავს შრომის ბაზრის სწრაფად ცვალებად მოთხოვნებზე მორგებული, დინამიური და ხარისხიანი პროფესიული განათლების უზრუნველყოფას. აღნიშნული პრაქტიკა, სადაც სტრუქტურული ერთეულის მისია აზუსტებს ინსტიტუციურ მისიას, აღიარებულია როგორც საუკეთესო მმართველობითი სტანდარტი. ცენტრის მისიით მკაფიოდ არის განსაზღვრული მისი პროფილი, მახასიათებლები და უნიკალური როლი საგანმანათლებლო სისტემაში – კერძოდ, აკადემიურ-კვლევითი პოტენციალისა და პროფესიული განათლების ინტეგრაცია.

მისიიდან გამომდინარე, პროფესიული განათლების ცენტრმა 2025 წელს შეიმუშავა საკუთარი ხედვა და ღირებულებები. ცენტრის ხედვაა, იყოს კვალიფიციური კადრების წამყვანი მიმწოდებელი ადგილობრივი ბაზრისთვის და ხელი შეუწყოს სოციალურ-ეკონომიკურ სამართლიანობას. ამ ხედვის პრაქტიკული რეალიზაციაა პროგრამების განხორციელება როგორც თბილისში, ისე ქუთაისში, სადაც განსაკუთრებული აქცენტი კეთდება რეგიონისთვის პრიორიტეტულ აგრარულ და სამშენებლო სექტორებზე. ცენტრის ღირებულებები აერთიანებს ინოვაციურობას, ეთიკური სტანდარტების დაცვას, ინკლუზიურობასა და გუნდურობას. მნიშვნელოვანია, რომ მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავდა თანამონაწილეობითი პრინციპით – პროცესში ჩართულნი იყვნენ ადმინისტრაცია, მასწავლებლები და სტუდენტები. დოკუმენტები საჯაროდ ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ვებგვერდზე და ფიზიკურად არის განთავსებული პროგრამების განხორციელების ყველა მისამართზე.

სტრატეგიული განვითარების დაგეგმვის პრაქტიკის მიმართულებით (ინდიკატორი 1.2.1), დაწესებულებაში დანერგილია Balanced Scorecard-ის მოდელზე დაფუძნებული სისტემური მეთოდოლოგია. თსუ-ის სტრატეგიული განვითარების გეგმის (2024-2030) საფუძველზე, 2025 წელს შემუშავდა პროფესიული განათლების ცენტრის სტრატეგიული გეგმა (2025-2031 წლებისთვის). დოკუმენტში გამოკვეთილია სამი მთავარი მიზანი: სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესება, ორგანიზაციული ეფექტიანობა და მესამე მისია (საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური მხარდაჭერა). ამოცანები დაჯგუფებულია ფინანსურ, მომხმარებლის, პროცესებისა და რესურსების პერსპექტივებში და თითოეულისთვის განსაზღვრულია შესრულების ინდიკატორები (KPI), ვადები და პასუხისმგებელი პირები. დაგეგმვის პროცესი იყო სრულად ინკლუზიური და ითვალისწინებდა როგორც ქვეყნის მთავრობის პრიორიტეტებს (სიღარიბის შემცირება, ადამიანური კაპიტალის განვითარება), ისე შრომის ბაზრისა და მსხვილი დამსაქმებლების პირდაპირ მოთხოვნებს.

მიუხედავად იმისა, რომ სტანდარტებთან შესაბამისობა სრულად დადასტურდა, ექსპერტთა ჯგუფმა დაწესებულების შემდგომი განვითარებისთვის გასცა რამდენიმე მნიშვნელოვანი რეკომენდაცია. კერძოდ, უნივერსიტეტის სტრატეგიულ ჩარჩოში უნდა აისახოს ცენტრის უფლებამოსილება დამოუკიდებელი სტრატეგიის შემუშავებაზე; უნდა განისაზღვროს გეგმების შემუშავების ზუსტი დროითი ჩარჩოები; სტრატეგიულ გეგმაში უნდა შენარჩუნდეს მოქნილობა და ზედმეტად არ დაკონკრეტდეს მოკლევადიანი აქტივობები; თითოეულ სტრატეგიულ ამოცანაზე უნდა განისაზღვროს ერთი წამყვანი პასუხისმგებელი პირი (ერთპირიანი პასუხისმგებლობის პრინციპი); ხოლო ერთწლიან სამოქმედო გეგმებში შესრულების ინდიკატორები უნდა ჩამოყალიბდეს უფრო მკაფიოდ, რაოდენობრივად და შედეგზე ორიენტირებულად (მაგალითად, დაფინანსებული პროექტების მინიმალური რაოდენობის მითითებით).

გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემის კუთხით (ინდიკატორი 1.2.2), დაწესებულებას გააჩნია ქმედითი მექანიზმები. მართალია, ახალი (2025-2031 წწ.) სტრატეგიული გეგმის მონიტორინგი ვადებიდან გამომდინარე ჯერ არ ჩატარებულა, თუმცა წინა პერიოდის პრაქტიკა ადასტურებს, რომ შეფასების პროცესი სისტემურია და მას რექტორის ბრძანებით შექმნილი მუდმივმოქმედი კომისია ხელმძღვანელობს. ერთწლიანი სამოქმედო გეგმების მონიტორინგი ხორციელდება წელიწადში ორჯერ, პერსონალის შუალედური და საბოლოო ანგარიშების საფუძველზე. დაწესებულება სათანადოდ რეაგირებს შეფასების შედეგებზე – სწორედ წინა მონიტორინგის რეკომენდაციების საფუძველზე გაუქმდა ძველი სტრატეგია და დამტკიცდა ახალი რედაქცია. მუდმივმოქმედმა საბჭომ 2024 წლის ანგარიშის საფუძველზე დადებითად შეაფასა სტუდენტთა კონტინენტის, დასაქმების მაჩვენებლებისა და პროგრამების რაოდენობის ზრდა, თუმცა ასევე გამოკვეთა ინფრასტრუქტურული გაუმჯობესებისა და გავლენის მონიტორინგის გაძლიერების საჭიროება, რაც ახალ სტრატეგიაში უკვე ასახულია. მნიშვნელოვანია, რომ სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშები საჯაროდ არის ხელმისაწვდომი დაწესებულების ვებგვერდზე.

საგანმანათლებლო პროცესი მიმდინარეობს როგორც თბილისის, ისე ქუთაისის ლოკაციებზე, სადაც ხორციელდება სხვადასხვა დონის პროფესიული პროგრამები (მათ შორის, „საბაჟო საქმე“ და „ტვირთების ექსპედიტორება“). სასწავლო პროცესი ეფუძნება კანონმდებლობით დადგენილ სტანდარტებს, უზრუნველყოფილია სათანადო მატერიალურ-ტექნიკური ბაზით და ხორციელდება მოქმედი შიდა რეგულაციების მკაცრი დაცვით. ექსპერტთა დასკვნით, დაწესებულება სრულად აკმაყოფილებს მესამე სტანდარტით გათვალისწინებულ ყველა მოთხოვნას. პროფესიული სტუდენტების უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის კუთხით, ცენტრში შექმნილია მძლავრი ინსტიტუციური ჩარჩო, რომელიც ეფუძნება სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესს, შინაგანაწესს, შეფასების წესსა და სტუდენტური ომბუდსმენის ინსტრუქციას. სტუდენტთა სტატუსის მართვის, მობილობისა და ინკლუზიური განათლების პრინციპები მკაფიოდ არის განსაზღვრული. ექსპერტებმა დადებითად შეაფასეს 2023 წლის მონიტორინგის რეკომენდაციის შესრულება, რის შედეგადაც პროფესიულ

სტუდენტთა სტატუსის შეჩერების ვადები სრულად მოვიდა შესაბამისობაში კანონმდებლობასთან. ამასთან, პროცესების შემდგომი დახვეწის მიზნით, ექსპერტთა ჯგუფმა გასცა რამდენიმე განმავითარებელი რეკომენდაცია: აუცილებელია ფორმალური განათლების აღიარების პროცედურის უფრო დეტალური რეგლამენტაცია; ინდივიდუალური სასწავლო გეგმის (ისგ) მეთოდოლოგიაში მონიტორინგისა და პერიოდული გადახედვის მექანიზმების ასახვა; ცალკეული მოდულების სერტიფიკატის გაცემის წესის შიდა რეგულაციებში ინტეგრირება და შესაბამისი ფორმის რეგისტრაცია; ასევე, ომბუდსმენის დოკუმენტაციაში არსებული ტერმინოლოგიის პროფესიული განათლების სპეციფიკასთან შესაბამისობაში მოყვანა. სტუდენტთა ინფორმირებულობა და შეფასების სისტემის გამჭვირვალობა დაწესებულების ერთ-ერთი ძლიერი მხარეა. სასწავლო წლის დაწყებისთანავე, როგორც თბილისში, ისე ქუთაისში, იმართება საორიენტაციო შეხვედრები, სადაც სტუდენტები ეცნობიან თავიანთ უფლებებს, მოვალეობებსა და შეფასების კრიტერიუმებს. თითოეულ სტუდენტს ექმნება კორპორატიული ელექტრონული ფოსტა, რომლის მეშვეობითაც ეგზავნებათ გზამკვლევები და შეფასების შედეგები. სტუდენტებს უფლება აქვთ ისარგებლონ დამატებითი შეფასებითა და გასაჩივრების მექანიზმით, თუმცა პრაქტიკაში აპელაციის შემთხვევები ჯერ არ დაფიქსირებულა. პროფესიულ სტუდენტებთან გაფორმებული ხელშეკრულებები სრულად იცავს მათ ინტერესებს, სადაც განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა პერსონალური მონაცემების დამუშავებასა და არასრულწლოვან პირებთან ურთიერთობის სპეციფიკას, რაც კანონიერი წარმომადგენლის სავალდებულო ჩართულობას გულისხმობს. ამასთან, სპეციალური საჭიროებების მქონე სტუდენტებისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმები მუშავდება მათივე უშუალო მონაწილეობითა და ინკლუზიური განათლების სპეციალისტის ჩართულობით. ფორმალური განათლების აღიარების პროცესის გამჭვირვალობის მიზნით, რეკომენდებულია, რომ დაწესებულებამ უზრუნველყოს მიღებული განათლების აღიარების მექანიზმების პროცედურის უფრო მკაფიო და დეტალური რეგლამენტაცია, რაც ხელს შეუწყობს როგორც რეგულაციის გამჭვირვალობას, ასევე ერთგვაროვანი პრაქტიკის დანერგვას. ექსპერტთა მიერ გაცემულია განმავითარებელი რეკომენდაცია, რომ დაწესებულებამ უზრუნველყოს ცალკეული მოდულებით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის მოდულის სერტიფიკატის გაცემის მექანიზმის შიდა რეგულაციებში ასახვა, მათ შორის, პროფესიული სტუდენტების ინფორმირებასთან დაკავშირებული საკითხების განსაზღვრა და უზრუნველყოს მოდულის სერტიფიკატის ფორმის კანონმდებლობით დადგენილი წესით რეგისტრირება, მისი გაცემის უფლების მოპოვების მიზნით. აღინიშნა, რომ 2023 წლის გეგმიური მონიტორინგის ფარგლებში დაწესებულებას 3.1.5 ინდიკატორთან მიმართებით ჰქონდა შესაბამისობის რეკომენდაცია – დაწესებულებამ საჭიროა შეიმუშავოს და განახორციელოს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმები შესაბამისი პროფესიული სტუდენტების ჩართულობითა და მათი ინტერესების გათვალისწინებით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. 2023 წელს აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებით შესულია ცვლილება სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წელში და შეუსაბამობა აღმოფხვრილია.

სტუდენტთა მხარდაჭერის ღონისძიებების მიმართულებით, სასწავლებელი უზრუნველყოფს აკადემიურ, ადაპტაციურ და ადმინისტრაციულ დახმარებას. სტუდენტები მუდმივად იღებენ განმავითარებელ უკუკავშირს მასწავლებლებისა და პროგრამის ხელმძღვანელებისგან პირისპირ, ელექტრონული ფოსტისა თუ სხვა საკომუნიკაციო პლატფორმების გამოყენებით. ადმინისტრაციული მხარდაჭერა ხორციელდება გონივრულ და კანონით დადგენილ ვადებში, რასაც საქმისწარმოების ერთიანი წესი არეგულირებს. ცენტრი აქტიურად აფინანსებს სტუდენტურ ინიციატივებს ბიუჯეტიდან. განსაკუთრებით საყურადღებოა ქუთაისის ლოკაციაზე განხორციელებული ინოვაციური პროექტი სატრანზიტო სისტემის (NCTS) შესახებ, რომლის ფარგლებშიც სტუდენტები სასწავლო ვიზიტით იმყოფებოდნენ ბათუმისა და სარფის საბაჟოებზე და რეალურ გარემოში გაეცნენ პორტის ოპერაციებსა თუ კინოლოგიური სამსახურის მუშაობას. მსგავსი პროექტების დაფინანსება 2026 წლის ბიუჯეტშიც არის

გათვალისწინებული. გარდა ამისა, დაწესებულება რეგულარულად იკვლევს სტუდენტთა უკუკავშირს; მაგალითად, 2024 წლის კვლევის საფუძველზე, სტუდენტთა მოთხოვნით, ოპტიმიზირდა სასწავლო ცხრილები და დაინერგა ორცვლიანი სწავლება, ხოლო საწარმოო პრაქტიკის ობიექტების შერჩევისას გათვალისწინებულ იქნა სტუდენტთა საცხოვრებელი მისამართები.

კარიერული მხარდაჭერის სერვისები დაწესებულებაში სისტემურად და მაღალ დონეზეა ორგანიზებული. ფუნქციონირებს სტუდენტური სერვისებისა და კარიერული განვითარების ცენტრი, რომელსაც კოორდინაციას უწევს პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი. სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს მუდმივად მიეწოდებათ ინფორმაცია ვაკანსიების შესახებ, რასაც ხელს უწყობს დასაქმების სააგენტო HR-თან გაფორმებული მემორანდუმი. ცენტრი სისტემატურად, წელიწადში ერთხელ მაინც, იკვლევს კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებლებს. 2024 წლის კვლევამ აჩვენა, რომ კურსდამთავრებულთა 50%-მა დასაქმების შესახებ ინფორმაცია სწორედ დაწესებულების არხებიდან მიიღო. მიღებული უკუკავშირის საფუძველზე სერვისები მუდმივად უმჯობესდება – ტარდება ტრენინგები რეზიუმეს შედგენასა თუ გასაუბრების ტექნიკებში, ხოლო სოციალურ ქსელებში რეგულარულად ქვეყნდება წარმატებული კურსდამთავრებულების ისტორიები, რაც მოქმედი სტუდენტების მოტივაციას მნიშვნელოვნად ზრდის.

ადამიანური რესურსების მართვის სტრუქტურა და ფუნქციური განაწილება დაწესებულებაში მაღალ დონეზეა ორგანიზებული (ინდიკატორი 4.1.1). თსუ-მ 2019 წელს შეცვალა ორგანიზაციული მოწყობა და პროფესიული განათლების მიმართულების ეფექტიანი მართვის მიზნით შექმნა სპეციალიზებული სტრუქტურული ერთეული – პროფესიული განათლების ცენტრი. ცენტრი ფუნქციონირებს ორ ლოკაციაზე (თბილისი, ქუთაისი) და აერთიანებს 20 სამკატეგორიო ერთეულს. ორგანიზაციული სტრუქტურა ეფუძნება მკაფიო რანგობრივ დაყოფას (ხელმძღვანელი, მოადგილე, მენეჯერი, სპეციალისტი, ადმინისტრატორი), რაც უზრუნველყოფს მართვისა და ოპერატიული ფუნქციების ლოგიკურ გადანაწილებას. თითოეული თანამშრომლისთვის შემუშავებულია დეტალური სამუშაო აღწერილობა, რომელიც განსაზღვრავს მათ მიზნებს, მოვალეობებსა და საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. მნიშვნელოვანია, რომ ცენტრი მჭიდროდ თანამშრომლობს უნივერსიტეტის სხვა სტრუქტურულ ერთეულებთან (IT დეპარტამენტი, კანცელარია, დაცვის სამსახური და ა.შ.), რაც გამოირიცხავს ფუნქციების დუბლირებას და რესურსების რაციონალური გამოყენების გარანტიას ქმნის. განსაკუთრებით აღსანიშნავია ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი – ცენტრს ჰყავს დამოუკიდებელი ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი და სპეციალისტები, რომელთა ფუნქციები მკაფიოდ არის გამიჯნული სასწავლო პროცესის მართვისგან, რითაც სრულად გამოირიცხება ინტერესთა კონფლიქტი (რაც წინა, 2023 წლის მონიტორინგის რეკომენდაციის საფუძველზე გამოსწორდა). პერსონალის მართვის პოლიტიკა ემყარება ობიექტურობის, გამჭვირვალობისა და გუნდურობის პრინციპებს (ინდიკატორი 3.1.2). მართვის პროცესებს ცენტრალიზებულად კოორდინაციას უწევს უნივერსიტეტის პერსონალის მართვის დეპარტამენტი. შრომითი ურთიერთობები, სამუშაო დრო, შვებულებები და დისციპლინური საკითხები რეგულირდება უნივერსიტეტის შინაგანაწესითა და პოლიტიკის დოკუმენტებით. პერსონალის მოზიდვა ხორციელდება მრავალარხიანი სისტემით (შიდა და გარე წყაროები, სოციალური ქსელები, ვებგვერდები), ხოლო შერჩევის პროცესი ეფუძნება კონკურსის ან/და გასაუბრების გამჭვირვალე მექანიზმებს. ექსპერტთა მიერ პირადი საქმეების შესწავლამ დაადასტურა, რომ დასაქმებული პერსონალის კვალიფიკაცია და გამოცდილება სრულად შეესაბამება პოზიციის მოთხოვნებს. დაწესებულების ორგანიზაციული კულტურა ორიენტირებულია თანამონაწილეობაზე – მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მისაღებად იქმნება სამუშაო ჯგუფები და კომისიები, სადაც პერსონალი აქტიურად არის ჩართული, რაც უზრუნველყოფს კოლეგიალურ მიდგომას და ამცირებს სუბიექტურობის რისკებს. პერსონალის განვითარება და პროფესიული ზრდის ხელშეწყობა დაწესებულების პრიორიტეტია

(ინდიკატორი 3.2.1). უნივერსიტეტში დანერგილია პერსონალის შეფასების სისტემა, რომელიც ეფუძნება თვითშეფასებასა და ხელმძღვანელის შეფასებას. პროცესი ფასდება მრავალმხრივი კრიტერიუმებით (კომუნიკაცია, გუნდური მუშაობა, სტრესულ გარემოში მუშაობა, დროის მართვა). შეფასების შედეგები განიხილება ინდივიდუალურად და გამოიყენება განვითარების საჭიროებების დასადგენად. მაგალითად, 2025 წელს მაღალი შეფასების მქონე თანამშრომლებზე მოთხოვნილი იყო დამატებითი ინფორმაცია, ხოლო დაბალი შეფასების შემთხვევაში – პროფესიული გადამზადების საჭიროებების დასაბუთება. გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე, დაწესებულება აქტიურად აფინანსებს და უზრუნველყოფს პერსონალისა და პროფესიული მასწავლებლების ჩართულობას ტრენინგებში (მათ შორის, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრისა და პროფესიული უნარების სააგენტოს მიერ ორგანიზებულ პროგრამებში). ახალი თანამშრომლებისთვის მოქმედებს ადაპტაციის (3-დან 12 თვემდე) მექანიზმი, რომელიც გულისხმობს მენტორობას და სამუშაო გარემოში ეტაპობრივ ინტეგრაციას. პერსონალის ინიციატივები მუდმივად წახალისებულია და მათთვის ბიუჯეტში გათვალისწინებულია ფინანსური რესურსი, რისი ნათელი მაგალითიცაა 2024-2025 წლებში დანერგილი ყოველწლიური პროფესიული კონფერენციის ჩატარების პრაქტიკა.

მატერიალური რესურსებისა და ინფრასტრუქტურის მიმართულებით (ინდიკატორი 5.1.1), დაწესებულება საქმიანობას წარმართავს, ძირითადად სამ ლოკაციაზე: თბილისში (უნივერსიტეტის ქ. 19), სადაც 20,631 კვ.მ ფართიდან გამოიყენება №2 ორსართულიანი შენობა; თბილისში (უნივერსიტეტის ქ. 48), სადაც ცენტრალური ბიბლიოთეკა ეთმობა პროგრამას „საბიბლიოთეკო საქმე“; და ქუთაისში (ნიკეას მე-2 შესახვევი №8), სადაც ოთხსართულიანი შენობიდან (10,555 კვ.მ) ამჟამად ორი სართულია რეაბილიტირებული, ხოლო დარჩენილი ნაწილის სრული კაპიტალური ადაპტირებისთვის ტენდერი უკვე გამოცხადებულია. სივრცეები ფუნქციურად გამიჯნულია (სასწავლო აუდიტორიები, ადმინისტრაციული და დასასვენებელი სივრცეები, ბიბლიოთეკა, სამედიცინო კაბინეტი) და აღჭურვილია ყველა საჭირო ინვენტარით, რაც დასტურდება ინვენტარიზაციის აქტებით. ინფრასტრუქტურა, მცირე გამონაკლისების გარდა, ადაპტირებულია შშმ პირებისთვის (მოწყობილია პანდუსები და ადაპტირებული სანიტარიული კვანძები, ხოლო ქუთაისის ახალ პროექტში გათვალისწინებულია ლიფტი). შენობები უზრუნველყოფილია ცენტრალური გათბობით, გამიჯნული სანიტარიული კვანძებითა და ბუნებრივი/ხელოვნური განათებით. სასწავლო პროცესი შეუფერხებლად მარაგდება ნედლეულითა და მასალებით, რასაც სპეციალური შიდა რეგულაცია და მატერიალური რესურსების მართვის მენეჯერი აკონტროლებს.

უსაფრთხოების კუთხით (ინდიკატორი 5.1.2), უნივერსიტეტში ფუნქციონირებს შრომის უსაფრთხოების სამსახური სერტიფიცირებული სპეციალისტებით, რომლებიც რეგულარულად (6 თვეში ერთხელ) ატარებენ ინსტრუქტაჟს პერსონალისა და სტუდენტებისთვის (რაც 2023 წლის რეკომენდაციის საპასუხოდ სრულად გამოსწორდა). შენობების მდგრადობა დადასტურებულია ექსპერტიზის დასკვნებით. თუმცა, სახანძრო-ტექნიკური შემოწმების აქტებში დაფიქსირებული ხარვეზების გამო, რომელთა სრულად აღმოფხვრისთვის დაწესებულებას შემუშავებული აქვს 18-თვიანი გეგმა, უსაფრთხოების ზომების სრული დაცულობის ინდიკატორი (5.1.2.1) ექსპერტებმა **ნაწილობრივ შესაბამისად** შეაფასეს. ამასთან, ორივე ლოკაციაზე მოქმედებს პირველადი სამედიცინო დახმარების კაბინეტები, დასაქმებულია შესაბამისი პერსონალი (მედიკები) და არსებობს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან შეთანხმებული ევაკუაციის გეგმები. შიდა და გარე პერიმეტრის უსაფრთხოებას უზრუნველყოფს დაცვის სამსახური და ვიდეოსამეთვალყურეო სისტემა, რომელიც დაკავშირებულია მართვის ცენტრთან.

საინფორმაციო რესურსებისა და IT ინფრასტრუქტურის მიმართულებით (ინდიკატორები 5.2.1 და 5.2.2), ცენტრი აღჭურვილია 355 კომპიუტერით (169 თბილისში, 186 ქუთაისში), რომლებიც დაკავშირებულია უწყვეტ ინტერნეტთან (Wi-Fi). IT რისკების მართვასა და ინფრასტრუქტურის

განვითარებას კოორდინაციას უწევს თსუ-ის საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტი ცენტრის IT მენეჯერებთან ერთად. პერსონალური მონაცემების დაცვა გარანტირებულია კანონმდებლობის შესაბამისად და პროცესს ზედამხედველობს მონაცემთა დაცვის ოფიცერი. საქმისწარმოება სრულად ელექტრონულია და ხორციელდება "eDocument" სისტემის მეშვეობით. შიდა და გარე კომუნიკაციისთვის აქტიურად გამოიყენება კორპორატიული ელ.ფოსტები, მესენჯერ ჯგუფები და მიმდინარეობს ახალი ერთიანი ელექტრონული სასწავლო სისტემის პილოტირება. პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში (e-vet.emis.ge) მონაცემების ასახვაზე პასუხისმგებელია სტუდენტთა რეესტრის მენეჯერი, რაც უზრუნველყოფს ინფორმაციის სიზუსტესა და დროულობას.

საზოგადოებასთან ურთიერთობის სტრატეგია (ინდიკატორი 5.2.3) ხორციელდება მიზანმიმართულად და გამჭვირვალედ. უნივერსიტეტის ოფიციალური ვებგვერდი (რომელიც ფუნქციონირებს ქართულ და ინგლისურ ენებზე, ინტერნაციონალიზაციის სტრატეგიიდან გამომდინარე) და სოციალური ქსელები უზრუნველყოფენ სანდო ინფორმაციის, მათ შორის ყოველწლიურად განახლებადი საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგის, დროულ გავრცელებას. კომუნიკაციის არხებიდან და გამოკითხვებიდან მიღებული უკუკავშირი სისტემატურად აისახება სერვისების გაუმჯობესებაში.

ფინანსური რესურსების მართვა და მდგრადობა (ინდიკატორი 5.3.1) ეფუძნება დივერსიფიცირებულ დაფინანსების წყაროებს (ვაუჩერული დაფინანსება, გრანტები, მიზნობრივი პროგრამები). ბიუჯეტი და შესყიდვების გეგმა ფორმირდება ცენტრის სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესაბამისად და სრულად ფარავს როგორც საოპერაციო, ისე განვითარებაზე ორიენტირებულ ხარჯებს. საფინანსო დეპარტამენტი უზრუნველყოფს ბიუჯეტის შესრულების კვარტალურ მონიტორინგს, ამზადებს ფინანსურ ანგარიშგებებს (რომლებიც საჯაროა) და გასცემს რეკომენდაციებს, რომლებიც აქტიურად გამოიყენება მომდევნო წლის ფინანსური დაგეგმვის პროცესის (PDCA ციკლის) გასაუმჯობესებლად.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა – „Front-End დეველოპმენტი“

პროგრამის სახელწოდებაა „Front-End დეველოპმენტი“, რომელიც წარმოადგენს პროფესიული განათლების მეოთხე დონის პროგრამას და კურსდამთავრებულებს ანიჭებს საშუალო პროფესიულ კვალიფიკაციას Front-end დეველოპმენტში. სწავლის დეტალური სფეროს კოდია 0612. პროგრამა დამტკიცებულია რექტორის შესაბამისი ბრძანებებით და ხორციელდება ქართულ ენაზე, იმიტირებულ სამუშაო გარემოში. დოკუმენტაციაში ფიქსირდება განხორციელების ორი ლოკაცია: ქალაქი თბილისი (უნივერსიტეტის ქ. N19) და ქალაქი ქუთაისი (ნიკვას მე-2 შესახვევი N8). სწავლების ფორმის მიხედვით, პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა შეადგენს 40 სტუდენტს. არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში, ქართულენოვანი სტუდენტებისთვის კრედიტების რაოდენობა 60-ს უდრის, ხოლო არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის იგი 90 კრედიტს შეადგენს. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფი სრულად ეთანხმება მოთხოვნილ ზღვრულ რაოდენობას და ადასტურებს პროგრამის სრულ შესაბამისობას სტანდარტებთან.

საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვისა და შემუშავების სტანდარტის (2.1) მიხედვით, პროგრამა შექმნილია დაწესებულებაში დანერგილი მეთოდოლოგიის სრული დაცვით. გადაწყვეტილება ემყარება შრომის ბაზრის დეტალურ კვლევას, რომელმაც გამოავლინა მაღალი მოთხოვნა ვებ-დეველოპერებსა და პროგრამისტებზე, რაც სრულ თანხვედრაშია დაწესებულების მისიასა და სტრატეგიული განვითარების გეგმასთან. პროგრამაზე დაშვების წინაპირობას წარმოადგენს სრული ზოგადი განათლება, რაც უზრუნველყოფს შესაბამისი უნარების მქონე პირთა ჩარიცხვას. სტუდენტთა 40-კაციანი ზღვრული რაოდენობა დაანგარიშებულია გამტარუნარიანობისა და ცვლიანობის მკაცრი გათვალისწინებით (A/B გარემო 20 სამუშაო ადგილით, ორ ცვლაში). პროგრამა არ შეიცავს არჩევით მოდულებს, მისი სახელწოდება ზუსტად ასახავს შინაარსს და იგი დამტკიცებულია უფლებამოსილი პირის მიერ, რითაც სრულად აკმაყოფილებს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსების სტანდარტის (2.2) განხილვისას დასტურდება, რომ პროგრამა სრულად არის უზრუნველყოფილი აუცილებელი მატერიალური და ადამიანური რესურსით. დაწესებულებას გამოყოფილი აქვს სათანადოდ აღჭურვილი აუდიტორიები თანამედროვე კომპიუტერული ტექნიკით. სასწავლო პროცესს ემსახურება შესაბამისი კომპეტენციისა და პრაქტიკული გამოცდილების მქონე პერსონალი, რომელთა საათობრივი დატვირთვა ლოგიკურია და არ აღემატება კვირაში 40 საათს, რაც უზრუნველყოფს განხორციელების მდგრადობას. პროგრამას ხელმძღვანელობს შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე პირი. სასწავლო და საკანონმდებლო რესურსები ხელმისაწვდომია როგორც მატერიალური (ბიბლიოთეკა), ისე ელექტრონული ფორმით. ასევე, ინფრასტრუქტურა ადაპტირებულია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე (სსსმ) პირებისთვის. ფინანსური მდგრადობა დადასტურებულია ფაქტობრივი ბიუჯეტით, სადაც რენტაბელობის ზღვრად 12 სტუდენტია განსაზღვრული.

საგანმანათლებლო პროგრამების შეფასებისა და განვითარების სტანდარტის (2.3) კუთხით, დაწესებულებაში ეფექტურად მუშაობს დემინგის ციკლზე დაფუძნებული შეფასების მექანიზმი. ეს პროცესი მუდმივად ითვალისწინებს შრომის ბაზრის ტენდენციებს, დამსაქმებელთა მოთხოვნებსა და დაინტერესებული მხარეების უკუკავშირს. დაწესებულება რეგულარულად აანალიზებს შეფასების შედეგებს და მიღებული მონაცემების საფუძველზე ანხორციელებს შესაბამის ცვლილებებს. მაგალითად, წინა სასწავლო წლების ანალიზის შედეგად, პროგრამის მოდულებში განახლდა თემატიკა და ლიტერატურა, ასევე დაემატნენ ახალი განმახორციელებელი პირები, რაც ადასტურებს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ქმედითობას.

სასწავლო პროცესის ორგანიზებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სტანდარტი (2.4) აჩვენებს, რომ სწავლება ხორციელდება წინასწარ გაწერილი სასწავლო გეგმების მკაცრი დაცვით (42 კვირა ქართულენოვანი და 62 კვირა არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის). სასწავლო პროცესი გამოირჩევა მოქნილობით და სტუდენტზე ორიენტირებული მიდგომით, რაც მოიცავს ინდივიდუალურ კონსულტაციებსა და დამატებით მეცადინეობებს. შეფასების სისტემა არის სრულად ვალიდური, სანდო და ობიექტური. განსაკუთრებით აღსანიშნავია შეფასების ვერიფიკაციის ეფექტური მექანიზმი, რომელიც გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს ლოკაციებს შორის ჯვარედინი შემოწმების პრინციპით. ყველა მტკიცებულება სათანადოდ აღირიცხება და ინახება 3 წლის ვადით, ხოლო მიღებული შედეგები აქტიურად გამოიყენება პროფესიული სტუდენტების შემდგომი განვითარებისა და პროცესების სრულყოფისათვის.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა – „ბუღალტრული აღრიცხვა“

„ბუღალტრული აღრიცხვა“ არის მეხუთე დონის პროფესიული განათლების პროგრამა, რომელიც კურსდამთავრებულებს ანიჭებს უმაღლეს პროფესიულ კვალიფიკაციას ბუღალტრულ აღრიცხვაში (Higher Vocational Qualification in Accounting). სწავლის დეტალური სფეროს კოდია 0411. პროგრამა თავდაპირველად დამტკიცდა რექტორის 2020 წლის 1 ივნისის ბრძანებით (N 97/01-01), ხოლო ცვლილებები განხორციელდა 2025 წლის 8 სექტემბერს (ბრძანება N 201/01-01). საგანმანათლებლო პროცესი მიმდინარეობს ქართულ ენაზე, იმიტირებულ სამუშაო გარემოში. პროგრამა ხორციელდება ორ ლოკაციაზე: ქალაქ თბილისში (უნივერსიტეტის ქ. N19) და ქალაქ ქუთაისში (ნიკეას მე-2 შესახვევი N8). ორივე ლოკაციაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა შეადგენს 40-40 სტუდენტს, რასაც ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფი სრულად ეთანხმება. არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში, ქართულენოვანი სტუდენტებისთვის კრედიტების რაოდენობა 99-ს შეადგენს (88 სასწავლო კვირა), ხოლო არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის, რომელთაც ესაჭიროებათ ქართული ენის მოდულების გავლა – 129 კრედიტს (108 სასწავლო კვირა).

საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვისა და შემუშავების სტანდარტის (2.1) მიხედვით, პროგრამა სრულად პასუხობს დაწესებულებაში დანერგილ მეთოდოლოგიასა და სტრატეგიული განვითარების გეგმას. გადაწყვეტილება პროგრამის განხორციელების შესახებ

დაფუძნებულია შრომის ბაზრის კომპლექსურ კვლევაზე, რომელმაც დაადასტურა მაღალი და მზარდი მოთხოვნა ბუღალტრული აღრიცხვის სფეროში კვალიფიციურ კადრებზე. დამსაქმებელთა უკუკავშირი და დასაქმების პლატფორმების მონაცემები მოწმობს, რომ როგორც თბილისში, ისე ქუთაისში არის ბუღალტრების დეფიციტი. პროგრამაზე დაშვების წინაპირობას წარმოადგენს სრული ზოგადი განათლება, რაც უზრუნველყოფს სათანადო ბაზის მქონე პირთა ჩარიცხვას. სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა (40 სტუდენტი თითო ლოკაციაზე) დაანგარიშებული არის აუდიტორიების გამტარუნარიანობისა და სასწავლო გარემოს (A/B გარემო 20 კომპიუტერით) ცვლიანობის გათვალისწინებით. პროგრამა დამტკიცებულია სათანადო წესით, მისი სახელწოდება შეესაბამება შინაარსს და სრულად აკმაყოფილებს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსების სტანდარტის (2.2) განხილვისას დგინდება, რომ დაწესებულება სრულად არის უზრუნველყოფილი აუცილებელი მატერიალური და ადამიანური რესურსებით. ორივე ლოკაციაზე გამოყოფილია შესაბამისი A/B გარემო (თბილისში N204, ქუთაისში N211 აუდიტორიები), რომლებიც აღჭურვილია კომპიუტერული ტექნიკითა და საჭირო ინვენტარით. სასწავლო პროცესს ემსახურება კვალიფიციური პერსონალი, რომელთა რაოდენობა (თბილისში 26, ქუთაისში 15 განმახორციელებელი პირი) და კვირეული დატვირთვა (არაუმეტეს 40 საათისა) უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას. პროფესიული განათლების მასწავლებლებს აქვთ შესაბამისი დარგობრივი კომპეტენცია და გავლილი აქვთ ტრენინგები სწავლებისა და შეფასების მიმართულებით. პროგრამას ჰყავს შესაბამისი კვალიფიკაციისა და გამოცდილების მქონე ხელმძღვანელი. სასწავლო და საინფორმაციო რესურსები, მათ შორის წვდომა "საკანონმდებლო მაცნესთან", ხელმისაწვდომია ელექტრონული და მატერიალური ფორმით. ასევე, გათვალისწინებულია სსსმ პირთა საჭიროებები ინკლუზიური გარემოსა და ადაპტირებული რესურსების შექმნის კუთხით. ფინანსური მდგრადობა უზრუნველყოფილია, რენტაბელობის ზღვრად კი 12 სტუდენტია განსაზღვრული.

საგანმანათლებლო პროგრამების შეფასებისა და განვითარების სტანდარტის (2.3) კუთხით, დაწესებულება იყენებს ხარისხის უზრუნველყოფის ეფექტურ მექანიზმს, რომელიც ეფუძნება დემინგის ციკლს (PDCA). პროგრამის შეფასება რეგულარულად ითვალისწინებს შრომის ბაზრის ტენდენციებს, სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა უკუკავშირს. დაწესებულება მუდმივად ანალიზებს სასწავლო პროცესის მიმდინარეობას და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს. მაგალითად, 2023-2024 სასწავლო წლების ანალიზის შედეგად, 2025 წელს განახლდა პროგრამის სასწავლო და ადამიანური რესურსი, რაც ადასტურებს მექანიზმის ქმედითობას და პროგრამის მუდმივ განვითარებაზე ორიენტაციას.

სასწავლო პროცესის ორგანიზებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სტანდარტი (2.4) აჩვენებს, რომ სასწავლო პროცესი მიჰყვება დადგენილ გეგმებს და კვირეული დატვირთვა არ აღემატება 40 საათს. დაწესებულება მოქნილად რეაგირებს სტუდენტთა საჭიროებებზე, სთავაზობს მათ ინდივიდუალურ კონსულტაციებსა და ენობრივი ბარიერის დაძლევის ხელშემწყობ კურსებს. სწავლების პროცესში აქტიურად გამოიყენება თანამედროვე, სტუდენტზე ორიენტირებული მეთოდები, როგორცაა შედეგებზე დაფუძნებული სწავლება და ქეის-სტადიები, რაც ხორციელდება რეალურთან მიახლოებულ იმიტირებულ გარემოში. შეფასების სისტემა არის სრულად ვალიდური, სანდო და ობიექტური. განსაკუთრებით ხაზგასასმელია შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმი, რომელიც ლოკაციებს შორის ჯვარედინი შემოწმების პრინციპით ხორციელდება, რაც გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს. ყველა მტკიცებულება სათანადოდ ინახება 3 წლის ვადით, ხოლო შეფასების შედეგები რეგულარულად გამოიყენება სტუდენტთა შემდგომი განვითარებისა და სასწავლო პროცესის გასაუმჯობესებლად.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა – „სკოლამდელი აღზრდა“

„სკოლამდელი აღზრდა“ (Preschool Education), შეესაბამება პროფესიული განათლების მეხუთე დონეს და კურსდამთავრებულებს ანიჭებს უმაღლეს პროფესიულ კვალიფიკაციას სკოლამდელ აღზრდაში. სწავლის დეტალური სფეროს კოდია 0112. პროგრამა დამტკიცებულია რექტორის შესაბამისი ბრძანებებით (ძირითადი ბრძანება 2020 წელს, ცვლილება 2025 წელს) და ხორციელდება ქართულ ენაზე. საგანმანათლებლო პროცესი მიმდინარეობს ორ ლოკაციაზე: ქალაქ თბილისში (უნივერსიტეტის ქ. N19) და ქალაქ ქუთაისში (ნიკეას მე-2 შესახვევი N8). აღსანიშნავია, რომ სწავლება ხორციელდება კოოპერაციული ფორმით, რაც გულისხმობს რეალურ სამუშაო გარემოში პრაქტიკული კომპონენტების გავლას. თითოეულ ლოკაციაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა შეადგენს 40 სტუდენტს, რასაც ექსპერტთა ჯგუფი სრულად ეთანხმება. პროგრამის მოცულობა ქართულენოვანი სტუდენტებისთვის 116 კრედიტს უდრის, ხოლო არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის, რომელთაც ქართული ენის მოდულების გავლა ესაჭიროებათ, იგი 146 კრედიტს შეადგენს.

საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვისა და შემუშავების სტანდარტის (2.1) ანალიზი ცხადყოფს, რომ პროგრამა სრულ თანხვედრაშია დაწესებულების სტრატეგიულ მიზნებთან და ეფუძნება შრომის ბაზრის სიღრმისეულ კვლევას. სტატისტიკური მონაცემები და დასაქმების პორტალების მაჩვენებლები ადასტურებს სკოლამდელი განათლების სპეციალისტებზე მზარდ მოთხოვნასა და დასაქმების მაღალ (70%-იან) პოტენციალს. პროგრამაზე დაშვების წინაპირობას წარმოადგენს სრული ზოგადი განათლება, ხოლო ჩარიცხვა ეროვნული გამოცდების ცენტრის ტესტირების საფუძველზე ხდება. ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაიცა ორი მნიშვნელოვანი რეკომენდაცია ამ სტანდარტის ფარგლებში: პირველი, დაწესებულებამ მეთოდოლოგიაში მკაფიოდ უნდა გაწეროს სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განმსაზღვრელი კრიტერიუმები (სასწავლო ადგილები, პერსონალის რაოდენობა, პრაქტიკის ობიექტის გამტარუნარიანობა); მეორე, ვინაიდან პროგრამა კოოპერაციულია, ძირითად დოკუმენტში უნდა აისახოს დაწესებულებასა და პარტნიორებს შორის პროფესიული მოდულების კრედიტების პროცენტული გადანაწილება, ხოლო მოდულებში დამატებით უნდა დაკონკრეტდეს პარტნიორ ორგანიზაციაში მისაღწევი სწავლის შედეგები პროცესის მეტი გამჭვირვალობისთვის.

საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსების სტანდარტი (2.2) სრულად აკმაყოფილებს დადგენილ მოთხოვნებს. თბილისსა და ქუთაისში უზრუნველყოფილია შესაბამისი A და B ტიპის სასწავლო გარემოები, რომლებიც აღჭურვილია კომპიუტერული ტექნიკითა და საჭირო ინვენტარით 40 სტუდენტის გამტარუნარიანობისთვის ორ ცვლაში. თბილისის ლოკაციაზე ჩართულია 46 განმახორციელებელი პირი და გაფორმებულია მემორანდუმები სამ საჯარო ბაგა-ბაღთან და შპს „ლარდთან“ (65 სტუდენტის კვოტით). ქუთაისის ლოკაციაზე ჩართულია 19 პერსონალი, ხოლო პრაქტიკული ბაზისთვის მემორანდუმი გაფორმებულია ქუთაისის ბაგა-ბაღების გაერთიანებასთან. პერსონალის დატვირთვა არ აღემატება კვირაში 40 საათს, ხოლო მათ კვალიფიკაციას ადასტურებს შესაბამისი განათლება და გავლილი ტრენინგები. საგანმანათლებლო რესურსები ხელმისაწვდომია როგორც ბიბლიოთეკაში, ისე ელექტრონულად (მათ შორის წვდომა საკანონმდებლო მაცნესთან). ინფრასტრუქტურა სრულად ადაპტირებულია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთათვის. პროგრამის ფინანსური მდგრადობა გამყარებულია ბიუჯეტით, სადაც რენტაბელობის ზღვრად 13 პროფესიული სტუდენტია მიჩნეული.

საგანმანათლებლო პროგრამების შეფასებისა და განვითარების სტანდარტის (2.3) მიხედვით, დაწესებულებაში ეფექტურად ფუნქციონირებს დემინგის ციკლზე დაფუძნებული ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა. შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის კვლევას, ყველა დაინტერესებული მხარის გამოკითხვასა და საუკეთესო პრაქტიკის გაზიარებას სხვა დაწესებულებებთან. ხარისხის მართვის სამსახური რეგულარულად აანალიზებს მიღებულ მონაცემებს, რისი შედეგიც არის 2025 წელს პროგრამაში განხორციელებული ცვლილებები.

კერძოდ, წინა წლების უკუკავშირის საფუძველზე განახლდა სასწავლო და ადამიანური რესურსი, დაკორექტირდა სასწავლო გეგმა, მოდულის თემატიკა და საათობრივი ბადა, რაც ადასტურებს შეფასების სისტემის ქმედითობას.

სასწავლო პროცესის ორგანიზებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სტანდარტი (2.4) აჩვენებს, რომ სწავლება ხორციელდება გეგმის დაცვით, რომლის ხანგრძლივობაც ქართულენოვანი სტუდენტებისთვის 86 კვირას, ხოლო არაქართულენოვანთათვის 106 კვირას შეადგენს. სასწავლო პროცესი გამოირჩევა მოქნილობით და ითვალისწინებს სტუდენტთა ინდივიდუალურ საჭიროებებს, მათ შორის ფსიქო-სოციალური გუნდის მხარდაჭერასა და ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავებას. სასწავლო პროცესში აქტიურად ინერგება თანამედროვე ტექნოლოგიები და მეთოდები. კოოპერაციული სწავლების ფარგლებში, პრაქტიკის ობიექტებზე ხორციელდება 13 კრედიტის მოცულობის მოდულები (ჯანმრთელობა და უსაფრთხოება, პრაქტიკული პროექტი), რაც დასტურდება გაფორმებული ხელშეკრულებებით. შეფასების სისტემა არის სრულად ვალიდური და ობიექტური. განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ვერიფიკაციის მექანიზმი, რომელიც ლოკაციებს შორის ჯვარედინი შემოწმების პრინციპით ხორციელდება და რომლის ფარგლებშიც გამოვლენილი სტრუქტურული ხარვეზები დროულად იქნა აღმოფხვრილი. ყველა მონაცემი ინახება 3 წლის ვადით, ხოლო შეფასების შედეგები მიმართულია სტუდენტთა შემდგომი განვითარებისა და პროგრამის სრულყოფისკენ.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა – „საფინანსო სერვისები – Finance services“

აღნიშნული პროგრამა განეკუთვნება პროფესიული განათლების მესამე დონეს და კურსდამთავრებულებს ანიჭებს საბაზო პროფესიულ კვალიფიკაციას საფინანსო სერვისებში. სწავლის დეტალური სფეროს კოდია 0412. პროგრამა დამტკიცებულია რექტორის შესაბამისი ბრძანებებით (ძირითადი ბრძანება გამოიცა 2020 წელს, ხოლო ცვლილება – 2025 წელს) და ხორციელდება ქართულ ენაზე. საგანმანათლებლო პროცესი პარალელურად მიმდინარეობს ორ ლოკაციაზე: ქალაქ თბილისში (უნივერსიტეტის ქ. N19) და ქალაქ ქუთაისში (ნიკეას მე-2 შესახვევი N8). მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ სწავლება ხორციელდება კოოპერაციული ფორმით, რაც რეალურ სამუშაო გარემოში ინტეგრირებულ პრაქტიკას გულისხმობს. თითოეულ ლოკაციაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა შეადგენს 40-ს, რასაც ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფი სრულად ეთანხმება. პროგრამის მოცულობა ქართულენოვანი სტუდენტებისთვის 52 კრედიტს უდრის, ხოლო არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის იგი 67 კრედიტს შეადგენს.

საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვისა და შემუშავების სტანდარტის მიხედვით, პროგრამა სრულად შეესაბამება დაწესებულების სტრატეგიულ მიზნებს და ეფუძნება შრომის ბაზრის სიღრმისეულ კვლევას. სტატისტიკური მონაცემები, საქართველოს ეროვნული ბანკის სტრატეგია და დასაქმების პორტალების მაჩვენებლები ცალსახად ადასტურებს საფინანსო სექტორში კვალიფიციურ კადრებზე მზარდ მოთხოვნას. პროგრამაზე დაშვების წინაპირობას წარმოადგენს საბაზო განათლება და მინიმუმ 17 წლის ასაკი. ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაიცა რეკომენდაცია: ვინაიდან პროგრამა კოოპერაციულია, ძირითად დოკუმენტში მკაფიოდ უნდა აისახოს დაწესებულებასა და პარტნიორებს შორის პროფესიული მოდულების კრედიტების პროცენტული გადანაწილება. გარდა ამისა, პარტნიორ ორგანიზაციაში მისაღწევი სწავლის შედეგები დამატებით უნდა დაკონკრეტდეს შესაბამის მოდულებში, რათა უზრუნველყოფილი იყოს პრაქტიკული კომპონენტის მაქსიმალური გამჭვირვალობა და თანმიმდევრულობა.

საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსების სტანდარტი სრულად აკმაყოფილებს ავტორიზაციის მოთხოვნებს. თბილისსა და ქუთაისში უზრუნველყოფილია შესაბამისი A/B ტიპის სასწავლო გარემოები, რომლებიც აღჭურვილია საჭირო ინვენტარით (მათ შორის ფულის სათვლელი მანქანებით, დეტექტორებითა და კომპიუტერული ტექნიკით) 40 სტუდენტის გამტარუნარიანობისთვის ორ ცვლაში. თბილისის ლოკაციაზე პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 39 პირი და გაფორმებულია მემორანდუმები ისეთ

პარტნიორებთან, როგორცაა სს „გუდვილი“, შპს „ლენდაფი“ და სს „საქართველოს ბანკი“. ქუთაისის ლოკაციაზე ჩართულია 19 განმახორციელებელი პირი, ხოლო პრაქტიკული ბაზისთვის მემორანდუმები გაფორმებულია სს „კრედო ბანკსა“ და შპს „მეგასთან“. პერსონალის კვირეული დატვირთვა არ აღემატება 40 საათს. საგანმანათლებლო რესურსები ხელმისაწვდომია ელექტრონული და ბეჭდური სახით, ხოლო ინკლუზიური გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთათვის სრულყოფილადაა უზრუნველყოფილი. პროგრამის ფინანსური მდგრადობა გამყარებულია შესაბამისი ბიუჯეტით, სადაც რენტაბელობის ზღვრად 12 სტუდენტია მიჩნეული.

საგანმანათლებლო პროგრამების შეფასებისა და განვითარების სტანდარტის კუთხით, დაწესებულებაში ეფექტურად ფუნქციონირებს დემინგის ციკლზე დაფუძნებული ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი. შეფასების სისტემა აქტიურად ითვალისწინებს შრომის ბაზრის კვლევასა და უკუკავშირს ყველა დაინტერესებული მხარისგან. ხარისხის მართვის სამსახური რეგულარულად ანალიზებს მიღებულ მონაცემებს და საჭიროების შემთხვევაში მყისიერად ახორციელებს ცვლილებებს. ამის ნათელი მაგალითია 2023-2024 სასწავლო წლების უკუკავშირის საფუძველზე, 2025 წელს პროგრამის სასწავლო და ადამიანური რესურსების განახლება, რაც ცხადყოფს შეფასების სისტემის ქმედითობასა და საგანმანათლებლო პროცესის მუდმივ განვითარებაზე ორიენტაციას.

სასწავლო პროცესის ორგანიზებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სტანდარტი აჩვენებს, რომ სწავლება ხორციელდება წინასწარ გაწერილი გეგმის მკაცრი დაცვით, რომლის ხანგრძლივობაც ქართულენოვანი სტუდენტებისთვის 36 კვირას, ხოლო არაქართულენოვანთათვის 46 კვირას შეადგენს. სასწავლო პროცესი სრულად ითვალისწინებს სტუდენტთა ინდივიდუალურ საჭიროებებს და ეფუძნება სწავლების თანამედროვე მეთოდებს. კოოპერაციული სწავლების ფარგლებში, პრაქტიკის ობიექტებზე ხორციელდება სპეციფიკური საწარმოო და გაცნობითი მოდულები, რაც დასტურდება სათანადო ხელშეკრულებებით. შეფასების სისტემა არის სრულად ვალიდური, სანდო და ობიექტური. შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმი ხორციელდება ლოკაციებს შორის (თბილისი და ქუთაისი) ჯვარედინი შემოწმების პრინციპით, რაც ინტერესთა კონფლიქტს სრულად გამორიცხავს. პროცესის დროს გამოვლენილი ტექნიკური უზუსტობები დროულად იქნა აღმოფხვრილი, ხოლო ყველა შეფასების დოკუმენტი ინახება დადგენილი 3 წლის ვადით. მიღებული შედეგები აქტიურად გამოიყენება სტუდენტთა შემდგომი განვითარებისა და საგანმანათლებლო პროცესის უწყვეტი სრულყოფისათვის.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა – „საბაჟო საქმე“ (Customs Study)

პროგრამის სახელწოდებაა „საბაჟო საქმე“ (Customs Study), რომელიც წარმოადგენს პროფესიული განათლების მეხუთე დონის პროგრამას და კურსდამთავრებულებს ანიჭებს უმაღლეს პროფესიულ კვალიფიკაციას საბაჟო საქმეში. სწავლის დეტალური სფეროს კოდია 1032. პროგრამა დამტკიცებულია რექტორის შესაბამისი ბრძანებებით (ძირითადი ბრძანება 2019 წელს, ხოლო ცვლილება 2025 წელს) და ხორციელდება ქართულ ენაზე. საგანმანათლებლო პროცესი მიმდინარეობს ორ ლოკაციაზე: ქალაქ თბილისში (უნივერსიტეტის ქ. N19) და ქალაქ ქუთაისში (ნიკეას მე-2 შესახვევი N8). სწავლება ხორციელდება კოოპერაციული ფორმით, რაც გულისხმობს რეალურ სამუშაო გარემოში ინტეგრირებულ პრაქტიკას. თითოეულ ლოკაციაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა შეადგენს 40 სტუდენტს, რასაც ექსპერტთა ჯგუფი სრულად ეთანხმება. პროგრამის მოცულობა ქართულენოვანი სტუდენტებისთვის 93 კრედიტს უდრის (63 სასწავლო კვირა), ხოლო არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის, რომელთაც ქართული ენის მოდულების გავლა ესაჭიროებათ, იგი 123 კრედიტს (83 სასწავლო კვირა) შეადგენს.

საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვისა და შემუშავების სტანდარტის (2.1) ანალიზი აჩვენებს, რომ პროგრამა ეფუძნება შრომის ბაზრის სიღრმისეულ ეროვნულ და საერთაშორისო კვლევებს, რომლებიც ადასტურებს კვალიფიციურ საბაჟო სპეციალისტებზე მზარდ

მოთხოვნასა და დეფიციტს ლოჯისტიკისა და საერთაშორისო ვაჭრობის სფეროების ზრდის ფონზე. პროგრამაზე დაშვების წინაპირობას წარმოადგენს სრული ზოგადი განათლება, ხოლო ჩარიცხვა ეროვნული გამოცდების ცენტრის ტესტირების საფუძველზე ხორციელდება. ექსპერტთა ჯგუფის მიერ ამ სტანდარტის ფარგლებში გაიცა ორი ძირითადი რეკომენდაცია: პირველი, დაწესებულებამ მეთოდოლოგიაში სრულად და მკაფიოდ უნდა გაწეროს სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განმსაზღვრელი კრიტერიუმები (პერსონალის რაოდენობა, პრაქტიკის ობიექტის გამტარუნარიანობა, დისტანციური სწავლების შესაძლებლობა), რათა პრაქტიკა და მარეგულირებელი დოკუმენტაცია სრულ თანხვედრაში იყოს; მეორე, ვინაიდან პროგრამა კოოპერაციულია, ძირითად დოკუმენტში უნდა აისახოს დაწესებულებასა და პარტნიორებს შორის პროფესიული მოდულების კრედიტების პროცენტული გადანაწილება, ხოლო მოდულებში დამატებით უნდა დაკონკრეტდეს პარტნიორ ორგანიზაციაში მისაღწევი სწავლის შედეგები პროცესის მეტი გამჭვირვალობისთვის.

საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსების სტანდარტი (2.2) სრულად აკმაყოფილებს ავტორიზაციის მოთხოვნებს. თბილისსა და ქუთაისში უზრუნველყოფილია შესაბამისი A/B ტიპის სასწავლო გარემოები (აუდიტორიები N205 და N202), რომლებიც აღჭურვილია კომპიუტერული ტექნიკითა და სპეციალიზებული პროგრამული უზრუნველყოფით („ASYCUDA“). თბილისის ლოკაციაზე პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 25 პირი და გაფორმებულია მემორანდუმები სსიპ შემოსავლების სამსახურსა და შპს „გაკო ტერმინალთან“. ქუთაისის ლოკაციაზე ჩართულია 18 განმახორციელებელი პირი, ხოლო პრაქტიკული ბაზისთვის მემორანდუმი გაფორმებულია შემოსავლების სამსახურთან. პერსონალის კვირეული დატვირთვა არ აღემატება 40 საათს, ხოლო მათ კვალიფიკაციას ადასტურებს შესაბამისი განათლება და საბაჟო სფეროში პრაქტიკული მუშაობის გამოცდილება. ინფრასტრუქტურა და სასწავლო რესურსები, მათ შორის წვდომა „საკანონმდებლო მაცნესთან“, სრულად ადაპტირებულია და ხელმისაწვდომია, მათ შორის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთათვის. პროგრამის ფინანსური მდგრადობა გამყარებულია ბიუჯეტით, სადაც რენტაბელობის ზღვრად 12 სტუდენტია მიჩნეული.

საგანმანათლებლო პროგრამების შეფასებისა და განვითარების სტანდარტის (2.3) კუთხით, დაწესებულებაში ეფექტურად ფუნქციონირებს დემინგის ციკლზე დაფუძნებული ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი. შეფასების სისტემა აქტიურად ითვალისწინებს შრომის ბაზრის კვლევასა და უკუკავშირს ყველა დაინტერესებული მხარისგან. ხარისხის მართვის სამსახური და პროგრამის ხელმძღვანელები რეგულარულად აანალიზებენ მიღებულ მონაცემებს, რისი შედეგიც არის 2025 წელს პროგრამაში განხორციელებული ცვლილებები. წინა სასწავლო წლის უკუკავშირის საფუძველზე განახლდა მატერიალური და ადამიანური რესურსი, დაკორექტირდა სასწავლო გეგმა, მოდულის თემატიკა, ლიტერატურა და საათობრივი ბადე, რაც ადასტურებს შეფასების სისტემის ქმედითობას.

სასწავლო პროცესის ორგანიზებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სტანდარტი (2.4) აჩვენებს, რომ სწავლება ხორციელდება წინასწარ გაწერილი გეგმის მკაცრი დაცვით და სტუდენტთა ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებული მიდგომებით. სწავლების პროცესში აქტიურად გამოიყენება თანამედროვე მეთოდები, როგორცაა ქეის-სტადიები, სიტუაციური ანალიზი და პროფესიული როლების იმიტაცია. კოოპერაციული სწავლების ფარგლებში, პრაქტიკის ობიექტებზე ხორციელდება სპეციფიკური მოდულები (თბილისში 15 კრედიტის მოცულობით, მათ შორის სატრანსპორტო საშუალებების კონტროლი და საბაჟო ზედამხედველობა; ქუთაისში – 13 კრედიტის მოცულობით). შეფასების სისტემა არის სრულად ვალიდური, სანდო და ობიექტური. განსაკუთრებით აღსანიშნავია შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმი, რომელიც ლოკაციებს შორის ჯვარედინი შემოწმების პრინციპით ხორციელდება, რაც ინტერესთა კონფლიქტს გამორიცხავს და პროცესის სანდოობას ზრდის. ყველა მონაცემი ინახება 3 წლის ვადით, ხოლო მიღებული შედეგები აქტიურად გამოიყენება სტუდენტთა შემდგომი განვითარებისა და საგანმანათლებლო პროცესის უწყვეტი სრულყოფისათვის.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა – „ღონისძიების ორგანიზება“

აღნიშნული პროგრამა განეკუთვნება პროფესიული განათლების მეოთხე დონეს და კურსდამთავრებულებს ანიჭებს საშუალო პროფესიულ კვალიფიკაციას ღონისძიების ორგანიზებაში. სწავლის დეტალური სფეროს კოდია 0413. პროგრამა დამტკიცებულია რექტორის 2020 წლის 1 ივნისის (N97/01-01) ბრძანებით, ხოლო მნიშვნელოვანი ცვლილება განხორციელდა 2025 წლის 8 სექტემბერს (N 201/01-01). საგანმანათლებლო პროცესი მიმდინარეობს ქართულ ენაზე, პარალელურად ორ ლოკაციაზე: თბილისში (უნივერსიტეტის ქ. № 19) და ქუთაისში (ნიკეას მე-2 შესახვევი N 8). აღსანიშნავია, რომ სწავლება ხორციელდება კოოპერაციული ფორმით, რაც უზრუნველყოფს პრაქტიკული კომპონენტების რეალურ სამუშაო გარემოში გავლას. თითოეულ ლოკაციაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა განისაზღვრა 40 სტუდენტით, რასაც ექსპერტთა ჯგუფი სრულად იზიარებს. პროგრამის მოცულობა ქართულენოვანი სტუდენტებისთვის შეადგენს 61 კრედიტს, ხოლო არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის, რომლებიც გადიან ქართული ენის დამატებით მოდულებს, კრედიტების რაოდენობაა 91.

პროგრამა სრულ შესაბამისობაშია დაწესებულების მისიასთან და სტრატეგიულ მიზნებთან. მისი შემუშავება დაეფუძნა შრომის ბაზრის სიღრმისეულ კვლევას, რომელმაც დაადასტურა ღონისძიებების ორგანიზების სფეროში კვალიფიციურ კადრებზე არსებული მაღალი მოთხოვნა. პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა სრული ზოგადი განათლება. შერჩევის პროცესის მნიშვნელოვანი ნაწილია მოტივაციური გასაუბრება, რაც უზრუნველყოფს შესაბამისი წინარე ცოდნისა და უნარების მქონე აპლიკანტთა დაშვებას. ექსპერტთა ჯგუფის მიერ ამ სტანდარტში გაიცა ორი მნიშვნელოვანი რეკომენდაცია: დაწესებულებამ მეთოდოლოგიაში მკაფიოდ უნდა გაწეროს სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განმსაზღვრელი ყველა კრიტერიუმი (სასწავლო ადგილები, პერსონალი, პრაქტიკის ობიექტის გამტარუნარიანობა). როგორც კოოპერაციული პროგრამის შემთხვევაში, ძირითად დოკუმენტში უნდა აისახოს დაწესებულებასა და პარტნიორებს შორის პროფესიული მოდულების კრედიტების პროცენტული გადანაწილება და მოდულებში დაკონკრეტდეს პარტნიორ ორგანიზაციაში მისაღწევი სწავლის შედეგები.

პროგრამა სრულად არის უზრუნველყოფილი საჭირო ადამიანური, მატერიალური და ფინანსური რესურსებით. თბილისსა და ქუთაისში მოწყობილია A/C და B ტიპის სასწავლო გარემოები, რომლებიც აღჭურვილია აუცილებელი ტექნიკითა და ინვენტარით 40 სტუდენტის გამტარუნარიანობისთვის (ორ ცვლაში). თბილისის ლოკაციაზე პროგრამას ემსახურება 34, ხოლო ქუთაისში – 18 პროფესიული განათლების მასწავლებელი, რომელთა დატვირთვა არ აღემატება კვირაში 40 საათს. მოდული „ღონისძიების ტექნიკური მომსახურება და უსაფრთხოება“ ხორციელდება პარტნიორი ორგანიზაციების ბაზაზე (თბილისში – შპს „GEVOICE“, ქუთაისში – „თოჯინების პროფესიული სახელმწიფო თეატრი“). სასწავლო და საინფორმაციო რესურსები, მათ შორის ელექტრონული ბაზები და „საკანონმდებლო მაცნე“, ხელმისაწვდომია ყველა სტუდენტისთვის. ინფრასტრუქტურა სრულად ადაპტირებულია სსსმ პირებისთვის. ფინანსური მდგრადობა დადასტურებულია, რენტაბელობის ზღვრად კი 14 სტუდენტია განსაზღვრული.

დაწესებულებაში დანერგულია ხარისხის უზრუნველყოფის ეფექტური მექანიზმი, რომელიც ეფუძნება დემინგის ციკლს (PDCA). სისტემატურად ფასდება შრომის ბაზრის მოთხოვნები და ხდება დაინტერესებული მხარეების (სტუდენტები, პერსონალი, დამსაქმებლები) უკუკავშირის ანალიზი. სწორედ ამ მექანიზმის ქმედითობის შედეგია 2025 წელს პროგრამაში განხორციელებული ცვლილებები (განახლდა რესურსები, დაკორექტირდა გეგმა და თემატიკა), რაც ადასტურებს უნივერსიტეტის ორიენტაციას უწყვეტ განვითარებაზე.

სასწავლო პროცესი მიჰყვება დამტკიცებულ სასწავლო გეგმას (44 კვირა ქართულენოვანი, 64 კვირა არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის). პროცესი გამოირჩევა მოქნილობით და სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით. სწავლება ეფუძნება თანამედროვე მეთოდებს (ქეის-სტადიები, როლური თამაშები, პრაქტიკული სიმულაციები).

კოოპერაციული სწავლების ფარგლებში პარტნიორებთან გაფორმებული მემორანდუმები უზრუნველყოფს პრაქტიკული უნარების რეალურ გარემოში დაუფლებას.

შეფასების სისტემა არის ვალიდური, ობიექტური და გამჭვირვალე. დანერგილია ვერიფიკაციის მექანიზმი ლოკაციებს შორის ჯვარედინი შემოწმების პრინციპით, რაც ზრდის სანდოობას. მტკიცებულებები სათანადოდ ინახება 3 წლის ვადით, ხოლო შეფასების შედეგები (როგორც განმსაზღვრელი, ისე განმავითარებელი) აქტიურად გამოიყენება სტუდენტთა შემდგომი განვითარებისთვის.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა – „საბიბლიოთეკო საქმე“

„საბიბლიოთეკო საქმის“ პროგრამა განეკუთვნება პროფესიული განათლების მეოთხე დონეს და კურსდამთავრებულებს ანიჭებს საშუალო პროფესიულ კვალიფიკაციას საბიბლიოთეკო საქმეში. სწავლის დეტალური სფეროს კოდია 0322. პროგრამა დამტკიცებულია რექტორის შესაბამისი ბრძანებებით (ძირითადი ბრძანება – 2020 წელს, ცვლილება – 2025 წელს) და ხორციელდება ქართულ ენაზე. საგანმანათლებლო პროცესი მიმდინარეობს ორ ლოკაციაზე: ქალაქ თბილისში (უნივერსიტეტის ქ. N48) და ქალაქ ქუთაისში (ნიკეას მე-2 შესახვევი N8). თბილისის ლოკაციაზე სწავლება ხორციელდება იმიტირებულ სამუშაო გარემოში, ხოლო ქუთაისის ლოკაციაზე – რეალურ სამუშაო გარემოში, კოოპერაციული ფორმით. თითოეულ ლოკაციაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა შეადგენს 40 სტუდენტს, რასაც ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფი სრულად ეთანხმება. პროგრამის მოცულობა ქართულენოვანი სტუდენტებისთვის 86 კრედიტს უდრის, ხოლო არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის, რომელთაც ქართული ენის მოდულების გავლა ესაჭიროებათ, იგი 116 კრედიტს შეადგენს.

პროგრამის განხორციელების გადაწყვეტილება სრულ თანხვედრაშია უნივერსიტეტის მისიასა და სტრატეგიულ მიზნებთან. შრომის ბაზრის ანალიზი და დამსაქმებელთა უკუკავშირი ადასტურებს, რომ პროგრამა პასუხობს თანამედროვე საგანმანათლებლო დარგის საჭიროებებს და უზრუნველყოფს სხვადასხვა ტიპის (საჯარო, სამეცნიერო, სასკოლო და ა.შ.) ბიბლიოთეკების მომარაგებას კვალიფიციური კადრებით. პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა სრული ზოგადი განათლება, ხოლო შერჩევის პროცესის მნიშვნელოვანი ნაწილია მოტივაციური გასაუბრება.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ ამ სტანდარტში გაიცა ორი მნიშვნელოვანი რეკომენდაცია: დაწესებულებამ მეთოდოლოგიაში მკაფიოდ უნდა გაწეროს სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განმსაზღვრელი კრიტერიუმები (სასწავლო ადგილები, პერსონალი, პრაქტიკის ობიექტის გამტარუნარიანობა). ქუთაისის ლოკაციისთვის (სადაც პროგრამა კოოპერაციულია), ძირითად დოკუმენტში უნდა აისახოს დაწესებულებასა და პარტნიორს შორის პროფესიული მოდულების კრედიტების პროცენტული გადანაწილება და მოდულებში დაკონკრეტდეს პარტნიორ ორგანიზაციაში მისაღწევი სწავლის შედეგები.

პროგრამა სრულად არის უზრუნველყოფილი საჭირო რესურსებით. თბილისის ლოკაციაზე გამოყოფილია კეთილმოწყობილი A და B ტიპის სასწავლო სივრცეები, ხოლო პრაქტიკული სწავლების სივრცეს წარმოადგენს უნივერსიტეტის საჯარო ბიბლიოთეკა, თავისი მდიდარი ელექტრონული (კატალოგები Evergreen და Koha, საერთაშორისო ბაზები) და მატერიალური რესურსებით. ქუთაისის ლოკაციაზე პრაქტიკული კომპონენტები ხორციელდება ილია ჭავჭავაძის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკაში, გაფორმებული მემორანდუმის საფუძველზე. თბილისში პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 28, ხოლო ქუთაისში – 28 პროფესიული განათლების მასწავლებელი, რომელთა დატვირთვა არ აღემატება კვირაში 40 საათს. მათ კვალიფიკაციას ადასტურებს შესაბამისი განათლება და პრაქტიკული მუშაობის გამოცდილება (მათ შორის, უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში). ინფრასტრუქტურა სრულად ადაპტირებულია სსსმ პირებისთვის. პროგრამის ფინანსური მდგრადობა გამყარებულია ბიუჯეტით, სადაც რენტაბელობის ზღვრად 14 სტუდენტია განსაზღვრული.

დაწესებულებაში ეფექტურად ფუნქციონირებს დემინგის ციკლზე (PDCA) დაფუძნებული ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი. შეფასების სისტემა ითვალისწინებს შრომის ბაზრის კვლევას და უკუკავშირს ყველა დაინტერესებული მხარისგან. ხარისხის მართვის სამსახური რეგულარულად ანალიზებს მიღებულ მონაცემებს. ამის დასტურია 2024-2025 წლების ანგარიშები, რომელთა საფუძველზეც დაკორექტირდა სასწავლო გეგმა, თემატიკა და საათობრივი ბაღე, რაც ადასტურებს უნივერსიტეტის ორიენტაციას პროგრამის უწყვეტ განვითარებაზე.

სასწავლო პროცესი მიჰყვება დამტკიცებულ სასწავლო გეგმას. პროცესი გამოირჩევა მოქნილობით და სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებების (მათ შორის არაქართულენოვანი სტუდენტების) გათვალისწინებით. სწავლება ეფუძნება თანამედროვე მეთოდებს (პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება, ქეის-სტადიები, სიმულაციები). ქუთაისის ლოკაციაზე კოოპერაციული სწავლების ფარგლებში გაფორმებული მემორანდუმი (ქუთაისის საჯარო ბიბლიოთეკასთან) უზრუნველყოფს პრაქტიკული უნარების რეალურ გარემოში დაუფლებას.

შეფასების სისტემა არის ვალიდური, ობიექტური და გამჭვირვალე. დანერგულია ვერიფიკაციის მექანიზმი, რომელიც ხორციელდება ლოკაციებს შორის (თბილისი და ქუთაისი) ჯვარედინი შემოწმების პრინციპით. 2025 წლის ვერიფიკაციის შედეგად გაცემული რეკომენდაციები (მაგალითად, კითხვების სტრუქტურის შეცვლა ზოგიერთ მოდულში) დროულად იქნა გათვალისწინებული. მტკიცებულებები სათანადოდ ინახება 3 წლის ვადით, ხოლო შეფასების შედეგები (განმსაზღვრელი და განმავითარებელი) აქტიურად გამოიყენება სტუდენტთა პროფესიული ზრდისთვის.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა – „საწყობის ოპერირება“

„საწყობის ოპერირების“ პროგრამა განეკუთვნება პროფესიული განათლების მეოთხე დონეს და კურსდამთავრებულებს ანიჭებს საშუალო პროფესიულ კვალიფიკაციას საწყობის ოპერირებაში. სწავლის დეტალური სფეროს კოდია 0416. პროგრამა დამტკიცებულია რექტორის 2024 წლის 26 ივნისის ბრძანებით (N 168/01-01), ხოლო ცვლილებები განხორციელდა 2025 წლის თებერვალსა და სექტემბერში. საგანმანათლებლო პროცესი მიმდინარეობს ქართულ ენაზე, ქალაქ ქუთაისში (ნიკეას მე-2 შესახვევი N8). მნიშვნელოვანია, რომ სწავლება ხორციელდება კოოპერაციული ფორმით, რაც უზრუნველყოფს პრაქტიკული კომპონენტების რეალურ სამუშაო გარემოში გავლას. პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა შეადგენს 40-ს (2 ცვლაში 20-20 სტუდენტი), რასაც ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფი სრულად ეთანხმება. პროგრამის მოცულობა ქართულენოვანი სტუდენტებისთვის 90 კრედიტს უდრის, ხოლო არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის, რომლებიც გადიან ქართული ენის დამატებით მოდულებს, იგი 120 კრედიტს შეადგენს.

პროგრამის განხორციელების გადაწყვეტილება მიღებულია დაწესებულების შიდა პოლიტიკისა და სტრატეგიული გეგმის სრული დაცვით. შრომის ბაზრის კვლევამ და პრაქტიკის ობიექტებთან კომუნიკაციამ დაადასტურა კვალიფიციურ კადრებზე არსებული მოთხოვნა. პროგრამაზე დაშვების წინაპირობას წარმოადგენს სრული ზოგადი განათლება, ხოლო ჩარიცხვა რეგულირდება ეროვნული და შიდა ნორმატიული აქტებით.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ ამ სტანდარტის ფარგლებში გაიცა ორი მნიშვნელოვანი რეკომენდაცია: დაწესებულებამ მეთოდოლოგიაში მკაფიოდ უნდა გაწეროს სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განმსაზღვრელი ყველა კრიტერიუმი (სასწავლო გარემოს ტევადობა, პერსონალის რაოდენობა, პრაქტიკის ობიექტის გამტარუნარიანობა, ლაბორატორიული სივრცეები). ვინაიდან პროგრამა კოოპერაციულია (პარტნიორი – შპს „დეილი“), ძირითად დოკუმენტში უნდა აისახოს დაწესებულებასა და პარტნიორს შორის პროფესიული მოდულების კრედიტების პროცენტული გადანაწილება, ხოლო მოდულებში დამატებით უნდა დაკონკრეტდეს პარტნიორ ორგანიზაციაში მისაღწევი სწავლის შედეგები.

პროგრამა სრულად არის უზრუნველყოფილი აუცილებელი ადამიანური და მატერიალური რესურსებით. დაწესებულებაში მოწყობილია A-B ტიპის სასწავლო გარემო კომპიუტერული ტექნიკითა და ინტერნეტით. პრაქტიკული კომპონენტები (საქონლის დასაწყობება, ტრანსპორტირება, აღრიცხვა და ა.შ.) ხორციელდება შპს „დეილი“-ს თანამედროვე საწყობში, რაც უზრუნველყოფს რეალურ სამუშაო გარემოში უნარების ჩამოყალიბებას.

პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 14 პროფესიული განათლების მასწავლებელი (7 ზოგადი და 7 პროფესიული მოდულებისთვის), რომელთა დატვირთვა არ აღემატება კვირაში 40 საათს. მათ კვალიფიკაციას ადასტურებს შესაბამისი დიპლომები და პრაქტიკული მუშაობის გამოცდილება. საგანმანათლებლო რესურსები, მათ შორის ნორმატიული აქტები (საკანონმდებლო მაცნეს მეშვეობით), ხელმისაწვდომია ელექტრონულ დრაივზე. ინფრასტრუქტურა იძლევა სსსმ პირებისთვის ადაპტირებული გარემოს შექმნის შესაძლებლობას. ფინანსური მდგრადობა დადასტურებულია, რენტაბელობის ზღვრად კი 10 სტუდენტია განსაზღვრული.

დაწესებულებაში ეფექტურად ფუნქციონირებს დემინგის ციკლზე (PDCA) დაფუძნებული ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი. შეფასების სისტემა მოიცავს შრომის ბაზრის კვლევას, ბენჩმარკინგსა და დაინტერესებული მხარეების გამოკითხვას. 2023-2024 წლების შეფასების შედეგების საფუძველზე, 2025 წელს პროგრამაში განხორციელდა მნიშვნელოვანი ცვლილებები: განახლდა სასწავლო, მატერიალური და ადამიანური რესურსები, დაკორექტირდა სასწავლო გეგმა, მოდულის თემატიკა და შეფასების ინსტრუმენტები.

სასწავლო პროცესი მიჰყვება დამტკიცებულ სასწავლო გეგმას, რომელიც ითვალისწინებს არაქართულენოვანი სტუდენტების საჭიროებებსაც. პროცესი ორგანიზებულია სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით (მაგ., დასაქმებული სტუდენტებისთვის გაცდენილი მასალის ანაზღაურება კონსულტაციებით). სწავლება ეფუძნება თანამედროვე მეთოდებს, გამოიყენება სპეციალიზებული კომპიუტერული პროგრამების დემო-ვერსიები იმიტირებულ გარემოში, ხოლო რეალურ გარემოში – სრულფასოვანი პროგრამები.

შეფასების სისტემა არის ვალიდური, ობიექტური და გამჭვირვალე. 2025 წელს ჩატარებული ვერიფიკაციის შედეგად, ერთ-ერთი მოდულის („საწყობში საქონლის ტრანსპორტირება“) შეფასების ინსტრუმენტი არავალიდურად შეფასდა, თუმცა დაწესებულებამ მყისიერად განახორციელა განმავითარებელი აქტივობები. მტკიცებულებები სათანადოდ ინახება 3 წლის ვადით, ხოლო შეფასების შედეგები (როგორც განმსაზღვრელი, ისე განმავითარებელი) აქტიურად გამოიყენება სტუდენტთა პროფესიული ზრდისთვის.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა – „ტვირთების ექსპედიტორება“

აღნიშნული პროგრამა განეკუთვნება პროფესიული განათლების მეოთხე დონეს და კურსდამთავრებულებს ანიჭებს საშუალო პროფესიულ კვალიფიკაციას ტვირთების ექსპედიტორებაში. სწავლის დეტალური სფეროს კოდია 0413. პროგრამა დამტკიცებულია რექტორის 2024 წლის 26 ივნისის ბრძანებით (N 168/01-01), ხოლო ცვლილებები განხორციელდა 2025 წლის თებერვალსა და სექტემბერში. საგანმანათლებლო პროცესი მიმდინარეობს ქართულ ენაზე, ქალაქ ქუთაისში (ნიკეას მე-2 შესახვევი N8). მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ სწავლება ხორციელდება კოოპერაციული ფორმით, რაც გულისხმობს პრაქტიკული კომპონენტების რეალურ სამუშაო გარემოში გავლას. პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა შეადგენს 40 სტუდენტს (ორ ცვლაში 20-20), რასაც ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფი სრულად ეთანხმება. პროგრამის მოცულობა ქართულენოვანი სტუდენტებისთვის 90 კრედიტს უდრის, ხოლო არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის, რომლებიც გადიან ქართული ენის დამატებით მოდულებს, იგი 120 კრედიტს შეადგენს.

პროგრამის განხორციელების გადაწყვეტილება მიღებულია დაწესებულების შიდა პოლიტიკისა და სტრატეგიული გეგმის სრული დაცვით. შრომის ბაზრის ეროვნულმა და საერთაშორისო კვლევებმა, ასევე წინა წლების (2018-2024) გამოცდილებამ ლოგისტიკის მიმართულებით, დაადასტურა კვალიფიციურ ექსპედიტორებზე არსებული მაღალი მოთხოვნა. პროგრამაზე

დაშვების წინაპირობას წარმოადგენს სრული ზოგადი განათლება, ხოლო ჩარიცხვა რეგულირდება ეროვნული და შიდა ნორმატიული აქტებით.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაიცა ორი მნიშვნელოვანი რეკომენდაცია: დაწესებულებამ მეთოდოლოგიაში მკაფიოდ უნდა გაწეროს სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განმსაზღვრელი ყველა კრიტერიუმი (სასწავლო გარემოს ტევადობა, პერსონალის რაოდენობა, პრაქტიკის ობიექტის გამტარუნარიანობა, ლაბორატორიული სივრცეები). ვინაიდან პროგრამა კოოპერაციულია (პარტნიორი – შპს „დეილი“), მირითად დოკუმენტში უნდა აისახოს დაწესებულებასა და პარტნიორს შორის პროფესიული მოდულების კრედიტების პროცენტული გადანაწილება, ხოლო მოდულებში დამატებით უნდა დაკონკრეტდეს პარტნიორ ორგანიზაციაში მისაღწევი სწავლის შედეგები.

პროგრამა სრულად არის უზრუნველყოფილი აუცილებელი ადამიანური და მატერიალური რესურსებით. დაწესებულებაში მოწყობილია A-B ტიპის სასწავლო გარემო კომპიუტერული ტექნიკითა და ინტერნეტით. პრაქტიკული კომპონენტები (სატრანსპორტო-საექსპედიტორო საქმიანობის განხორციელება და ხარისხის კონტროლი) ხორციელდება შპს „დეილი“-ს თანამედროვე ბაზაზე, რაც უზრუნველყოფს რეალურ სამუშაო გარემოში უნარების ჩამოყალიბებას.

პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 14 პროფესიული განათლების მასწავლებელი (7 ზოგადი და 7 პროფესიული მოდულებისთვის), რომელთა დატვირთვა არ აღემატება კვირაში 40 საათს. საგანმანათლებლო რესურსები, მათ შორის ნორმატიული აქტები (საკანონმდებლო მაცნეს მეშვეობით), ხელმისაწვდომია ელექტრონულ დრაივზე. ინფრასტრუქტურა სრულად ადაპტირებულია სსსმ პირებისთვის (პანდუსები, ადაპტირებული სველი წერტილები). პროგრამის ფინანსური მდგრადობა დადასტურებულია ბიუჯეტით, სადაც რენტაბელობის ზღვრად 13 სტუდენტია განსაზღვრული.

დაწესებულებაში ეფექტურად ფუნქციონირებს დემინგის ციკლზე (PDCA) დაფუძნებული ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი. შეფასების სისტემა მოიცავს შრომის ბაზრის კვლევას, ბენჩმარკინგს და დაინტერესებული მხარეების გამოკითხვას. ასევე, პროცესში ჩართულია ესტონეთის (ვალგამას) პროფესიული განათლების ცენტრი, რაც გარე შეფასების მაღალ სტანდარტს უზრუნველყოფს. 2023-2024 წლების შეფასების საფუძველზე, 2025 წელს პროგრამაში განხორციელდა მნიშვნელოვანი ცვლილებები: განახლდა რესურსები, დაკორექტირდა სასწავლო გეგმა, მოდულის თემატიკა და დაიხვეწა შეფასების ინსტრუმენტები. სასწავლო პროცესი მიჰყვება დამტკიცებულ სასწავლო გეგმას და უზრუნველყოფს სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებას (მათ შორის არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის ენის მოდულების შეთავაზებას). სწავლება ეფუძნება თანამედროვე მეთოდებს, გამოიყენება სპეციალიზებული კომპიუტერული პროგრამების დემო-ვერსიები იმიტირებულ გარემოში, ხოლო რეალურ სამუშაო გარემოში – სრულფასოვანი პროგრამები. კოოპერაციული სწავლების ფარგლებში პარტნიორთან (შპს „დეილი“) გაფორმებული მემორანდუმი უზრუნველყოფს უსაფრთხო და მაღალკვალიფიციურ პრაქტიკულ გამოცდილებას.

შეფასების სისტემა არის ვალიდური, ობიექტური და გამჭვირვალე. დანერგილია შეფასების ინსტრუმენტების ვერიფიკაციის მექანიზმი (ჯვარედინი შემოწმების პრინციპით), რის შედეგადაც გაცემული რეკომენდაციები დროულად სრულდება. მტკიცებულებები სათანადოდ ინახება 3 წლის ვადით, ხოლო შეფასების შედეგები აქტიურად გამოიყენება სტუდენტთა პროფესიული ზრდისა და განვითარებისთვის.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა – „ადმინისტრაციული სერვისების მენეჯმენტი“

„ადმინისტრაციული სერვისების მენეჯმენტი“ წარმოადგენს პროფესიული განათლების მეოთხე დონეს და კურსდამთავრებულებს ანიჭებს საშუალო პროფესიულ კვალიფიკაციას ადმინისტრაციულ სერვისებში. სწავლის დეტალური სფეროს კოდია 0413. პროგრამა დამტკიცებულია თსუ-ს რექტორის 2025 წლის 8 სექტემბრის ბრძანებით და მისი

განხორციელების ენაა ქართული. სასწავლო გეგმის მოცულობა ქართულენოვანი სტუდენტებისთვის 70 კრედიტს შეადგენს, ხოლო არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის დამატებითი მოდულების გათვალისწინებით 100 კრედიტია განსაზღვრული. დოკუმენტის მიხედვით, პროგრამის განხორციელება დაგეგმილია ორ სხვადასხვა ლოკაციაზე. თბილისში, უნივერსიტეტის ქუჩაზე, პროგრამა ხორციელდება იმიტირებულ სამუშაო გარემოში, ხოლო ქუთაისში, ნიკეას მეორე შესახვევში, სწავლება წარიმართება რეალურ სამუშაო გარემოში, კოოპერაციული ფორმით. ექსპერტთა ჯგუფი სრულად იზიარებს და ეთანხმება თითოეულ ლოკაციაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის მაქსიმუმ 40 პირით განსაზღვრას.

საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვისა და შემუშავების სტანდარტის შეფასებისას ექსპერტები ასკვნია, რომ პროგრამა სრულ შესაბამისობაშია დადგენილ მოთხოვნებთან. პროგრამის შექმნა ეფუძნება შრომის ბაზრის დეტალურ კვლევას, სახელმწიფო სტატისტიკურ მონაცემებსა და დამსაქმებლებთან კომუნიკაციას, რაც სრულად პასუხობს უნივერსიტეტის სტრატეგიულ მიზნებს. პროგრამაზე დაშვების წინაპირობად განსაზღვრულია სრული ზოგადი განათლება, ხოლო ჩარიცხვის პროცედურები გამჭვირვალე და ობიექტურია. სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრა განხორციელდა არსებული ინფრასტრუქტურის, სასწავლო გარემოსა და ადამიანური რესურსების ობიექტური შეფასების საფუძველზე. პროგრამა არ ითვალისწინებს არჩევით მოდულებს, მისი სახელწოდება ზუსტად ასახავს შინაარსს და არ არის შეცდომაში შემყვანი. თუმცა ექსპერტები სრულად ეთანხმებიან სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას, გაცემულია სარეკომენდაციო ხასიათის რჩევა, რომ დაწესებულებამ მეთოდოლოგიაში კიდევ უფრო მკაფიოდ გაწეროს ის კრიტერიუმები, რომელთა საფუძველზეც აღნიშნული რაოდენობა განისაზღვრება, რათა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები მეტად გაძლიერდეს.

საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსების მიმართულებით დოკუმენტი ადასტურებს უმაღლეს შესაბამისობას. ორივე ლოკაციაზე გამოყოფილია კეთილმოწყობილი და ტექნიკურად გამართული სათანადო ტიპის სასწავლო სივრცეები. თბილისის ბაზაზე სასწავლო პროცესს უზრუნველყოფს 32, ხოლო ქუთაისში 24 მაღალკვალიფიციური პროფესიული მასწავლებელი, რომელთა დატვირთვა ოპტიმალურია და სრულად აკმაყოფილებს შრომის კოდექსის მოთხოვნებს. ორივე ლოკაციაზე პროგრამას ხელმძღვანელობენ სათანადო გამოცდილებისა და კვალიფიკაციის მქონე პირები. სასწავლო მასალები ხელმისაწვდომია როგორც ელექტრონულად, ისე მატერიალურად, უნივერსიტეტის ბიბლიოთეკისა და კორპორაციული ელექტრონული პლატფორმების მეშვეობით. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ინკლუზიურ განათლებას, დაწესებულებას ჰყავს შესაბამისი სპეციალისტი, რომელიც უზრუნველყოფს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტებისთვის ადაპტირებული გარემოსა და ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავებას. რაც შეეხება ფინანსურ მდგრადობას, წარმოდგენილი საპროგნოზო ბიუჯეტი რაციონალურია, მოიცავს ყველა აუცილებელ ხარჯს და რენტაბელობის ზღვარი ოპტიმალურად არის გათვლილი, რაც უზრუნველყოფს პროგრამის გრძელვადიან და უწყვეტ ფუნქციონირებას.

პროგრამის შეფასებისა და განვითარების სტანდარტის განხილვისას ექსპერტები აღნიშნავენ, რომ დაწესებულებაში მოქმედებს ხარისხის უზრუნველყოფის ეფექტიანი, დემინგის ციკლზე დაფუძნებული მექანიზმი. პროცესში აქტიურად არიან ჩართულნი დაინტერესებული მხარეები, მათ შორის დამსაქმებლები, სტუდენტები და პერსონალი. ტარდება პერიოდული კვლევები, შრომის ბაზრის ანალიზი და მიღებული უკუკავშირის საფუძველზე ხორციელდება პროგრამის მოდიფიცირება. წინა წლების გამოცდილების გათვალისწინებით, პროგრამაში უკვე განხორციელდა სასწავლო და მატერიალური რესურსების განახლება, რაც ადასტურებს, რომ შეფასების შედეგები რეალურად გამოიყენება საგანმანათლებლო პროცესის სრულყოფისთვის.

სასწავლო პროცესის ორგანიზებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სტანდარტთან მიმართებით დასკვნა დადებითია. სასწავლო პროცესი მიჰყვება შემუშავებულ გეგმას, ითვალისწინებს თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებას და სტუდენტთა ინდივიდუალურ

საჭიროებებზე მოქნილ რეაგირებას. ქუთაისის ლოკაციაზე პრაქტიკული კომპონენტის განსახორციელებლად გაფორმებულია მემორანდუმი კულტურულ და საგანმანათლებლო დაწესებულებათა გაერთიანებასთან, რაც რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების მაღალ ხარისხს უზრუნველყოფს. უსაფრთხოების ნორმები სრულად არის დაცული. შეფასების სისტემა ხასიათდება ვალიდურობით, გამჭვირვალობითა და ობიექტურობით. გამორჩეულია ვერიფიკაციის მექანიზმის ორგანიზება, რომელიც გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს იმით, რომ თბილისში შექმნილი შეფასების ინსტრუმენტების გადამოწმება ხდება ქუთაისის პერსონალის მიერ და პირიქით. შეფასების მტკიცებულებები ინახება სამი წლის განმავლობაში, ხოლო მიღებული შედეგები მიზნობრივად გამოიყენება სტუდენტთა შემდგომი განვითარებისთვის, მათ შორის დამატებითი კონსულტაციებისა და შესაბამისი სასწავლო აქტივობების დაგეგმვის მიმართულებით.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა – „საექთნო განათლება“

პროგრამა წარმოადგენს პროფესიული განათლების მეხუთე დონეს და კურსდამთავრებულებს ანიჭებს უმაღლეს პროფესიულ კვალიფიკაციას საექთნო საქმეში, რომლის სწავლის დეტალური სფეროს კოდია 0913. პროგრამა დამტკიცებულია რექტორის შესაბამისი ბრძანებებით და ხორციელდება ქართულ ენაზე ორ სხვადასხვა ლოკაციაზე: თბილისში, უნივერსიტეტის ქუჩა №19-სა და ქუთაისში, ნიკეას მე-2 შესახვევი №8-ში. სწავლება ორივე მისამართზე მიმდინარეობს რეალურ სამუშაო გარემოში, კოოპერაციული ფორმით. პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა თითოეული ლოკაციისთვის განისაზღვრება 40 პირით. საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობა ქართულენოვანი სტუდენტებისთვის შეადგენს 180 კრედიტს, ხოლო არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის, შესაბამისი ენობრივი მოდულების დამატებით, 210 კრედიტს. ექსპერტთა ჯგუფი სრულად ეთანხმება წარმოდგენილ პარამეტრებს და პროგრამის მოთხოვნებთან შესაბამისობას.

საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვისა და შემუშავების სტანდარტის მიხედვით, ექსპერტები ასკვნია, რომ პროგრამა სრულად შეესაბამება დაწესებულების მისიასა და სტრატეგიული განვითარების გეგმას. მისი შემუშავება დაეფუძნა შრომის ბაზრის სიღრმისეულ კვლევასა და სახელმწიფო პრიორიტეტებს საექთნო საქმის განვითარების მიმართულებით. პროგრამაზე დაშვების წინაპირობად განსაზღვრულია სრული ზოგადი განათლება, რაც უზრუნველყოფს სათანადო წინარე ცოდნის მქონე პირთა ჩარიცხვას. სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრა განხორციელდა არსებული მატერიალური და ადამიანური რესურსების, ასევე პარტნიორი კლინიკების გამტარუნარიანობის გათვალისწინებით. მიუხედავად იმისა, რომ პროცესი შესაბამისობაშია სტანდარტებთან, ექსპერტთა ჯგუფმა გასცა რეკომენდაცია, რათა დაწესებულებამ მარეგულირებელ დოკუმენტაციაში უფრო დეტალურად და მკაფიოდ გაწეროს ის კრიტერიუმები, რომლებიც სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისას გამოიყენება, მათ შორის, პერსონალის რაოდენობა და კლინიკების სიმძლავრეები, რაც კიდევ უფრო გაზრდის პროცესის გამჭვირვალობას.

საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსების შეფასებისას დასტურდება, რომ ორივე ლოკაცია სრულად არის უზრუნველყოფილი აუცილებელი ინფრასტრუქტურით, მათ შორის შესაბამისად აღჭურვილი A და B ტიპის აუდიტორიებითა და სიმულაციური გარემოთი. პროგრამის კლინიკური კომპონენტების უზრუნველსაყოფად გაფორმებულია მემორანდუმები წამყვან სამედიცინო დაწესებულებებთან როგორც თბილისში, ისე ქუთაისსა და ხონში. ადამიანური რესურსების თვალსაზრისით, თბილისის ბაზაზე ჩართულია 72, ხოლო ქუთაისში 50 მაღალკვალიფიციური პროფესიული განათლების მასწავლებელი, რითაც მკაცრად არის დაცული სტუდენტისა და მასწავლებლის 1/7 თანაფარდობა. პროგრამას ხელმძღვანელობენ მრავალწლიანი გამოცდილების მქონე დარგის სპეციალისტები. გარდა ამისა, დაწესებულება სრულად უზრუნველყოფს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე (სსსმ)

პირთათვის ადაპტირებული გარემოსა და ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შექმნას. ფინანსური მდგრადობა გამყარებულია რაციონალურად გათვლილი ბიუჯეტით, სადაც რენტაბელობის ზღვარი 12 სტუდენტით განისაზღვრა.

პროგრამების შეფასებისა და განვითარების სტანდარტთან მიმართებით, დოკუმენტი აჩვენებს, რომ უნივერსიტეტში მოქმედებს დემინგის ციკლზე დაფუძნებული ხარისხის უზრუნველყოფის ეფექტიანი მექანიზმი. პროცესი სისტემატურად ითვალისწინებს ყველა დაინტერესებული მხარის, მათ შორის დამსაქმებლების, სტუდენტებისა და პერსონალის გამოკითხვას. კვლევების შედეგების დეტალური ანალიზის საფუძველზე, დაწესებულება მუდმივად ახდენს სასწავლო პროცესის, მატერიალური და ადამიანური რესურსების მოდიფიცირებასა და გაუმჯობესებას, რაც დასტურდება 2025 წელს პროგრამაში განხორციელებული პოზიტიური ცვლილებებითა და განახლებული სასწავლო გეგმით.

სასწავლო პროცესის ორგანიზებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სტანდარტის განხილვისას ექსპერტები ასკვნიან, რომ პროგრამა სრულად შეესაბამება დადგენილ მოთხოვნებს. სასწავლო გეგმა მოქნილია და ითვალისწინებს სტუდენტთა კვირეული დატვირთვის გონივრულ ზღვარს, ასევე თანამედროვე სწავლების მეთოდების ინტეგრაციას. პრაქტიკული და კლინიკური სწავლება მიმდინარეობს უსაფრთხო გარემოში, პარტნიორ კლინიკებთან გაფორმებული ხელშეკრულებების საფუძველზე. შეფასების სისტემა არის ვალიდური, ობიექტური და გამჭვირვალე. განსაკუთრებით აღსანიშნავია ვერიფიკაციის მექანიზმის მაღალი სანდოობა, რომელიც ინტერესთა კონფლიქტის გამოსარიცხად ეფუძნება ჯვარედინი შემოწმების პრინციპს თბილისისა და ქუთაისის პერსონალს შორის. შეფასების მტკიცებულებები კანონმდებლობის დაცვით ინახება სამი წლის განმავლობაში, ხოლო მიღებული შედეგები მიზნობრივად გამოიყენება სტუდენტების შემდგომი განვითარებისა და აკადემიური მხარდაჭერისთვის. საბოლოო ჯამში, პროგრამა ყველა სტანდარტთან სრულ შესაბამისობაშია შეფასებული.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ჰქონდათ თუ არა შეკითხვები განხილულ საკითხთან მიმართებით.

პრაქტიკის ობიექტების შესაბამისობასთან დაკავშირებით, საბჭოს წევრმა ნათია ბუთხუზმა კითხვით მიმართა დარგის ექსპერტს „ტვირთების ექსპედიციისა“ და „საწყობის ოპერირების“ პროგრამებისთვის შერჩეული პრაქტიკის ობიექტის (შპს „დეილი“) შესახებ. მან იკითხა თუ რამდენად ფარავს სადისტრიბუციო კომპანია საექსპედიტორო საქმიანობის დაგეგმვისა და სახიფათო ტვირთების დამუშავების კრიტერიუმებს.

დარგის ექსპერტმა, გიორგი ევგენიძემ, განმარტა, რომ აღნიშნული კომპანია ფლობს მასშტაბურ ინფრასტრუქტურას, სატვირთო ავტომობილების პარკს და სპეციალიზებულ კომპიუტერულ პროგრამებს ტვირთების თრექინგისთვის. მისი თქმით, ობიექტი სრულად უზრუნველყოფს ქვეყნის შიდა გადაზიდვების მარშრუტიზაციასა და დაგეგმვას. რაც შეეხება სახიფათო ტვირთებს, ექსპერტმა აღნიშნა, რომ კომპანიას ყოველდღიურ რეჟიმში აქვს შეხება გარკვეული კატეგორიის ქიმიურ ნივთიერებებთან, რაც მოდულით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად პრაგმატულად საკმარისია.

სტრატეგიული დაგეგმარებისა და მართვის მოდელის შესახებ, საბჭოს თავმჯდომარემ, ელენე კაკაბაძემ, ითხოვა განმარტება 1.2.1.1 ინდიკატორზე გაცემული განმავითარებელი რეკომენდაციის თაობაზე. ექსპერტმა მათ თოიძემ აღნიშნა, რომ დაწესებულების სტრატეგიულ დოკუმენტებში მკაფიოდ არ არის გაწერილი სამოქმედო გეგმების შემუშავებისა და დამტკიცების ვადები. მან ხაზი გაუსვა გაზომვადი ინდიკატორების (KPI) დანერგვის აუცილებლობას, რათა მონიტორინგის პროცესი იყოს რეალისტური და არა ფორმალური.

სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიასთან დაკავშირებით, მათ თოიძემ განმარტა, რომ მიუხედავად პრაქტიკაში რესურსების (ადამიანური, მატერიალური, პრაქტიკის ობიექტები) ადეკვატური გათვალისწინებისა, დაწესებულების შიდა მეთოდოლოგია

საჭიროებს დახვეწასა და ფორმალიზებას, რათა თავიდან იქნეს აცილებული რესურსების არასწორი გათვლა სამომავლოდ. ექსპერტმა ასევე ახსენა „Front-end development“-ის პროგრამაში დისტანციური სწავლების ელემენტების არსებობა, რაც ასახულია დასკვნაში.

სახანძრო უსაფრთხოების საკითხზე (5.1.2.1) საბჭოს თავმჯდომარემ გამოთქვა შემფოთება იმის გამო, რომ დაწესებულებას არცერთ ლოკაციაზე (თბილისი, ქუთაისი) არ გააჩნია სახანძრო უსაფრთხოების დადებითი დასკვნა. მან კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა 18-თვიანი გამოსწორების ვადის გონივრულობა და სტუდენტთა უსაფრთხოების გარანტიები.

უნივერსიტეტის წარმომადგენელმა, ლაშა სალინაძემ, განმარტა, რომ თსუ-ს მასშტაბებიდან გამომდინარე, სახანძრო სისტემების (განსაკუთრებით ჰიდრანტების) სრულყოფილი მოწყობა კოლოსალურ ფინანსურ რესურსს მოითხოვს. მან დაადასტურა, რომ მინიმალური უსაფრთხოების ზომები (საევაკუაციო გეგმები, ცეცხლმაქრები) დაცულია, შენობები მდგრადია და ადმინისტრაცია ეტაპობრივად ახორციელებს სისტემების განახლებას.

საბჭოს წევრმა, გოჩა გოგიტიძემ, აღნიშნა, რომ გარე ჰიდრანტების პრობლემა სისტემურია და ხშირად მუნიციპალურ ინფრასტრუქტურაზეა დამოკიდებული. მან და საბჭოს თავმჯდომარემ ხაზი გაუსვეს, რომ მიუხედავად დაწესებულებების მხარდაჭერისა, უსაფრთხოების საკითხი რჩება საბჭოს პასუხისმგებლობად და საჭიროებს სახელმწიფოს მხრიდან კომპლექსურ მიდგომას.

უნივერსიტეტის რექტორის მოადგილემ, კახა ჭეიშვილმა, მადლობა გადაუხადა საბჭოსა და ექსპერტებს გაწეული შრომისთვის და აღნიშნა, რომ სამინისტროს მიერ გამოყოფილი სახსრებით ქუთაისის ლოკაციაზე ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება და სახანძრო უსაფრთხოების სტანდარტის ამაღლება პრიორიტეტულად განხორციელდება.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 7

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

დაწესებულების მიერ თვითშეფასების კითხვარში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 45-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 46-ე მუხლის პირველი, მე-6 და მე-7 პუნქტების, მე-60-ე და 61-ე მუხლების შესაბამისად, საბჭომ გადაწყვიტა, სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს (ს/კ: 204864548) ავტორიზაციის ვადით მიენიჭოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილება. სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს დანართით გათვალისწინებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები (**დანართი 4**). გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2026 წლის 5 მარტი.

საბჭომ მიმართა ცენტრს შუამდგომლობით, ჩაინიშნოს მონიტორინგი სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 5.1. კომპონენტში (ორივე ლოკაციაზე – თბილისსა და ქუთაისში – შენობის სახანძრო უსაფრთხოების შესახებ დადებითი დასკვნების წარმოდგენა). მონიტორინგის ფორმად განისაზღვროს ვიზიტის გარეშე, ცენტრში დოკუმენტაციის წარმოდგენა, ხოლო მონიტორინგის ვადად განისაზღვროს 2027 წლის 22 ივნისი.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვა დასრულდა 15:20 საათზე.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
კაკაბაძე ელენე

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ბუთხუზი ნათია

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი / პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
გიგაშვილი ეკატერინე



დანართი 1

პროგრამის სახელწოდება	ადმინისტრაციული სერვისები
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია ადმინისტრაციულ სერვისებში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0413
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ. ბათუმი, თამარ მეფის გამზირი N38
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	რეალურ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	კოოპერაციული
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	60
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით <i>(არსებობის შემთხვევაში)</i>	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	70
